



դրամ Գրեմարտ

ლოლა ნანა

თბილისი
2007

სერია „ქალთა მეხსიერება“
სერიის ლოგოს მხატვარი ნანა ჭურგულია

ლოლა ნანა

შედგენა/რედაქტირება: ლილი ბასილაია
დაკაბადონება: მაია კაპანაძე
ნიგნზე მუშაობდნენ: მაგალი თოდუა, ლილი ბასილაია
თარგმანი: ლილი ბასილაია
ფოტო ყდაზე: ზღვის სიახლოვეს, მარინა თაბუკაშვილის ფოტო

სერია „ქალთა მეხსიერება“ © ფონდი ტასო, 2007

Women's Memory Series

Logotype of the Series by Nana Churgulia

LOLA NANA

Compilation/editing: Lili Basilaia
Layout: Maya Kapanadze
Working group: Magali Todua, Lili Basilaia
Translation: Lili Basilaia
Cover photo: Sea neighbourhood, by Marina Tabukashvili

Women's Memory Series © TASO Foundation, 2007

ISBN – 978-9941-0-0245-8

ISSN – 1987-5185



„ფონდი ტასო“ (ქალთა ფონდი და მეხსიერების კვლევის ცენტრი)
TASO Foundation (women's fund and memory research center)

თბილისი, 0108, რ. თაბუკაშვილის 15
ტელ: +995 32 920595
ფაქსი: +995 32 920595
ელ. ფოსტა: info@taso.org.ge
ვებ-გვერდი: www.taso.org.ge

Tbilisi, 0108, 15, R. Tabukashvili Str.
Tel: +995 32 920595
Fax: +995 32 920595
E-mail: info@taso.org.ge
web-site: www.taso.org.ge



ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით
Supported by Open Society – Georgia Foundation

დაიბეჭდა სტამბაში „გლობუსი“, თბილისი 2007

Printed in Globus Ltd, Tbilisi 2007

წინასიტყვაობა

2005 წლის აგვისტოში პროექტის ავტორმა და მეგრული ტექსტების შემკრები და გამომცემელი საზოგადოების პროგრამის შემდგენელმა მაგალი თოდუამ სოფელ სალხინოში (მარტვილის რაიონი) ჩაინერა მეგრული ენის მასალები ლოლა ჯგერენაიასაგან, რომელსაც სწორედ იმ თვეში შეუსრულდა 90 წელი (გარდაიცვალა 2007 წლის აგვისტოში 92 წლის ასაკში).

ქალბატონ ლოლას შესანიშნავი მეხსიერება და მდიდარი ლექსიკა აქვს, ახსოვს მე-20 საუკუნის დასაწყისის მოვლენები: ბოლშევიკების შემოსვლა, კოლექტივიზაცია, მეორე მსოფლიო, თბილისისა და აფხაზეთის ომები, სოციალიზმის რღვევა. ის შესანიშნავად ჰყვება, რა გავლენას ახდენდა ყოველივე ეს ღარიბი ადამიანების ცხოვრებაზე. ლოლა ნანას (ასე ეძახდნენ მას მისი გამოზრდილი როგორც თავისი, ასევე მამულების შვილები და შვილიშვილები, ამიტომ მათი გავლენით მას მთელი სანათესავო ასე მოიხსენიებდა) იცნობდა მთელი მარტვილის რაიონი, ჭკუის საკითხავი ქალი გახლდათ და ამიტომაც ნახავდით ყველგან: დიდ ქორწილებში თავ-ქალად და ხელმძღვანელად, გასვენებებში რიგის მიმცემად და დამრიგებლად, ავადმყოფების მომვლელად და მიცვალებულის გამპატიოსნებლად. ძლიერი პიროვნება იყო და ადამიანების ან პრობლემების მიმართ მის დამოკიდებულებას სწორედ ეს განსაზღვრავს.



ლოლა ჯგერენაია. ფოტო მაგალი თოდუასი. 2005

ლოლა ნანა თავისი შვილებითა და შვილიშვილებითურთ ერთ დროს სოხუმში გადავიდა საცხოვრებლად. დღეს მთელი დიდი ოჯახი ლტოლვილია. თვითონ ლოლა უცხოს ბინაში ცხოვრობდა და შიშით ელოდა იქიდან გასახლებას, რასაც ძალიან წუხდა. ის სამოცდაათი წლისა იყო, როცა საკენის გზით გადმოვიდა აფხაზეთიდან, ამ პირობებში, ბუნებრივია, თავისა თუ ოჯახის წევრთა სურათებს ვერ გადმოიტანა და იმასაც წუხდა, რომ წარსულის გახსენების საშუალება არ ჰქონდა.

ლოლას სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილზე უცხოვრია, რაც ძალზე საინტერესოდ აისახა მის მეტყველებაზე. მისი ნაუბარი ამჟამად ჩვენ გვინტერესებს ენათმეცნიერული თვალსაზრისით.

ტექსტზე მუშაობის დროს ჩვენ ჩავერიეთ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში: მრავალწერტილით აღვნიშნეთ იმ ადამიანთა გვარები, რომელთაც ლოლა ნანა უსიამოვნო ამბებთან დაკავშირებით ახსენებს; გამოვტოვეთ შეკითხვები, რომელიც სასაუბროდ გამოსაწვევად, ან ნათქვამის დასაზუსტებლად და დამოუკიდებელი; იშვიათად გადავადგილეთ ამბები, რათა თემატურად დაგველაგებინა. ლოლა ნანას მეტყველება დაბეჭდილია უცვლელად, ისე, როგორც ის აუდიოფირზე ისმის, ამიტომ ზოგი ისეთი ახალი ნიშნის შემოღება დაგვჭირდა, რომელიც მეგრული ტექსტების გამოცემისას ჯერ არ გამოუყენებიათ (იხ. პირობითი ნიშნები). ამ ფორმით ტექსტის საცდელი ვარიანტი უკვე დაიბეჭდა „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში“ (N5. 2007. გვ. 34-53)

გამოცემა გათვალისწინებულია სამ ტომად: I ტომი დაეთმო მთლიანად ლოლა ნანას საუბარს; მეორე ტომში მოთავსდება ამ ჩანაწერის გამოუქვეყნებელი ნაწილი და სხვა ტექსტები, რომელსაც წლების განმავლობაში ვაგროვებდით და საუკეთესო მასალა იქნება მეგრული ენის ჟარგონების შესასწავლად, მესამე ტომი კი დაეთმო ლინგვისტურ ანალიზს.

I ტომის გამოცემისათვის მადლობას მოვახსენებთ „ფონდ ტასოს“.

ლილი ბასილაია

ნიგნისათვის მასალები (25 აუდიოკასეტი) ჩაიწერა მაგალი თოდუამ. რვა-რვა კასეტი გაშიფრეს თეა კალანდიამ და ელზა კაჭარავამ, ორი – თაია ცხადაიამ.

ტექსტი მეცნიერულად დაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა ლილი ბასილაიამ

პირობითი ნიშნები

1. ლ ბგერა მეგრულის ზოგ კილოკავში რბილად ისმის. ის განსხვავდება ჩვეულებრივი ლ ბგერისაგან (**ლ → ლ → ლ → 0**). ლოლა ნანა დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ გურძემში, სადაც რბილ ლ-ს ამბობენ. გათხოვდა და ცხოვრობდა ძირითადად ამავე რაიონის სოფელ ჭყონში, სადაც ზოგ პოზიციაში ლ ბგერა ან ლ-ად არის ქცეული, ან სრულიად დაკარგულია. მის მეტყველებაში ეს სიჭრელე ჩანს. ჩვენ ამ რბილი ლ-ს გადმოსაცემად შემოვიღეთ ასეთი ნიშანი – ლ.

2. თუ მეშველ ზმნად ოდენ **დ (ორდ → დ)** გვხვდება, მას აპოსტროფით ვწერთ (**ჯგირო'დ**).

3. ზოგჯერ ვიყენებთ მახვილსაც. მაგალითად: ზოგი კუთხის, მათ შორის შავიზღვისპირეთის მეგრელთა მეტყველებაში, თუ ბოლოკიდური თანხმოვანი იკარგება, მახვილი ბოლო ხმოვანზე მოდის: **ბზიმუნქ | ბზიმუქ**.

4. ვიყენებთ ლ-საც (ამ ნიშანს სხვა გამომცემლებიც იყენებენ), რომელიც სხვადასხვაგვარი წარმოშობისა და ფუნქციისაა (ამ საკითხზე III ტომში ვაპირებთ მსჯელობას).

შენიშვნები

1. ირიბ ხაზებში ჩასმულია ისეთი სიტყვები ან დაბგერება, რომელიც ზედმეტია: „ოდო მა\ოდო\კურთალარს ვშენდი“.

2. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია გამოტოვებული, მაგრამ ნაგულისხმევი სიტყვა: „რუო რთა დიხა [ულუნა]“.

3. ქართული თარგმანი შეძლებისდაგვარად მიჰყვება მეგრულს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში საჭიროდ ჩავთვალეთ წინადადება ქართულისათვის დამახასიათებელი წყობით გადმოგვეცა, მეგრულის კალკი კი ფრჩხილებში ჩავსვით: „სოხუმიშე მენოვედ – სოხუმიდან მოდიოდა თურმე (მონავალა)“.

4. ფიფქებით აღნიშნულია განმარტებული სიტყვები.

სარჩევი

მა ვორექ ლოლა ჯგერნია	10
და დო დასქუაღეფი	12
ჩქიმი მუმა	20
მუჭო გგმათხიის დო ვერტი ქომონსენი	22
კირილე ერქვანია	26
ასე ძღაბეფიში ამბეფი, ჩქიმი სკუაღეფიში	32
აფხაზეთი, რტინა, ლტოლვილობა	34
ჩქიმი ოხორასკილიში ოჯახი	48
ჭყონიში დინო	52
ჭყონი	56
ჭყონიში ჩაიში ფაფრიკა	74
ბარნაბა ბეჭვია დო ჟენია	76
მუჭო დივგურეე ჭარუა, კითხირი დო რუსუი	82
მუჭო გილეფსოფუდი რუსეთიშანი	84
პილა	90
მოჭყუდუქ ჯაშა ირტ	92
ჩქიმი ბიცო, მეღანია	94
ჩქიმი ოხორასკილი, მეენტტი	110
ვალია დო აპა	112
ვალოდია, იროდი დო გივი	114
მუჭო მევათხი ჩქიმი დასკუა იზდორე ბასლაიასენი	120
ლიმო მუჭო მიივტაციინი	128
ენვერი მარკოზია მუჭო ვილეგენი	130
1. ჩქიმი დასკუა; 2. მუჭო იშქვიდ ართი ოსურქ ტეხირსენი	136
ომიანობაში პერიოდი მუჭო გინივლინი	142
კირლე გინვოტეე დო კოკაიას ჯანაშხე ქიმუათხი	146
ვალოდია ბასლაია დო მუში ბოშეფი	160
ანეტაში ოჯახიში ამბე	166
მუჭო მიივტაცი ციაღანი	176
ჩქიმი ნათლიეფი: ბეჩუნია დო ალათი	182
გრიშა გეგელიაში ამბე	188
დიაჩქიმიში ლექსი, ბაღანობა დგნაგურეფი	190
ზღაპარი	194
ამროსი კვაშილავა და თიში სკუა, ლამარა	198
ფრიდონ ჯანაშია	208
ნელი ჯაღალონიაში ოჯახი	214
ველოდი ოდიშარია	216
მარინე	234
გურამი დო მუში ჩიიდოსკუა	242
ჭალა დო შუალა მუჭო დიბგურეენი	270
სიშინდი	292
მუთ ვსაზრდოვენდით ჯვეშონი	302
ორტვინი	306
ოჭკომალეფი მუჭო იკეთებუნი	310
წომურეე ჩე დო წომურეე ჭითა	316
ოხვამერი	328
ღეს მუჭო პილუნდი დო შხაშხის მუჭო ვაკეთენდინი	330
წვალი	332
ნისქვილი	354
წანჭი	358
მუ მიკაქუნდეს ჯვეშონი	362
პატონეფი	370

სარჩევი

მე ვარ ლოლა ჯგერენაია	11
და და დისშვილები	13
ჩემი მამა	21
თუ როგორ გამათხოვეს და გამოვექეცი ქმარს	23
კირილე ერქვანია	27
ახლა ქალიშვილების ამბები, ჩემი შვილებისა	33
აფხაზეთი, გამოქცევა, ლტოლვილობა	35
ჩემი მამის ოჯახი	49
ჭყონის დინო*	53
ჭყონი	57
ჭყონის ჩაის ფაბრიკა	75
ბარნაბა ბეჭვია და შენია	77
როგორ ვისწავლე წერა, კითხვა და რუსული	83
როგორ დავდიოდი რუსეთში	85
პილა	91
პატარძალი ხეზე ავარდა	93
ჩემი ბიცოლა, მელანია	95
ჩემი მამი, მელენტი	111
ვალა და აპა	113
ვალოდია, იროდო და გივი	115
როგორ მივათხოვე ჩემი დისშვილი იზდორე ბასილაიას	121
თუ როგორ მოვიტაცე ლიმო	129
თუ როგორ მოკლეს ენვერ მარკოზია	131
1. ჩემი დისშვილი; 2. როგორ დაიხრჩო ერთი ქალი ტუხურში	137
თუ როგორ გადავიტანე ომიანობის პერიოდი	143
კირლე ვისხენი და კოკაიას ჯანაშია მივათხოვე	147
ვალოდია ბასილაია და მისი ვაჟები	161
ანეტა ჯანაშიას ოჯახის ამბავი	167
თუ როგორ მოვიტაცე ციალა	177
ჩემი ნათლიები: ბეჩუნი და ალათი	183
გრიშა გეგელიას ამბავი	189
დედაჩემის ლექსი, ბავშვობაში ნასწავლი	191
ზლაპარი	195
ამროსი კვაშილავა და მისი შვილი, ლამარა	199
ფრიდონ ჯანაშია	209
ნელი ჯალალონიას ოჯახი	215
ველოდი ოდიშარია	217
მარინე	235
გურამი და მისი ცოლ-შვილი	243
თუ როგორ ვისწავლე კერვა და ქსოვა	271
სიმინდი	293
თუ რითი ვსაზრდოობდით ძველად	303
ბოსტანი	307
თუ როგორ მზადდება საჭმელი	311
ტყემალთა თეთრი და ტყემალთა წითელი	317
გამოსალოცი	329
თუ როგორ ვკლავდი ღორს და შაშხს როგორ ვაკეთებდი	331
ყველი	333
ნისქევილი	355
ყაჭი (აბრეშუმის ჭია)	359
თუ რა ეცვათ ძველად	363
ბატონები	371
სიტყვათა საძიებელი	376
გამომცემლისგან	383

მა ვორექ ლოლა ჯგერნაია

დგას 2005 წელი, 3 აგვისტო. ვინყებთ ქალბატონი ლოლას ჩანერას. ქალბატონ ლოლას მთელი სოფელი და მისი გაზრდილები – გაზრდილი კი უამრავი ჰყავს – ეძახიან ლოლა ნანას. ღმერთმა ქნას, რომ ეს ყველაფერი ჩავინეროთ, ვთარგმნოთ და ლექსიკონითურთ გამოვცეთ. ახლა სიტყვას ვაძლევთ ლოლა ნანას. დაინყე, ლოლა. ქიდიჭყი: მინი რექ სი? მუ რჯოხო? დიდა, მუმა მი რყუნდ დო...

10 – **მა ვორექ ლოლა ჯგერნაია**, ზოსმე ჯგერნაიაი სკუა. ჩქიმ დიდას ჯოხოდგ ჩატუ, ფანცულაია'დ, ბანძაშე, ფანცულაია – ბანძაშე. ჩქიმ მუ-მას ცუნდ, ჩქიმ პატონ რექენ, რუო სკუა ჩქიმ ჩათვლით, აარძამ უკუულამ ვორდი მა. ჟირი პირვეი ოსურშე ცუნდ – პირვეი ოსური ღურეი აფუდუ. ჩქიმ დიდა ვითოსუმ წანერ ორდუნ, თემ ქუმუცონაფუდუ ბანძაშე, დო უკუი გინარჩქინა, ბოლო, ვორექ მა, ამშვი სკუაშე – ბოლო, უკულამ, ბრუო სკუამ ბოლო.

– სონი რეთ თქვა, სონი?

20 – ჩქი ვორეთ ძირითადო გურძემშე. ჯგერნაია რდუ მუმა ჩქიმი, ზოს-მე. ჩქიმი ბიძი – პეპულია. ჩქიმ ბაბუს ჯოხოდგ შარდენი, ბეზის ჯოხოდგ ზეხა, ხუბუხე ფოცხოშე – ენა მუმამ დიდა დო მუმა. ჩქიმი მუმა, მა ოთხ წანეი ვორდინ თემ დოღურედგ. მა ფშე ხვალე, ღურუნ, თი მომენტი. კართეშა გულუხედი ჩქიმ დიდას დო ქგდმორაგუთ, ცეთი მომენტი ფშე ხვალე, მეტი მუთუნ ვაფშ. თიმ უკული ჩქი... დაღეფი გათხილი დუ, არძას მუშ ოჯახი უღუდუ. ჯიმა თიშახ ნალურა'დ, ჩქიმ მუმამახ. ცხაკაიას* ნომუშებუედ ჩქიმი ჯიმა დო წამაი ქურამუდეს, ჯარმა* ვედგკონი, თიში, დო თის დუცვილუდ, თი წამალს. უკული თინა'დ, წამდა დანარჩენქ ხოლო თაქ დოღურუნი.

30 ართი ჯიმაქ ქუდმოსკიდ, ვითოჟირში დაბადებულ რე თინა და ვითოხუთი დაბადებულ ვორექ მა. ოდო თის ოსურ ქემუონით – ჩქიმ დიდაქ ქუმუონ ოსური, ბაღანა'დგნი, თეში – დო გურჩქინდ სკუაღემქ. ჯარი დამთავრ, თევრე ქუმორთგ, უკული ხოლო ართ ბაღანაქ გორჩქინდგ დო თემ ჩქიმ ჯიმაქ ტვინიმ ანთებათ დოღურუ. ქორას ქიდლასკიდ არძამ უკლამ მამქვითა ბაღანა ძღაბიქ. თი ჯიმაქ დოღურუნი, უკული თინეფიშოთ ვორდი მა. მუთუნს ქიმშინდი (sic) მანათის-და, გვერდი მანათი თინეფიში რდ დო გვერდი მანათი – ჩქიმი. თი გვერდი მანათიში მონანწილე'დ ხოლო ოხორასკილისკუაღეფი – ჯარს დინაფიიდ ოხორასკიი დო თიში – ოხორასკილისკუაღეფი. ჩქი გორთილი ვაორდით. თინეფ ხოლო თემ ირდუდუ, მუჭო – ჩქიმი ბაღანეფინი. ჩქიმ ქომონჯი ჯარს* რდუნი, ჩქი გავაკეთენდით, ვითაართ ბაღანას მიკვოხუნუანდით ტაბაკის – ტაბაკი დუ თინკუმა დო ტაბაკის მიკვოხუნუანდით. ათამ გაჭირბულო თინეფ-ქგთ გეითირდ, თენეფქგთ გეითირდ.

მე ვარ ლოლა ჯგერენაია

დგას 2005 წელი, 3 აგვისტო. ვინყებთ ქალბატონი ლოლას ჩანერას. ქალბატონ ლოლას მთელი სოფელი და მისი გაზრდილები – გაზრდილი კი უამრავი ჰყავს – ეძახიან „ლოლა ნანას“. ღმერთმა ქნას, რომ ეს ყველაფერი ჩავინეროთ, ვთარგმნოთ და ლექსითურთ გამოვცეთ. ახლა სიტყვას ვაძლევთ ლოლა ნანას. დაიწყე, ლოლა, დაიწყე: ვინ ხარ შენ? რა გქვია? დედა, მამა – ვინ გყავდა და...

– მე ვარ ლოლა ჯგერენაია, ზოსიმე ჯგერენაიას შვილი. ჩემს დედას ერქვა ჩატუ, ფანცულაია იყო ბანძიდან, ფანცულაია – ბანძიდან. ჩემს მამას ჰყავდა, ჩემი ბატონი რომ ხარ, რვა შვილი ჩემი ჩათვლით, უმცროსი (ყველაზე უმცროსი) ვიყავი მე. ორი პირველი ცოლისგან ჰყავდა – პირველი ცოლი მკვდარი ჰყავდა. ჩემი დედა ცამეტი წლისა რომ იყო, ისე მოეყვანა ბანძიდან, ჩემი ბატონი რომ ხარ, და მერე განაჩენი, ბოლო ვარ მე, ექვს შვილში – ბოლო, უმცროსი, რვა შვილში ბოლო.

– სადაური ხართ თქვენ, სადაური?

– ჩვენ ვართ ძირითადად გურძემიდან, ჯგერენაია იყო მამაჩემი, ზოსიმე. ჩემი ბიძა – პეპულია. ჩემს ბაბუას ერქვა შარდენი, ბებიას ერქვა ზეხა, ხუბუა ფოცხოოდან – ეს მამის დედა და მამა. ჩემი მამა, მე რომ ოთხი წლისა ვიყავი, მამინ (ისე) მომკვდარა. მე მახსოვს მხოლოდ, რომ მოკვდა, ის მომენტი. კალთაში ვეჯექი ჩემს დედას და გადმომაგდო (ნამაქცია), ის მომენტი მახსოვს მხოლოდ, მეტი არაფერი მახსოვს. მას შემდეგ ჩვენ... დები გათხოვილი იყვნენ, ყველას თავისი ოჯახი ჰქონდა. ძმა მანამდე იყო გარდაცვლილი (გარდანაცვალი), ჩემს მამამდე. ცხაკაიაში მუშაობდა თურმე (ნამუშევარიყო) ჩემი ძმა და წამალი დაუღვენებიათ, ჯარში* რომ არ წასულიყო, იმისი, და იმას მოეკლა, იმ წამალს. მერე ის იყო, რომ დანარჩენიც აქ დაიხოცნენ.

ერთი ძმა დამრჩა, თორმეტის* დაბადებულია ის და თხუთმეტის დაბადებული ვარ მე. **ჰო-და** იმას ცოლი მოვუყვანეთ – ჩემმა დედამ მოუყვანა ცოლი, ბავშვი რომ იყო, ისე – და გაუჩნდა შვილები. ჯარი* დაამთავრა, იქიდან მოვიდა, მერეც ერთი ბავშვი გაჩნდა და ამ დროს ჩემი ძმა ტვინის ანთებით მოკვდა. მუცელში ჩარჩა [რძალს] მცროსი (ყველაზე უმცროსი), მეშვიდე ბავშვი, გოგო. ის ძმა რომ მომიკვდა, მერე მათთვის ვიყავი მე. თუ რამეს ვიშოვიდი, თუნდაც მანეთს, ნახევარი (ნახევარი მანეთი) მათი იყო და ნახევარი (ნახევარი მანეთი) – ჩემი. იმ ნახევარი მანეთის მოზიარე იყვნენ აგრეთვე მაზლიშვილებიც, ომში დაკარგული იყო მაზლი და იმისი – მაზლიშვილები. ჩვენ გაყოფილი არ ვიყავით. ისინიც ისე იზრდებოდნენ, როგორც – ჩემი ბავშვები. ჩემი ქმარი ჯარში რომ იყო*, ჩვენ გავაკეთებდით, თერთმეტ ბავშვს დავსხამდით ტაბლასთან – ტაბლა იყო მამინ და ტაბლასთან დავსხამდით. ასე გაჭირვებულად ისინიც გამოიზარდნენ, ესენიც გამოიზარდნენ.

და დო დასქუაღეფი

ჩქიმი და ეკუხედ ფრიდონია ჯიჯეას თარგამურს, ვითართი სკუა
ცუნდ, ო, ჩქიმ პატონ ზექენ. უკულ თინა რდ, ნამდა არდაქ დოღურუნი...
ვითართი სკუაშე ასე ჟირი სკუა რე დოსკილაღირი. ართი კაკალი ვეგერე,
თი ჟირი სკუა დო მოთაღეფიშ მეტი. ოდო თი ართი ხოლო ასე მალურუუ
ჯან. აპერაცია გუკეთეს, ბუშტის კიბო უღუ დო... დანარჩენს ხოლო
სკუაღეფი ცუნა. თის ვაყუნს მუთუნი, თი ლეხიენ, თის. მუშ სკუა ვაყუნს.
ართი ცუნდუ დო თიქ ხოლო დუღურუ, შხვამ სკუა აფუდ ეჭოფილი თი
10 ძღაბნკეა ართო-დო. მარა თის სკუაქ ქიდაასქიდ, ართ ძღაბიქ, დო თი
ძღაბი ასე ჩივლენს, ქომგჩითია ჩქიმ მუშამ ქონება. დო ენეფ ვაარზენა
დო, მუჭო იინ, თინა მა ვამიჩქე, მუშა გუშურს საქმენი, ჩქიმ პატონი.

მაჟია და კინიას ეკუხედ სალუქვაძეს. იზდორე ბასლაია ქოგიჩქ,
იზდორე ბასლაიას ეკუხედ თიმ უჩაში სკუა, თათუშა. თათუშა დო იზდო-
რექ თათუშაში და დო ჯიმაღეფი – აარდა მორდეს თექ, ქართის. აარდა
გურაფილი ენა თინეფი, აარდა – გურაფილი. თიმ გეყვენჯი ჯიმა'დ მიტრო
სალუქვაძე, ჩქიმ პატენ ზექენ, ელექტროინჟინერი'დ; მაჟია დას უშტელობა
ქვდაგურეეს, ჩქიმ პატ... არდა იზდორექ მორდ, მოკლეთ, თიში ჩხორო
სკუაშე აარდას დუდ ქიგედგ, მუში ოსურიშ მეტის, რუოს...

– ჩხონაფი იზდორე! იზდორე ძვირფასი კოჩი რდ.

20 – არდას, არდას ქიდაგურუუ. არდაშ უკლაში, იზდორექ თინა, თათუშა,
ითხუნ, თინკელა ქორას დიხახედ, რადიონი, თის ელექტროსაინჟინერო
გათებაფუუ, ოდო განანილეს გუმათგესგმა. გუმათგესის პირველი ბარი
გიაშკვესენი, თექ გერდ თინა, ოდო თიქ გემენინუნი, უკული ეჩდოხუთი
ნანას გუმათგესიში დელექტორო მუშენდ დო, მაჟია ნანა რე ასე, დო-
ღურუნი. თიმ ნამრავლი სკუაღეფი, ართი ბოში დო ართი ძღაბი, თექ ქო-
რე. შხვა დანარჩენქ ჯარს მეუდინ.

თი ჩქიმი დას ანეტა ჯოხოდგ სახეი, ქომონს მიხა ჯოხოდგ, ჩქიმ პა-
ტენი, დო ჩხორო სკუაღეფიშ მარდუალი დეს დო ასე სკუაღეფი ართ გერე
– პალიკო, ინა ხოლო თოდუას ეკუუხე, მიშა თოდუას, ცხაკაიას* ცხოვ-
30 რენს. ართი, ვარა დანარჩენი ვარე. სკუაღეფი ორე მიტროში. მიტროს არ-
თი ძღაბ დო ართ სინჯაქ დაღუპუ, გაგრა ეჭოფესგ ნ, თინკეა. დანარჩენი
მოთაღეფი, სკუაღეფი ქორენა. \მინ\ რუსეთის ქიმთოღურ ართიქ, და-
ნარჩენი ნამრავლი თევრე ქორე. ამარ ქუთეშისინა, ხოლო გათხიი ცუნდუ
დო ქომონჯი დუყვიეს, იფრეი მიდუდეს აფხაზეთის დო ჟირ ბაღანეფ
ქოყუნს უმაღლესდამთავრებუი, ქუთეშისიე ძღაბი.

მიტროში უჩაში სკუაქ დო სინჯაქ წყარს ქაყუნუ, გაგრა ეჭოფესგენი,
თინკეა ა, დო მედინ.

– „წყარს ქაყუნ“ მუ ჯოხო?

და და დისპვილები

ჩემი და ცოლად ჰყავდა ფრიდონია ჯიჯელავას თარგამულში, თერთმეტი შვილი ჰყავდა, ჰო, ჩემი ბატონი რომ ხარ. მერე ის იყო, რომ ყველა დაიხოცა... თერთმეტი შვილიდან ახლა ორი შვილია დარჩენილი. არც ერთი არაა ცოცხალი (არ დგას), ამ ორი შვილის და შვილიშვილების გარდა. **ჰო-და** ის ერთიც ახლა მომაკვდავი წევს. ოპერაცია გაუკეთეს, ბუშტის კიბო აქვს-და..., დანარჩენსაც შვილები ჰყავთ, იმას არ ჰყავს არავინ (არაფერი), ავად რომ არის, იმას. თავისი შვილი არ ჰყავს. ერთი ჰყავდა და ისიც მოუკვდა. სხვისი შვილი ჰყავდა აყვანილი იმ გოგოსთან ერთად-და, მაგრამ იმას შვილი დარჩა, ერთი გოგო და ის გოგო ახლა ჩივის – მომეცითო ჩემი მამის ქონება. და ესენი არ აძლევენ და, როგორ იქნება, ის მე არ ვიცი, როგორ დამთავრდება (გამოვა) ეს საქმე, ჩემო ბატონო.

მეორე და კინიაში ჰყავდა ცოლად სალუქვაძეს. იზდორე ბასილაია კი იცი, იზდორე ბასილაიას ჰყავდა ცოლად მისი უფროსი შვილი, თათუშა. თათუშამ და იზდორემ თათუშას დები და ძმები – ყველა გაზარდეს იქ, თბილისში. ყველა ნასწავლი არის ისინი, ყველა – ნასწავლი. მისი მომდევნო ძმა იყო მიტრო სალუქვაძე, ჩემი ბატონი შენ ხარ, ელექტროინჟინერი იყო; მეორე დას მასწავლებლობა ასწავლეს, ჩემო ბატონო... ყველა იზდორემ გაზარდა, მოკლედ, იმისი ცხრა შვილიდან ყველას თავი მოაბა (დაადგა), თავისი ცოლის გარდა – რვას.

– ცხონებული იზდორე! იზდორე ძვირფასი კაცი იყო.

– ყველას, ყველას ასწავლა. უმცროსი (ყველაზე უმცროსი), იზდორემ ის, თათუშა რომ ითხოვა, მაშინ მუცელში იჯდა, რადიონი, იმას ელექტროსაინჟინრო დაამთავრებინა, და გაანესეს (გაანანილეს) გუმათგესში. გუმათგესში პირველი ბარი რომ დაჰკრეს, იქ იდგა ის, ჰო-და, ის რომ აშენდა, მერე ოცდახუთი წელი გუმათჰესის დირექტორად მუშაობდა და მეორე წელია ახლა, რაც გარდაიცვალა. მისი ნამრავლი შვილები, ერთი ბიჭი და ერთი გოგო, კია იქ. დანარჩენი ომში დაეკარგა.

იმ ჩემს დას ანეტა ერქვა სახელი, ქმარს მიხა ერქვა, ჩემო ბატონო, და ცხრა შვილის გამზრდელი იყვნენ და ახლა შვილებიდან ერთილაა ცოცხალი (ერთი დგას) – პალიკო, ის კი თოდუას ჰყავს ცოლად, მიშა თოდუას, ცხაკაიაში* (ცხოვრობს. ეს ერთი, თორემ სხვა აღარაა. შვილები არიან მიტროსი. მიტროს ერთი გოგო და ერთი სიძე დაეღუპა, გაგრა რომ აიღეს, მაშინ. დანარჩენი შვილიშვილები, შვილები კი არიან. \ზოგი\ რუსეთში ჩაკვდა ერთი, დანარჩენი ნამრავლი იქითაა. აგერ ქუთაისში არიან. კიდევ გათხოვილი ჰყავდა და ქმარი მოუკლეს, ყველაფერი წაართვეს აფხაზეთში და ორი ბავშვი კი ჰყავს უმაღლესდამთავრებული, ქუთაისშია გოგო.

მიტროს უფროსი შვილი და სიძე წყალს გაჰყენენ, გაგრა რომ აიღეს, მაშინ, და დაიკარგენ.

– „წყალს გაჰყვა“ როგორ გავიგოთ? (რა ჰქვია?)

– წყარს გეგნაყოთეს, ფსოუს, ფსოუს გეგნაყოთეს დო მედინ. ნამ დლა-
შე ვარდუო მიტროს თენა მუჟღესგნი, მიტროქ შიშალ ჭკუაშე, ოდო მიკმი-
ქუნანდ დო მიიშ ოგორგუა ითამ. დო ასე დიო წარმონანა ვარე, ოსურქ ღუ-
რუნი დო თის მუშ ხეთ წყარი ვაუშუმუ, ვითაართი წანა რე, მუშ ხეთ წყარი
ვაუშუმუნი. ათე სკუალემქ ქიმკუდირთ, მოთალემქ – მუშ სკუალემქ, ჩქიმ
დაშ მოთალემქ. თენეფი ამდლა ხოლო რენა კინიას, ჩქიმ პატგნ აექგნი:
ჟირი ბოში დო ართი ძლაბი. დანარჩენი თევრე სკუალამო ქორე ართი დო
დანარჩენი ვარე. ჩხორო სკუაშე თენა არძა გურაფილი’დ, არძას ცოდნა
ულუდუნ, ფერი’დ, არძა უმაღლესდამთავრებული ხალხი რდგ თინეფი. ასე
10 ხოლო, მუ ხელა რე ასე პალიკო! ეჩიდოვითოჟირიში დაბადებუღიე დო მას-
ნავლებეჟო მუშენს ვეებერთელა ის – სკოლას, ცხაკაიას*. თენეფინა
კინიას ასე: ჟირი ბოშ დო ართი ძლაბი. ათენა, ძლაბი, ექთანე, ჩქიმ პატონ
ვორექგნ, ჟარნეჩდოვითი წანას მეჭირინაფიე ძლაბი.

– სახეეფი ქორშგდა, არძაში სახეეფი ქოთქვი.

– არძა მიჩქ, ჩქიმ პატგნ აექგნ: თამილა, მიტრო სალუქვაძე ცირას-
კუა, კინიას ცხოვრენს ჯიმალეფინკია ართო, კინიას ქიდხორეს. ჯიმას
თამაზი ჯოხო, სალუქვაძე თამაზი; თიმ გეყვენჯი ბოშიე სალუქვაძე თენ-
გიზი. ოჯახი ართო ულუნა თექგ, მარა თისით ბინა ულუ ქართის დო თამა-
ზის ხოლო ქუთემის ბინა ულუ. თენემქ ქათხოზეს თე დაშ გორუას. თე ბო-
20 შეფი რუსეთიშე მიშეს, ქათხოზეს თენემქ დო ართიქ რუო ათასი დოლარი
თექ ქიდიტუუ; მაჟიქ თოფი ქიგნიბუნუუ დო მიდართ, აფხაზა ოჭოფუ –
დომგორითია, ვარა ვაგოიტენქია, მარა მუთუნიშა ვეიშურთუ, ვეგორ.
წყარიშ ღაღირ მის აგორედ, სკუა?! ოდო უკული თინა’დ, ქგ მორთეს აშო,
ქომორთეს დო კინიას ოხორანა, ოჯახი ულუნა. ძლაბი ანნი ვეგეთხუაფუ,
დასკუალეფი მორდ – თიში სკუალეფი მორდ: ართი ძლაბი დო ართი ბოში.
ძლაბიქ, პირვეჟო ჩარიცხეს უმაღლესისგნ, თიმ წანას გეთხუ დო მიდართ
დო ამდლა ხოლო ვარენა კმაყოფილი თიში საქმეთ. დო ბოშეფი უოსურეთ
ქორენა. ართი ორე, ჩქიმ პატგნ, ჟარნეჩდოამშვი წანეი, მაჟი რე ჟარნე-
ჩიდომქვითი წანეი. მარა ჯგირი სკუალეფი ენა. მიდგანკელა ვამოხვადას,
30 პროფესორნკელა მოხვადასგნი, ონჯლორეს ვაგოძირანს. გურაფილი ენა,
ინჟინერი ენა. თე თამაზიენი, იშ გიმამგონებეიე – ათე მამნეფიში, დო თიქ
თექ ქუთემის ქიიდ ბინა, ხუთოთახიანი ბინა თექ ულუ თამაზის, მარა კი-
ლერი აფუ. ოსური ვაყუნს თიშენი, ნამდა, ათე დიდა თიჯგურა მდგომარე-
ობას’დგ, ირი დლას ღურელი’დგ. მარტვიში გიდაყუნდეს ექიმეფი, მარა
ღურა ვადანებეს, ე.ი. ღურას ღურელი ვადანებეს, მარა იშენ დოღურ
გაჭირებუქ დო იშენ დოთხორეს. დიო წარმონანა ვარე თიში.

მაჟიას სი ქიჩინენქ, ქართის რე. მუდგარენ მიკაბუ რუსეთის, მუდგაშა-
ენი გიშურთანი ოკონა, ინა ოკონა გაკეთანი – წისქვიშ კომპინატი, დო თექ
ყიდირებული აფუნა მუდგარენი. გოლა ხოლო მარტვიის დეს თენეფი. შე-
40 დეგი ვამიჩქ, ვამძირ. ასე, ჩქიმ პატგნ აექგნ, \დო\ თიში ცუდემა ქემეურქგნი,
ბინური წყარი მურს ჟიდომე. ჭე რზენიას გიოხორანა დო ფერდი რე ჟი.

– წყალში გადაადგეს, ფსოუში, ფსოუში გადაადგეს და დაიკარგა. რომელი დღიდანაც მიტროს ეს [ამბავი] მოუტანეს, მიტრო შეიშალა (შეიშალა ჭკუიდან), ჰო-და იცვამდა და მიდიოდა მოსაძებნად ვითომ. ჰო-და ახლა ჯერ წელიწადი არაა, ცოლი რომ მოუკვდა და მას [მიტროს ცოლს] თავისი ხელით წყალი არ დაუღვევია, თერთმეტი წელია, თავისი ხელით წყალი რომ არ დაუღვევია. ეს შვილები დაადგენენ, შვილიშვილები – მისი შვილები, ჩემი დის შვილიშვილები. ესენი დღესაც არიან კინიაში, ჩემი ბატონი რომ ხარ: ორი ვაჟი და ერთი გოგო. დანარჩენი იქით შვილებიანად არის ერთი და სხვები ალარ არიან (დანარჩენი არ არის). ცხრა შვილიდან ყველა \ეს\ ნასწავლი იყო, ყველას ცოდნა რომ ჰქონდა, ისეთი იყო, ყველა უმაღლესდამთავრებული ხალხი იყო ისინი. ახლაც, რა ხნისაა ახლა პალიკო! ოცდათორმეტის დაბადებულია და მასწავლებლად მუშაობს ვეებერთელა იმაში – სკოლაში, ცხაკაიაში*. ესენი არიან კინიაში ახლა: ორი ვაჟი და ერთი გოგო. ეს, გოგო, ექთანია, ჩემი ბატონი რომ ხარ, ორმოცდაათ წელს მიღწეულია გოგო.

– სახელები თუ გახსოვს, ყველას სახელები თქვი.

– ყველა ვიცი, ჩემი ბატონი რომ ხარ: თამილა, მიტრო სალუქვაძის ქალიშვილი, კინიაში ცხოვრობს ძმებთან ერთად, კინიაში დასახლდნენ. ძმას თამაზი ჰქვია, სალუქვაძე თამაზი; მისი მომდევნო ვაჟია სალუქვაძე თენგიზი. ოჯახი ერთად აქვთ იქ, მაგრამ იმასაც ბინა აქვს თბილისში და თამაზსაც ქუთაისში ბინა აქვს. ესენი გადაჰყვენ ამ დის ძებნას [წყალში რომ ჩააგდეს, იმის ძებნას]. ის ვაჟები რუსეთიდან მოდიოდნენ, სდიეს ამათ და ერთმა რვა ათასი დოლარი იქ დატოვა; მეორემ თოფი გადაიკიდა და წავიდა, აფხაზი დაიჭირა – მომიძებნეთო, თორემ არ გაგიშვებო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ვერ მოიძებნა. წყლის წალეხული ვის შეეძლო მოეძებნა, შვილო?! ჰო-და მერე ის იყო, მოვიდნენ აქ, მოვიდნენ და კინიაში სახლობენ, ოჯახი აქვთ. გოგო აწი არ გათხოვდება, დისშვილები გაზარდა. – იმისი [წყალში დამხრჩვალისა] შვილები გაზარდა: ერთი გოგო და ერთი ბიჭი. გოგო, პირველად რომ ჩარიცხეს უმაღლესში, იმ წელს გათხოვდა და წავიდა და დღესაც არ არიან კმაყოფილი მისი საქციელით (საქმით). და ვაჟები უცოლოდ კი არიან. ერთი არის, ჩემო ბატონო, ორმოცდაექვსი წლისა, მეორე არის ორმოცდაშვიდი წლისა. მაგრამ კარგი შვილები არიან. ვისთანაც არ უნდა მოხვდეს, პროფესორთანაც რომ მოხვდეს, სირცხვილს არ გაჭმევს. ნასწავლი არიან, ინჟინრები არიან. ეს თამაზი რომაა, იმის გამომგონებელია – ამ მანქანებისა, და მან იქ, ქუთაისში, იყიდა ბინა, ხუთოთახიანი ბინა იქა აქვს თამაზს, მაგრამ დაკეტილი აქვს. ცოლი არ ჰყავს იმიტომ, რომ ეს დედა ისეთ მდგომარეობაში იყო, ყოველდღე მკვდარი იყო. მარტვილიდან ჩამოჰყავდათ ექიმები და (მაგრამ) სიკვდილი არ დაანებეს, ე.ი. სიკვდილს მკვდარი არ დაანებეს, მაგრამ მაინც მოკვდა გაჭირვებული და მაინც დაასაფლავეს. ჯერ წლისთავი არაა მაგისი.

მეორეს შენ იცნობ, თბილისში არის. რალაციით და კავშირებულია (ეკიდება) რუსეთთან, უნდათ რალაც გამოუვიდეთ (რალაცაში გამოუვიდეთ უნდათ), ის უნდათ გააკეთონ – წისქვილის კომბინატი, და იქ ნაყიდი აქვთ რალაც. გუშინაც მარტვილში იყვნენ ესენი. შედეგი არ ვიცი, არ მინახავს. ახლა, ჩემი ბატონი რომ ხარ, მის სახლში რომ მიხვალ, ბინულის წყალი მოდის ზევიდან. ცოტა ვაკე ადგილზე ცხოვრობენ და ფერდობია მაღლა.

– სო ენა?

– კინიას. ბინური წყარი მუურს, თი წყარი მუთუურს პადვარგმა*, აბანომა; თიმ წყარი მურს დო მინმუურს კუხნამა*; თიმ წყარი მუურს დო ოტკას ოფუნუნა; თუდო ხოლო მეურს, მინდორგმა, თექ ხოლო ნუმუდგუნა სარკე დო კრანტი პიჯიმ ობონალო, ჩქიმ პატგნ აქეგნ, თექ ხოლო მუურს ათე წყარი. ათამ აფუ განანალებუი თენა თამაზის.

– ჭკვერი კოჩი დო ნიჭიერი!

– ნისქვიი პადვარს* ულუ, აბანო პადვარს* ულუ, ჩქიმ პატგნ აქეგნ, დენი დლაშ დო სერიოთ ულუ, დიდი აკუმულატორი უდგგ დო ათეთ ულუ, ჩქიმ პატგნ. ოჯახი, ცუდე გააკეთ ათე, მუჭო ასე სკანი ცუდე მოპნონს ათაქგნ, ათამ გური გეგეხარებუნ, ფერი ცუდე ქიდოდგ. მუამუშიმ ცუდე სიდე ვარდუო გედგუდუნი, აშო გეგნახორეეს, ჭიჭე აშო, 200-300 მეტრით. იფრეი მუნეფიში გაკეთებუიე. ჟირი ცუდე გეუდგუნა, ოშ კორქ ქუმორთასგნი, უკახალე ვედიკინანა. რუო რთა* დიხა [ულუნა], თექ თხირიენო, თექ ხილი რენო, ირფელით ეფშა რე. თი ის უკუული, ფერდი რენი, თექ სკა მიკუნკარგნა. ოდო ირინერო შემკობილი ენა. კინიას თინეფცალო მითინი ვაცხოვრენს. მარა ირფეიშ უარესი თინა რე, ნამდა ოსურეფი ვაყუნა.

– მუშენი ვაყუნა?

– ათე ცუდი მდგომარეობა რდგ ოჯახისგნი, თიმ გურიშენი. თემ დიდა თიჯგუა ჯგირი ოსური რდ, გიმეგორუუდუ. ოდო უკუი ათე ჩქიმი დიდა, გიმეგორუუდუნი, ფერი დიდა, ასე ოსური ქიმიპონენი, კორქ ოკო ქემორთასია დო მუთუნმა ვალირგნ ფერი მითინგმა ვამაძირენანია.

ენა კინიაჲ საქმე დო დასკუალეფიში, დაში მოთალეფიში.

ასე **მამინდაში დო დეიდეფიში გიმნარსხეფი**: ჩქიმი მამინდა ორდუ, ჩქიმი პატონ, ართმენ სუმი, მარა მა მიჩქუ, პირადო მა მიჩქუ ართი. ართი ეკნობვედ ახუთის, მაჟია – ლეძაძამეს. ცუთი ახუთიში ართის იფრინენდი, გიდეშუ ცუდეშა. უკუული გოჭყორდ ხაზიქ დო ასე ორენა ნამრავლი, მარა ასე მა თინეფიში მუთუნი ვამიჩქ, ტყურა ვამარაგადეე. თი მამინდასკუა ორდგ გრიგოი ვეკუა, გილეშუ ცუდეშა დო ვიშო-აშო ვორდით ართმაჟიანკმა. თიქ დოლურუნი, ოგარგს ვორდი მა. აშო ხოლო დიარას, ოგარგს – იფრეინერო ვორდით ართმაჟიანკმა. უკულიანი ვამიჩქ მუთუნი. ასე ლეძაძამეს ორე ართი უქომონჯეთ დოსქიადირი ოჯახის მამინდასკუა.

– მუ გვარს ეკუხედ?

– ჯოჯუას. თვითონ ჯოჯუხე რე თი ძლაბი. ჯოჯუას ეკუხედ ჩქიმ მამი. ოდო ინა უმინჯურო ქორე, ქეთორე თექ, მარა თინკია ხოლოს ვაორექ მა, ტყურა მუჭო ოკო ბთქუე?!

ცათე მამინდა ორდგ ლეხვიჩიესგნი, თინა დუდი დო ბოლოშახ მიჩქ: სკუალეფი ცუნდ თის, ჩქიმ პატონ, უჩაში – ხვიჩია ლევა, უკუული – ხვიჩია ესტატი, ხვიჩია ალე – სუმ ქომოისკუა, ოსურსკუალეფი: ანუია, სადიკო, პარასკევა – ოსურსკუალეფი ჩქიმ მამინდაში ათენეფი დეს. ათე ოსურს-

– სად ეს ?

– კინიაში. ბინული წყალი მოდის, ის წყალი შედის სარდაფში,* აბანოში; ის წყალი მოდის და შედის სამზარეულოში; მისი წყალი მოდის და არაყს ხდიან; ქვემოთაც მიდის, მინდორში, იქაც უდგათ სარკე და ონკანი პირის დასაბანად, ჩემი ბატონი რომ ხარ, იქაც მოდის ეს წყალი. ასე აქვს განანილებული ეს თამაზს.

– ჭკვიანი კაცი და ნიჭიერი!

– წისქვილი სარდაფში* აქვს, აბანო სარდაფში* აქვს, ჩემი ბატონი რომ ხარ, დენი დღედაღამ აქვს, დიდი აკუმულატორი უდგას და ამითი აქვს, ჩემო ბატონო. ოჯახი, სახლი გააკეთა, როგორც ახლა შენი სახლი მომწონს აქ, ასე, [შენი] გული რომ გაიხარებს, ისეთი სახლი დადგა. მამამისის სახლი სადაც იდგა, აქეთ დადგეს (ჩამოასახლეს), ცოტა აქეთ, 200-300 მეტრით. ყველაფერი თავიანთი გაკეთებულია. ორი სახლი უდგათ, ასი კაცი რომ მიუვიდეთ (რომ მოვიდეს), უკან არ დაიხვევენ. რვა ქცევა მიწა [აქვთ], იქ თხილია, იქ ხილია თუ რაც არის, ყველაფრით სავსეა. იმ იმაში მერე, ფერდობი რომაა, იქ სკა უდგათ (ულაგიათ). ჰო-და ყველანაირად შემკობილი არიან. კინიაში მათსავით არავინ ცხოვრობს. მაგრამ ყველაზე უარესი ისაა, რომ ცოლი არ ჰყავთ.

– რატომ არ ჰყავთ?

– ეს ცუდი მდგომარეობა რომ იყო ოჯახში, იმის გამო. იმისი დედა ისეთი კარგი ქალი იყო, გამოირჩეოდა. ჰო-და მერე ეს ჩემი დედა, რომ გამოირჩეოდა, ისეთი დედა, ახლა ცოლი რომ მოვიყვანო, კაცი [ხომ] უნდა მოვიდესო, და არაფრად რომ არ ვარგა, ისეთს (არაფრად რომ არ ღირს, ისეთი), ვერავის ვაჩვენებთო.

ეს კინიას საქმე და დისშვილებისა, დის შვილიშვილებისა.

ახლა მამიდისა და დეიდების შთამომავლობა: ჩემი მამიდა იყო, ჩემო ბატონო, ერთის ნაცვლად სამი, მაგრამ მე ვიცი, პირადად მე ვიცი ერთი. ერთი ცოლად ჰყოლოდა ახუთში, მეორე – ლეძაძამეში. იმ ახუთისას ერთს ვიცნობდი, დადიოდა სახლში. მერე განყდა ხაზი და ახლა არის ნამრავლი, მაგრამ ახლა მე მათი არაფერი ვიცი, ტყუილს ვერ ვიტყვი. ის მამიდაშვილი იყო გრიგოლ ვეკუა, დადიოდა სახლში და იქით-აქეთ ურთიერთობა გვექონდა ერთიმეორესთან (ვიყავით ერთმანეთთან). ის რომ მოკვდა, სატირალში ვიყავი მე. აქეთაც ლხინში, გასვენებაში – ყველანაირად ვიყავით ერთმანეთთან. შემდეგისა არ ვიცი არაფერი. ახლა ლეძაძამეში არის ერთი უქმროდ დარჩენილი ოჯახში მამიდაშვილი.

– რა გვარს ჰყავდა ცოლად?

– ჯოჯუას. თვითონ ჯოჯუაა ის გოგო. ჯოჯუას ჰყავდა ცოლად ჩემი მამი. ჰო-და ის უპატრონოდ კია, ცხოვრობს (დგას) იქ, მაგრამ მასთან ახლოს არა ვარ მე, ტყუილი როგორ უნდა ვთქვა?!

ის მამიდა რომ იყო ლეხვიჩიეში, იმისი ყველაფერი ვიცი (ის თავიდან ბოლომდე ვიცი): შვილები ჰყავდა იმას, ჩემო ბატონო. უფროსი – ხვიჩია ლევა, შემდეგ – ხვიჩია ესტატე, ხვიჩია ალე – სამი ვაჟიშვილი. ქალიშვილები: ანუია, სადიკო, პარასკევა. ქალიშვილები ჩემი მამიდისა ესენი იყ-

კუალეფიში სკუალეფი: გულახე ლენა მასწავლებელი ოსური'დ, ნოე ცააში ოსური'დ. ჟირიხოლო ღურეიე. ათაქ ეკუხედ სარდის ხოლო, სულუხიას, ლალუ, ჩქიმი მამინდაი მოთა რე, ქორე, ცოცხაიე, თი ჩქიმი მამინდაი მოთა რე თენა, ესტატეში. ლენაში შთამომავლობა თარგამურს ეკუხედ გვასა-ლიას. ჩქიმი მამინდაში ნამრავლი ასე, ჩქიმ პატგნი ექგნ, ამარი ნაჭყებიას ეკუხე; თიშ ნამრავლი აეცეეს ეკუხე; თიშ ნამრავლი ამარი ის ეკუხე... გიოჭ-ვაი... მარტვირს, ის ეკუხე... ქუთათელაძეს. უკუი, ანუია ჯოხოდგნ თინა, ქირინენდკო იყიდ დო გაგონილი ხოლო ქეგაყი გვილაა. ილუშა გვილაა ქარ-თის ცხოვრევდ, თექ თხორ ასე. თიში დალეფი: ლენა თიში და დუ, მაურა

10 თიში და დუ – დანელეიას ეკუხედუ; ჩიქოვანს ეკუხედუ ვაღია – თიში და დუ. აარძა, აარძა მცოდნე ძღაბეფი დეს, არძა მოსამსახურე ძღაბეფი დეს თენეფი. ბათუ ჯანჯლაში ნამრავლი ასე ხოლო რე ამარი, ბათუში ნამრავლი. თვითონ ბათუში ოსური ხოლო ცხონცხაიე, ამარი ის, გოჭკადირს, ჩქიმ პა-ტონი. – ათნა მამდასკუალეფიშე. ხოლო – ხვიჩიეფი, ფირცხელეფი, გივი ფირცხელა, კოლმეურნობაში თამჯდომარეთ მუშეენდგნი. თიში ჯიმალეფი: კაპტო ფირცხელა, მოსე ფირცხელა, თიში ნამრავლი ხოლო რენა თაურე. დუნია ფირცხელა. ათენეფი – ჩქიმი მამინდაში ნამრავლი. ათე ჩქიმი მამინ-დაში ნამრავლი არძა ხუთი კითიცაჲო მიჩქ, არძა მიჩქ, არძას ბგორუნქ, არძა ბგორუნს – ენა მამდაშ.

20 **ბიძიში**, ჩქიმი ბიძიში ასე ხოლო რენა: გურძემს – ბიქტორ ჯგერნაია, თამაკონს – დათიკო ჯგერნაია, სკუალეფე ცუნსუნი ფერი; თარგამურს ძღაბი'დგ გათხიილი, მეშველიას ცუნდუ.

დეიდეფე ასე მითა გერე იშენიშენი. ბათომს ქორენა ჟირი დეიდაშ მითაღეფი. ღურელი ჩქიმი დეიდას ცუნდუ, ჩქიმი პატონი, სკუალეფი ჟირი. კუკუ ქაჯაია – კაჩალი'დ, აბრაგი'დ; პართე ქაჯაია – ჯიმალეფი. ეთი კუკუ კაჩალი'დ, გითმიანთხუდუ ი კათას დო მუდმულანდ.

– თენა ასეო? კომუნისტეფი დროსო?

– ვარ, თიშახ, თიშახ. ო, ჩქიმი დეიდასკუალეფი'დ, ნამუთუ, ა, სოფლიოს, თი დროს ირკოს უჩქუდუნ, ფერი კოჩი. თი დროს კაჩალა იშვიათი'დ, ამდლა

30 ირკოჩიე კაჩალინი, ეში ვარდ. თინა უნიინდ, ათაქ ფარა ქიმომილია – ოკო ქიმეულესკო თექ, ვარდა ორცქინანდ დო ცვილუნდ. ათეჯგუა კაჩალი'დ, ჩქიმი პატონ აექგნ. დო თი ჯიმაქ ხოლო მიდართ კაჩალო. ქიმომილია, მიგდასიენი უნუუ. ქიმეულ ი კოჩქ, [მარა] დრაგ დო თექ ქიგოცვილ, ფარა ვემერ, ფარაშ მერამაშახ დოცვილ. თინა ქიმილეს დო ინგარდესგნ, თიმ დლას თი კუკუქ მოღართ, ტეხირ გეჩურ. ტეხირ გეჩურ, ჩქიმ პატგნ აექგნ, დო მინილ დო თიშ მაყვიარ მილიციეფი, თექ ნგმორდგნი, თინეფი ჟირი დოცვილ, გიოსხაპ დო ინტ, მარა იშენ დოცვილეს თინა სოდგა დგნი. ჩქიმ დეიდაქ მიდართ სერიოთ, გეთხორ დო ქიმიიდ, იშენ ცუნდეს დოთხორ. თი ჩქიმი დეიდას ენა პირვეი ქომონჯიშე ცუნდუ. თის ცუნდუ უკული მაჟია ქომონჯიშე გვაზეფი. ასე

40 ხოლო რე თინეფიში ნამრავლი თაქ. მინ ქართის ქორე: გურამ გვაზა, გურამ

ვნენ. ამ ქალიშვილების შვილები: გვიღავა ლენა მასწავლებელი ქალი იყო, ნოე ცაავას ცოლი იყო. ორივე მკვდარია; აქ ჰყავდა ცოლად სარდისაც, სხულუხიას, ლალუ, ჩემი მამიდის შვილიშვილია, არის, ცოცხალია, იმ ჩემი მამიდის შვილიშვილი იყო ეს, ესტატესი. ლენას შთამომავალი თარგამულში ცოლად ჰყავდა გვასალიას. ჩემი მამიდის ნამრავლი, ახლა, ჩემი ბატონი რომ ხარ, აგერ, ნაჭყებიას ჰყავს ცოლად; იმისი ნამრავლი ლეცავეში ჰყავს ცოლად; იმისი ნამრავლი აგერ იმას ჰყავს ცოლად... ღმერთმა დასწყევლოს!... (გადასანვავი!) მარტვილში იმას ჰყავს... ქუთათელაძეს. მერე, ანუ ია რომ ერქვა, ის – გეცნობებოდა (გეცნობებოდეს იქნებოდა) და გაგონილიც გექნება გვიღავა. ილუშა გვიღავა თბილისში ცხოვრობდა, იქ მარხია ახლა. მისი დები: ლენა მისი და იყო. მაურა მისი და იყო, დანელიას ჰყავდა ცოლად; ჩიქოვანს ჰყავდა ცოლად ვალია – მისი და იყო. ყველა, ყველა მცოდნე გოგო იყო, ყველა მოსამსახურე გოგოები იყვნენ ესენი. ბათუ ჯანჯღავას ნამრავლი ახლაც არის აგერ, ბათუს ნამრავლი. თვითონ ბათუს ცოლიც ცოცხალია, აგერ იქ, გაჭედელში, ჩემო ბატონო. – ეს მამიდაშვილებიდან. კიდევ – ხვიჩიები, ფირცხალავეები, გივი ფირცხალავა, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რომ მუშაობდა. მისი ძმები: კაპიტო ფირცხალავა, მოსე ფირცხალავა, მისი ნამრავლი კიდევ არის აქეთ. დუნია ფირცხალავა. ესენი – ჩემი მამიდის ნამრავლი. ამ ჩემი მამიდის ნამრავლი ყველა ხუთი თითივით ვიცი, ყველა ვიცი, ყველას ვეძებ, ყველა მეძებს – ეს მამიდისა.

ბიძისა: ჩემი ბიძისა ახლაც არიან: გურძემში – ბიქტორ ჯგერენაია, თამაკონში – დათიკო ჯგერენაია, შვილები რომ ჰყავს, ისეთი; თარგამულში ქალიშვილი იყო გათხოვილი, მიშველიას ჰყავდა.

დეიდების მხრიან ბევრი აღარავინაა (არავინ დგას) მაინცდამაინც. ბათუმში კი არის ორი მამიდის შვილიშვილი. გარდაცვლილი ჩემს დეიდას ჰყავდა, ჩემო ბატონო, შვილი ორი: კუკუ ქაჯაია – ყაჩალი იყო, აბრაგი იყო; პართე ქაჯაია – ძმები. ის კუკუ ყაჩალი იყო, ეცემოდა ხალხს და ართმევდა.

– ეს ახლა? კომუნისტების დროს?

– არა, მანამდე, მანამდე. ჰო, ჩემი დეიდაშვილები იყვნენ, რომლებიც, აი, მსოფლიომ, იმ დროს ყველამ რომ იცოდა, ისეთი კაცები. იმ დროს ყაჩაღობა იშვიათად იყო, დღეს ყველა რომაა ყაჩალი, ასე არ იყო. ის ეტყოდა, აქ ფული მომიტანეო, უნდა მიეტანათ იქ, თუ არა და ემუქრებოდა და კლავდა. ასეთი ყაჩალი იყო, ჩემი ბატონი რომ ხარ. და ის ძმაც წავიდა ყაჩაღად. მომიტანეო, ვილაცას უთხრა. მიუტანა იმ კაცმა, [მაგრამ] ხეთქა და იქვე მოკლა, ფული არ მისცა, ფულის მიცემამდე მოკლა. ის ჩამოასვენეს და, რომ ტიროდნენ, იმ დღეს ის კუკუ წამოვიდა, ტეხურა გადმოცურა, ტეხურა გადმოცურა, ჩემი ბატონი რომ ხარ, და, შემოვიდა და, იმისი მკვლეელი მილიციელები, იქ რომ იდგნენ, ისინი, ორი მოკლა, მოწყდა და გაიქცა, მაგრამ მაინც მოკლეს ის სადღაც. ჩემი დეიდა წავიდა ღამით, ამოთხარა და ჩამოასვენა, მაინც სახლში დაკრძალა. იმ ჩემს დეიდას ეს პირველი ქმრისგან ჰყავდა, მას ჰყავდა მერე მეორე ქმრისგან გვაზავეები. ახლაც არის იმათი ნამრავლი აქ. ზოგი თბილისშია: გურამ გვაზავა, გურამ შუბლაძე. მეორეც

მუბლაძე. მაჟია ხოლო რე, ჩქიმ პატონი – რუხაძე, უკული ხოლო ბათუმს ქორე თიშ მოთა, ოდო ძლაბი ხოლო, ჯგირი გურაფი ძლაბი. – ენა თი უჩაში დეიდაში. უკულაში დეიდაში ბესელიეფი დეს ნოქალაქიშე.

– ათაქ ბესელია'დ სატყეოში მეურნეობაში დირექტორინი...

– ჰო, ჩქიმი დეიდა თიში ბიცო'დ. ართი ჯიმაშ ოსური თინა'დ დო მაჟია ჯიმაში სკუა თენა'დ. დათიკო ბესელია ათაქ გედოხოდუდ ცხენს, ნოქალაქიშა მიდირგონუდ. ჩქიმი ცუდე ის მუში ცუდეცალო მიოჩქე'დ, რახან ჩქიმი დეიდაში ოხორასკიისკუა'დნი. ასე ორენა თინეფიში ნაშთი დოსკელადირი. ჩქიმი დეიდაშ ნაშთი ართი წალენჯიხასიე, მოთა. დანარჩენი ორე ხოლო მოთალეფი. ასე წალენჯიხაშე ქემომჯლონ თინაქ მა წერილი, ქემომჯლონ მუშინეფებენ ნაჭარა, აარძა, მინ სო რდგნი, ოდო მიდგაქიენი გემჭოფუ დო მემდინ თიქ. აარძა ქემომჯლონ თიქ, ნამ ცოცხალი'დგ, ნამ ღურელი'დგნი – აარძო.

ჩქიმი დეიდასკულეფი ორდეს ქართის: ართი – ბაგრატ ბესელია, მაჟია მანჩა ბესელია – მანჩას გრიშას უძახუდეს – ოდო ენეფი, ჩქიმ პატონ ჟექენ, ღურეიენია, მომჩინ. ათე უბედური მდგომარეობას, ვარა ჩქი ართიანს მანგარს ბგორუნდით, მანგარას. აშო ხოლო მიშეს ჩქინდა, მა ხოლო გილეფში იშო, ოდო თექ თაშ ქემომჩინ ასე დო ჩქიმ დეიდაშე თინა გერე ართი გაღს, კავშირ მიღუ მა თინკელა, კავშირინ, ფერი. დეიდაშე ათენა რე.

ჩქიმი მუმა

ჩქიმი მუმა, ცოდა, ორდუ კოტომ მაკეთებეი კიჩი, კოტოს აკეთენდ, გილეშ სოხუმიშა, ოდო თექ ქირაშა აკეთენდ, უკუი გიმიჩანდ სოფელემს ალბათ. დოჭუნდეს, მითინეს გიმაჩამაღს ქიდიტენდეს, ფარას მოღელანდეს დო ქიმიშეს ცუდეშა.

– თექ მიდუშ დო თექ ჭუნდუ, ვარო?

– თექ იმუშენდ. კოტო, ორკოლი, გვიმი, თორნე, აგვანი დო ირფელს აკეთენდეს თენეფი, ირფელს. იდო ხვიჩია ორდ ხოლო, იდო ხვიჩია ვარ, ირკოჩი თეს გეუხედ, იდო ხოლო.

არის, ჩემო ბატონო – რუხადე. მერე კიდევ ბათუმში არის მისი შვილიშვილი, გოგოც, კარგი ნასწავლი გოგო. – ეს იმ უფროსი დეიდისა. უმცროსი დეიდისა ბესელიები იყვნენ ნოქალაქევიდან.

– აქ ბესელია რომ იყო სატყეოს მეურნეობის დირექტორი...

– ჰო, ჩემი დეიდა იმისი ბიცოლა იყო. ერთი ძმის ცოლი ის იყო და მეორე ძმის შვილი ეს იყო. დათიკო ბესელია აქ დაჯდებოდა ცხენზე, ნოქალაქევეში მიაჭენებდა. ჩემი სახლი მას თავის სახლად (თავისი სახლივით) მიაჩნდა, რახან ჩემი დეიდის მაზლიშვილი იყო. ახლა არის მათი შთამომავლობა დარჩენილი. ჩემი დეიდის ჩამომავალი ერთი ნალენჯიხაშია, შვილიშვილი. დანარჩენი არიან კიდევ შვილიშვილები. ახლა ნალენჯიხიდან გამომიგზავნა იმან მე წერილი, გამომიგზავნა თავისიანებზე ნანერი, ყველა, ვინ სად იყო, ჰო-და ვილაცამ აილო (ამილო) და დამეკარგა ის. ყველას შესახებ (ყველა) გამომიგზავნა იმან, ვინ ცოცხალი იყო, ვინ მკვდარი იყო – ყველას შესახებ (ყველა).

ჩემი დეიდაშვილები იყვნენ თბილისში: ერთი – ბაგრატ ბესელია, მეორე – მანჩა ბესელია – მანჩას გრიშას ეძახოდნენ – ჰო-და ესენი, ჩემი ბატონი რომ ხარ, გარდაცვლილი არიანო, შემომითვალა. ამ უბედურ დროს, თორემ ჩვენ ერთიმეორესთან ძალიან ვნათესაობდით (ერთმანეთს მაგრად ვეძებდით, ძალიან მაგრად), აქეთაც მოდიოდნენ ჩვენთან, მეც დავდიოდი იქით, ჰო-და ამან ასე შემომითვალა ახლა და ჩემი დეიდასაგან ის დგას ერთ გალში, კავშირი რომ მაქვს მე მასთან, კავშირი რომ მაქვს, ისეთი. დეიდისგან ესაა.

ჩემი მამა

ჩემი მამა, საცოდავი, იყოქოთნის მკეთებელი კაცი, ქოთანს აკეთებდა, დადიოდა სოხუმში და იქ ქირაზე აკეთებდა, მერე ყიდიდა სოფლებში ალბათ. გამონვავენენ, ზოგს გასაყიდს დატოვებდნენ, ფულს წამოიღებდნენ და მოვიდოდნენ სახლში.

– იქ წავიდოდა და იქ გამონვაავდა, არა?

– იქ იმუშავებდა. ქოთანს, დოქს, გვიმს, თონეს, ჭურს და ყველაფერს აკეთებდნენ ესენი, ყველაფერს. იდო ხვიჩია იყო კიდევ, იდო ხვიჩია კი არა, ყველა ამას საქმიანობდა (ყველა ამას ეჯდა), იდოც.

მუჭო გგმათხიის დო ვერტი ქომონსენი

ჩქიმი მუმა მეტათ გლეხი კორი'დ, ჩქიმ პატონ ექენ, დო ჩქიმ დიდა გლეხი ოსური'დ. ა, ოშუაღს შუნდგ, ოთუხარს თუხუნდგ, ოჭკომარს აკეთენდ დო ათეჯგუა- თიჯგუა. გლეხი ოსური'დგ დო ბაღანემს რდუნდგ, მეტი მუთუნი ვეშულეზუდუ ჩქიმი დიდას. ოღონდა მა, ბოლოს მა მილალატ, მა, ჩქიმი დიდაქ, პირადო მა მილალატ: ართშახ ბაზარგშა მიდამყუნუ დო თექ ჩქიმი დუდი მიდუღესო, ვამიდუღესო – მა ვამიჩქ, აშამტყო ჩქიმ დიდაქო – ამდლა ხოლო ვამიჩქ. ამდლა ხოლო ვაორექ დარნმუნებუ-ლი, ნამდა ჩქიმ დიდას მიდუღეს ჩქიმი დუდინი. არა, კაცო, შეაგნეს, შეაგ-
10 ნეს. ესე იგი, მეტი ვაუჩქედუნი ფერი ოსურს შეაგნეს: თეჯგუა ჯგირი კორიე, თენა რე, თინა რენია. მა გეპჭოფეს დო იშო მიდამყონეს ჩქიმ მამ-დაშ მოთაქ დო ჩქიმ მეზობეი კორქ.

– სო გიჯონეს?

– ა, მიდამიქონ გოგიაქენ, თინკელა

– ა, ესე იგი, გგმათხუეს.

– ო! იაკობა გიგია, ჩქიმ პატენ ექენ, ცხოვრენდ ჭყონს, ასე კლუბი ენი, თექ. მური ექიმო, ჩქიმ პატონი, ჩიამო-სკუამო თექ მიღარდ, თომამ ჯიმა'დ, ჯიმა. ოდო ე თომა ნომუშებუედ მეურნოობას. ოდო კორი ვამძირ, მინი'დ, ვარდ... თექ ქიმემიქონეს, დო ქიდმოხუნუეს დო მიდართეს.

20 – ნაძირეფ ხოლი ვაგაფუდუო?

– ვარი.

– მუდა ნანერი დი?

– ვითოხუთის დაბადებული ვორექ დო ერდოვითაართი'დ თენა, აპრიიმ თუთა.

– ე.ი. ვითამშვი ნანეი ცოფექ, ბაღანა ცოფექ.

– ხოლო ვაორდი ვითამშვი ნანერი. უკუი, მიდამიქონ ასე თე კორქ, მიდამიქონ, თექ ვორდი, ჩქიმ პატონი, მარა ვირტი მა თევერეშე, ვირტი მაჟია დღას, ვირტი თევერე. მარა ვამურეს საშვეი, კინ მიდმოსარგალეეს იშო.

– სო ოხორაანდ თომა?

30 – ეთექ'დ, თი კორიში ცუდეს, ჯიმაშ ცუდეს. სოთინ ვახორაანდ. მეურნობას ნომუშებუედ დესლადნიკო*. ქიმიღანდეს ქვიშას, კირს, ქუას დო თის ზიმუნდ დო... თე კორინკელა ბცხოვრენდი მა რუო ნანას. რუო ნანას რუო ოჯახი მაფუ მოთირეი. პირველო დინვორდით იში, პართე ბასლაიაშ ცუდეს, ათაქ, აა, კორი ვენორენი, ფერი ოჯახის; თიშ უკული ვანო ჯორიში ცუჩა გინიბლით; ვანომ ცუჩე გინიბლით, ჩქიმ პატონ ექენი, ისლა ბასლაიაშ ცუჩა; ისლა ბასლაიაში ცუჩე გინიბლით ამბაკო ბასლაიაშ ცუჩა. ათეზმა გი-ლებზვალი, ათეზმა გილეპტანჯი რუო ნანამ განმავლობას. ბაღანემქ – ახუთის დემეზად ბღანკეტაქ დო საღხინოს დემეზად ელიკოქ, ვანოი ცუ-დეს, ვანო ჯორიში, თომამე. თე ბაღანეფი გაჭირებულო ბრდი. მარა ათე

თუ როგორ გამათხოვეს და გამოვექეცი ქმარს

ჩემი მამა ნამდვილი გლეხი კაცი იყო, ჩემი ბატონი რომ ხარ, და ჩემი დედა გლეხი ქალი იყო. აი, საქსოვს ქსოვდა, დასართავს დართავდა, საჭმელს აკეთებდა და ამისთანა-იმისთანებს. გლეხი ქალი იყო და ბავშვებს ზრდიდა, მეტი არაფერი შეეძლო ჩემს დედას. მაგრამ მე, ბოლოს მე მილალატა, მე, ჩემმა დედამ, პირადად მე მილალატა: ერთხელ ბაზარში გამიყოლა და იქ ჩემი თავი წაართვეს, არ წაართვეს – არ ვიცი, დამტოვა [იმ ბაზარში] ჩემმა დედამ თუ არა, დღესაც არ ვიცი. დღესაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს დედას წაართვეს ჩემი თავი. არა, კაცო, ჩააგონეს, ჩააგონეს. ესე იგი, უბირ ქალს (მეტი რომ არ იცოდა, ისეთ ქალს) ჩააგონეს: ასეთი კარგი კაცია, ესაა, ისააო. მე ამიყვანეს და წამიყვანეს ჩემი მამიდის შვილიშვილმა და ჩემმა მეზობელმა კაცმა.

– სად წაგიყვანეს?

– აი, როცა წამიყვანა გოგია, მაშინ.

– აა, ესე იგი, გაგათხოვეს.

– ჰო! იაკობა გოგია, ჩემი ბატონი რომ ხარ, ცხოვრობდა ჭყონში, ახლა კლუბი რომაა, იქ. ჩამოსული ექიმი იყო (ჩამოსულ ექიმად), ჩემო ბატონო, ცოლ – შვილიანად იქ იდგა, თომას ძმა იყო, ძმა. ჰო-და ეს თომა მუშაობდა თურმე (ნამუშევარა) (ნამუშევარიყო) მეურნეობაში. ჰო-და კაცი არ მინახავს, ვინ იყო, რა იყო, (ვინ იყო, არ იყო), ისე მიმიყვანეს, და დამსვეს და წავიდნენ.

– ნანახიც არ გყავდა?

– არა.

– რამდენი წლისა იყავი?

– თხუთმეტის დაბადებული ვარ და ოცდათერთმეტი იყო ეს, აპრილის თვე.

– ესე იგი, თექვსმეტი წლისა ყოფილხარ, ბავშვი ყოფილხარ.

– არც ვიყავი თექვსმეტი წლისა. მერე, წამიყვანა ახლა ამ კაცმა, წამიყვანა, იქ ვიყავი, ჩემო ბატონო, მაგრამ გავიქეცი მე იქიდან, გავიქეცი მეორე დღეს, გავიქეცი იქიდან. მაგრამ არ მომცეს საშველი, კვლავ წამათრიეს უკან.

– სად ცხოვრობდა თომა?

– იქიყო, იმ კაცის სახლში, ძმის სახლში. არსად სახლობდა. მეურნეობაში მუშაობდა თურმე (ნამუშევარიყო) ათმეთაურად. მოიტანდნენ ქვიშას, კირს, ქვას და იმას ზომავდა და... ამ კაცთან ვცხოვრობდი მე რვა წელი. რვა წელს რვა ოჯახი მიქვს გამოცვლილი. პირველად ვიდექით იმისი – პართე ბასილაიას სახლში, აგერ, აი, კაცი რომ არ ცხოვრობდა (იდგა), ისეთ ოჯახში; იმის შემდეგ ვანო ჯორის სახლში გადავედი; ვანოს სახლიდან გადავედი, ჩემი ბატონი რომ ხარ, ისლა ბასილაიას სახლში; ისლა ბასილაიას სახლიდან გადავედი ამბაკო ბასილაიას სახლში. ამდენი ვინვალე, ამდენი ვიტანჯე რვა წლის განმავლობაში. ბავშვები – ახუთი შემეძინა (დამეზადა) ბლანკეტა და სალხინოში შემეძინა (დამეზადა) ელიკო, ვანოს სახლში, ვანო ჯორისა,

კორქ... ირდისას გეგნმოყოთეს მენძელემქ. ათენა იირო ჩხუბენდ, იირო მოჩ-
ხუბუდუ, იირო უკმაყოფილება მილუდეს. ვემვეგვიით ჩქი ართიანს, ვემ-
ვეგვიით. ჩქიმ კეთებუელი თის ვამონონდ, იმ მოქმედააა მა ვამოზონდ. დო
ბოლოს ჭე შური მიბდგი, ბალანეფი მოზჩიტოი მა თვითონ, ჩქიმ პატგნ იექგნ,
ბალანეფი მითინს ვადვანები. ვაკოდ, ვაკოდ ბალანეფი – შხვას ქიმებჩათია.
ოდო თინკელა მოკოდ მა თეს დევეთხიიკო, მარა ჩქიმი დიდაქ – მუჭოვა,
დავთმენქიავო?! ჩქიმი ჯიმაქ ხე მომპუტონუუ, ცოდაქ. ნოსაქ ცუდეს ნაკ-
ვაჩხირი ქაათ დო, ჯანდაბას ჩქიმი დუდი-მაქ, გინოყოთამილი ვაფუქ მა ჩქი-
მი დიდას-მაქ დო ქედოვდვი დუდი. ექ ვსკიდგდიო, ვლურუდიო – თეი ჯარი
ვეგიორდ ჩქიმი დიდას.

10

ვორდი თომანკეა, ქუორდი თაში – რუო ნანას. უკუელი სალხინოშე
მაღაფრთით აშო, ქუმობრთით გრიშა გოროზიია ცურა. გრიშა გოროზიას
თომაი და ეკუხედ, ჭყონს ცხოვრენდ. ყათე გრიშა გოროზიას დიხა მიკინ
ეთექ მიდგაშიენ კორიში. მიდაბრთით დო თი კოს გეინუდით დო – მაღაზას
ქეგეიდგუნთ დო ქეთგორინუანქია – თაში მინუუ. მა მოკოდ უკუელი ჩქიმი
დუდიშოთ ვორდიკონი, ბოში, ირკორი ვამჯინედგაკო, თენა ბლახუნდუ დო
მიჯიკუანდუნ, თის. ჩქიმ დუდშო ვორდიკო, თინა მოკოდ, მარა საშვერქ
ვეყუ, სოთინი, სოთინი ვეგმოცადინეს თე კორქ, სოთინი.

20

უკუი მა ჭიჭე ჭკუაშა ხოლო ქემობრთი. გიბჯინი, მიბჯინი, სკოლაქ
გიინწყ, საღამო კლასიქ, თექ მიშებლი. მინ წიგნი ნევეკითხი, მინ კორი გებჩი-
ნებაფეე, მინ, რინა დო საშუალება მუჭო იყიდუნი, თინა ქიგებგი დო, ქიმევ-
რთი დო რაზვოდო* ქიმევიჩი. უკანასკნელი კაბა დო რუბაშკა* მილუდუნი,
თინა გეგმობჩი, დასკუაში ქომონჯიში მგნალეი, უკანასკნელი კაბა დო
რუბაშკა* მილუდუნ, თინა – ხუთ მანათიშა, დო ხუთი მანათი გინიბგი დო
რაზვოდი ქიმევიჩი. მარა თეში ვემემჩამუ თენა. წინდანინ, მუჭო მა მოდავუ-
დუ დო ბლახუნდუ ირფელიშენინი, მუჭო ჩქი ართიანს შითვევეგუებუდი-
თინი, ათაქ აღმასკომით ქიმიპონი, ეთი ჩქიმი დასკუა ხოლო, მიტრო ხოლო,
ქიმიპონი, ოდო ვუნნი, ნამდა სი ვეგმითირეე-და, ხასიათი ვეგმითირეე-და,
ირფეიშენი ხე ვემმოგე დო დიდაშა ვადმოგორე-მაქენი... დიდაშა მოგორაანდ
მიკორთელი! მიკორთელი! მიკორთელი! მიკორთელი! ჩქიმი დიდაშა თემ
მოგორაანდ, ნამდა ჩქიმი ადამიანობაქ თექ უკვე გეთუ, ჩქიმი ადამიანობაქ.
მა შურო თავმოყვარეობაშა ქიმებრთი დო კორიშ ჩინება ქიდივჭყინი, უკუელი
ონჯლორე ხოლო მიჩქედუ, დიდაშა მოგორაანდ კორი, ბო! ონჯლორე
მიჩქედუ, ქომონჯი გოგორაანს კორიშ ნოხოლე: „სკანი დიდა თაში დო სკანი
დიდა თეში“. სკანი ოსური მა ვორექ, თუ დიაჩქიმიე სკანი ოსური – ამარი
სკუა მარჩქილენი?! ოდო ენა კინი გაგრძეა, გაგრძენი, განცხადება ქემევიჩი
დო რაზვოდო* ქემებჩი, გინიბლი დო მაღავრთი თეურემე დო გუჯუ ბეჭვაი-
აში ცუდეს ოთახი გებჭოფი.

30

– ბალანეფი მაეცონი, ვარო?

40

– ბალანეფი მაღეპონი. ოდო თიმ სერს თექ ქემგმაკათ, ლამაშა ქიმნომ-
ტახ. გუჯუქ გაგმოა, ცოდაქ, თოფი ქიდეკინ დო თოფით გეგნაათ. ათენა

თომასგან. ეს ბავშვები გაჭირვებულად გავზარდე. მაგრამ ამ კაცმა... ყველა ადგილიდან გამოგვყარეს მასპინძლებმა. ეს გამუდმებით ჩხუბობდა, ყოველთვის მეჩხუბებოდა, სულ უკმაყოფილება გვქონდა. ვერ შევეგუეთ ჩვენ ერთმანეთს, ვერ შევეგუეთ. ჩემი გაკეთებული იმას არ მოსწონდა, მისი მოქმედება მე არ მომწონდა. და ბოლოს ცოტა სული მოვითქვი, ბავშვები ნა-მოვჩიტე მე თვითონ, ჩემი ბატონი რომ ხარ, ბავშვები არავის დავანებე. არ უნდოდა, არ უნდოდა ბავშვები – სხვას მივცეთო. და მაშინ მინდოდა მე მას ჩამოვხსნოდი, მაგრამ ჩემმა დედამ – როგორო, დავთმობო? ჩემმა ძმამაც ხელი მომიქნია (მომითათუნა) საცოდავმა. რძალმა სახლს ნაკვერჩხალი ესროლა და, ჯანდაბას ჩემი თავი-მეთქი, გამოგდებული ვყავარ მე ჩემს დედას-მეთქი და თავი დავლუნე (თავი დავდე). იქ მოვრჩებოდი თუ მოვკვდებოდი, ამისი დარ-დი არ ჰქონდა ჩემს დედას.

ვიყავი თომასთან, ვიყავი ასე – რვა წელს. მერე სალხინოდან წამოვედით აქეთ, მოვედით გრიშა გოროზიას სახლში. გრიშა გოროზიას თომას და ჰყავდა ცოლად, ჭყონში ცხოვრობდა. ამ გრიშა გოროზიამ მინამოიკავა იქ ვილაკე კაცისა. ნავედით და იმ კაცს გამოვართვით და – ნალიას ჩაგიდგამთ და ჩაგაყენებო – ასე მითხრა. მე მინდოდა მერე ჩემთვის (ჩემი თავისთვის) ვყოფილიყავი, კაცო, ყველას რომ არ ეყურებინა, ეს როგორ მცემდა და ქიშუნჯებს მირტყამდა, იმისთვის. ჩემთვის (ჩემი თავისთვის) რომ ვყოფილიყავი, ის მინდოდა, მაგრამ საშველი არ იქნა, არსად, არსად არ დაგვაყენა ამ კაცმა, არსად.

მერე მე ცოტა აზრზეც (ჭკუაზეც) მოვედი. გავიხიდე, გამოვიხიდე, სკო-ლა რომ გაიხსნა, სალამოს კლასი – იქ შევედი, აქეთ წიგნი წავიკითხე, იქით კაცი გავიცანი, არსებობა და საშუალება როგორ იქნებოდა, ის გავიგე და ავდექი და გავეყარე. (გაყრა მივეცი). უკანასკნელი კაბა და მოსასხამი რომ მქონდა, ის გავყიდე, დისშვილის ქმრის მონატანი, უკანასკნელი კაბა და მოსასხამი რომ მქონდა, ის, ხუთ მანეთად, და ხუთი მანეთი გადავიხადე და გაყრა გავაკეთე (მივეცი). მაგრამ ისე არ მიქნია (მიმიცია) ეს. წინდანინ, რომ (როგორც) მე მედავებოდა და მცემდა ყველა წვრილმანის (ყველაფრის) გამო, ჩვენ რომ ერთმანეთს ვერ ვეგუებოდით, აქ აღმასკომი მოვიყვანე, ის ჩემი დისშვილიც, მიტროც, მოვიყვანე, ჰო-და ვუთხარი, რომ, შენ თუ არ შეიცვალე, ხასიათი თუ არ გამოიცვალე, ყველაფერზე ხელი რომ არ დამარ-ტყა და დედაზე არ მაგინო-მეთქი... – დედაზე მაგინებდა უკულმართი! უკულმართი! უკულმართი! ჩემს დედაზე ისე მაგინებდა, რომ ჩემი ადამიანობა იქ უკვე გათავდა, ჩემი ადამიანობა. მე ცოტა თავმოყვა-რეობა რომ გამიჩნდა (რომ მივედი) კაცის შეცნობა რომ დავინყე, მერე სირცხვილიც მწვავდა, დედაზე მაგინებდა კაცი, კაცო!... მრცხვენოდა, ქმა-რი რომ მაგინებს კაცის წინაშე: „შენი დედა ასე და შენი დედა ისე“. შენი ცოლი მე ვარ, თუ ჩემი დედაა შენი ცოლი – აგერ, შვილთან რომ ვლაპარაკობ (შვილი რომ მისმენს). ჰო-და ეს კვლავ განაგრძო, რომ განაგრძო, განცხა-დება მივეცი და გაყრა გავაფორმე (მივეცი), გადმოვედი, და წამოვედი იქი-დან და გუჯუ ბეჭვამის სახლში ოთახი ავიღე.

– ბავშვები წამოიყვანე, არა?

– ბავშვები წამოიყვანე. ჰო-და იმ ღამეს იქ მომივარდა, ღამეა ჩამიმ-ტვრია. გუჯუ გამოვარდა, საცოდავი, თოფი დაიკავა და თოფით გააგდო.

ქიგუგებუდეს თი მთავრობას – ჩქიმი დიდაშ ბიძისკუაში ქომონჯი მუ-
შეენდ ის – შენსახკომს, ოლო უჭოფუდეს იშო მაჟია დღას თენა.

– თომაო?

– თომა უჭოფუდეს მაჟია დღას იშო დო, თინა რდ, ნამდა ფედოსია
ბასიახე ქემორთ ჩქიმდა, ათაში რენია საქმე

– ფოსტას გითორდგნი, თინაო?

– ჰო! ეეთი ფედოსია ქემორთ ჩქიმდა. მა მეუჩინი – პილა დანელია'დ
თექ დო თი პილას მეუჩინი, ვაჭოფათ-მაქ ჩქიმ გურიშენი, მა დემეთხუას
ოლონდა დო ვაჭოფათ-მაქ.

10 თინკეკლა ხოლო ფოსტას ნამუშერი ვორდი, მუ დროს ვორდი ინკეკლა,
გრიშა გოროზიაი ეუდესგნი, ფოსტას დღაშით, სერით მუეშეენდი ტელე-
ფონს. მარტვიშია განცხადება მიდუოჯლონი დო გომიტეეს მეურნობაშ ფოს-
ტაშა. კოლია ინა, ბასლაია, მუშეენდ თექ, ჩილამო-სკუამო თექ მილარდ,
მეთოში სკუა'დ დო ახვლედიანიხე ეკუხედ ძღაბი ათაურე, ჟინოთაშე. უკუ-
ლი, ნანა, მუ დოს ვარდუი მუშობა ქიდივჭყინი, ართი ოთახგს კოლია ცხოვ-
რენდ, მაჟია ოთახ უდუდ ფოსტას დო ბალანამო თექ ვორდი. ამშვი თუთაში
უკული ქათექ გეკლარჩქინდ, კირილექ, ოსური ღურელი აფუდუნი, ფერი
20 ბალანეფი ოკო მოზრდე-მაქ, გაჭირებულო ნაცოდელა ბალანეფი, გაჭირებუ-
ლო გეტებუელი. ირო შხვას, შხვას მეზრათია, იძახუდუ-მაქ დო ჩქიმი ბალანე-
ფი შხვაშა ვემმარინე. მიგდა ჩქიმი ბალანემს მორდუნსუნი, თი კორი იყ უაფ
ჩქიმი მინჯე დო თიმ მინჯე მა ხოლო ვიყუაფუქ-მაქ. ოლო ოთხი ბალანამ
კოს მიდუაყუნი, კირილეს. თექ ხოლო ქემმაკათ ჩქიმი დიდაქ...

კირილე ერქვანია

– ჟირი ბალანა სი რყუნდუ დო ოთხი კირილეს, ვარო?

– ოთხი ცუნდუ კირლეს: სუმ ბოში დი ართი ძღაბი, ამშვი პუნდუ ართო.

30 მიშიკოქ დოვხვადუ მაჟია კლასის, ვახტანგი'დ პირვეი კლასის, ჟინარა რდ
ოთხი ნანერი, გურამი ვარდ სუმ ნანერი, მასმა ნანას მიშუ. ათენემს ხე ქემოვ-
კიდი, სკანი ჭირი ჩქიმი დუს, ნანა, დო მუზმა ვარენო შრომა დო ტანჯვა
მიძირგნი, თიზმა გახარება უძირგდას სკანი ნარყის დო ჩქიმი ნარყის.

– კირილეში ახაიგაზდობა ვშე, ბოში ვარდ, მარა ძამი მანგარი კორი'დ
დო სკვამი კორი'დ.

– ო. უგურაფუ კორი ვარდ, სამსახურს ირდხას მსახურენდ კირილე.
დიო, ჩქიმ პატონ აექენი, სამტრედიას მუშეენდ ძაფსალეზი ქარხანას; უკუი
ბაზარს მუშეენდ; უკუი თევრე ქემორთ დო ჭყონიში აბრეშუმეშა გუტეეს –
ფარდუი უდუდუ დო გამგე'დ; თიშე უკუი კოოპერაციაში თამჯდომარეთ
მუშეენდ; კოოპერაციაში უკუი კოლმეურნობაში თამჯდომარეთ მუშეენდ;

ეს გაეგოთ იმ მთავრობაში – ჩემი დედის ბიძაშვილის ქმარი მუშაობდა იმაში – შინსახკომში, ჰო-და დაეჭირათ მეორე დღეს ეს.

– თომა?

– თომა დაეჭირათ მეორე დღეს და, ის იყო, რომ ფედოსია ბასილია ჩემთან მოვიდა, ასე არისო საქმე.

– ფოსტაში რომ მუშაობდა (იდგა), ის?

– ჰო! ის ფედოსია მოვიდა ჩემთან. მე შეეუთვალე – პილა დანელია იყო იქ და იმ პილას შეეუთვალე – არ დაიჭიროთ-მეთქი ჩემი გულისთვის, მე ჩამომეცალოს ოღონდ და არ დაიჭიროთ-მეთქი.

მაშინ უკვე ფოსტაში ნამუშევარი ვიყავი, როცა ვიყავი იმასთან, გრიშა გოროზიას სახლში, ფოსტაში დღისით, ღამით ვმუშაობდი ტელეფონზე. მარტვილში განცხადება გავვზავნე და გამიშვეს მეურნეობის ფოსტაში. კოლია ისა, ბასილია, მუშაობდა, იქ, ცოლიანად, შვილიანად იქ იდგა, მეთოს შვილი იყო და ახვლედიანი ჰყავდა ცოლად, გოგო აქედან, ჟინოთადან. მერე, ნანა, როცა მუშაობა დავიწყე, ერთ ოთახში კოლია ცხოვრობდა, მეორე ოთახი ჰქონდა ფოსტას და ბავშვიანად იქ ვიყავი. ექვსი თვის შემდეგ ეს გამოჩნდა, კირილე, ცოლი მკვდარი რომ ჰყავდა, ისეთი კაცი, ოთხი ბავშვი რომ ჰყავდა, ისეთი კაცი და...მანამდეც მოვიდა ჩემთან ხალხი, სხვა, სრულიად, სრულიად შვილი რომ არ ჰყავდა, ისეთი ხალხი, მაგრამ, მე ჩემი ბავშვები უნდა გავზარდო-მეთქი, გაჭირვებულად ნაცოდვილარი ბავშვები, გაჭირვებით შერჩენილი. მუდამ სხვას, სხვას მივცეთო, იძახოდა-მეთქი და ჩემს ბავშვებს სხვას ვერ მივცემ. ვინც ჩემს ბავშვებს გაზრდის, ის კაცი იქნება ჩემი პატრონი და მისი პატრონიც მე ვიქნები-მეთქი. ჰო-და ოთხშვილიან კაცს ნაყყვი, კირილეს. იქაც მომივარდა ჩემი დედა...

კირილე ერქვანია

– ორი ბავშვი შენ გყავდა და ოთხი – კირილეს, არა?

– ოთხი ჰყავდა კირილეს: სამი ბიჭი და ერთი გოგო, ექვსი მყავდა სულ. მიშიკო დამხვდა მეორე კლასში, ვახტანგი იყო პირველ კლასში, ჟინარა იყო ოთხი წლისა, გურამი არ იყო სამი წლისა, მესამეში იდგა (მესამე წელს მიდიოდა). ამათ ხელი მოვკიდე, შენი ჭირი შემეყაროს (შენი ჭირი ჩემს თავს), ნანა, და, რამდენი შრომა და ტანჯვაც მინახავს, იმდენი გახარება ენახოს შენს შთამომავალს და ჩემს შთამომავალს.

20 – მუნერო და თით, ნამდა ოჯახის ეთმიჯუმუანდ, ოლიას მუთუნი ვე-
შულეებუდუ დო მუთუნი ვამაღინედ. მუს ქიმულანდი მუთუნს-და, გაიკე-
თენდ დო ქოიჩანდ. მეტი მუთუნ ვეშულეებუდუ თეს. ოდო ათენა ქობალს
ქიმიღანდ ფაფრიკას ნამუშერიშე, ქობალსგნი, თვითონ ვახვადუდ ართ
ლუკაში მეტინი, თეში თენეფს დადიარუანდ. თენა ოუნთალი რდუო, ონა-
ხვალი რდუო, ოციდე რდუო, იფრეჟს თენა მუკუურდუ. ათენეფქ თევრე
ქიმიჭარეს, ფარა მოკონანია პრავაშ* ეოჭოფაჲო, შოფერობა დიბგუ-
რეთია. ჟირხოლოს ფარა მეუჯღონ თენეფს. გვალო მუშით ვარდ თინა,
ბრეი მიჩქ მა, სქანი მინაჯღონა ფარა ხოლო იხვარ თექინ, ბრელ მიჩქე,
გვალა ბრეი მიჩქ. აარდა მაფუ დინოჭაროი ტვინშა, ტვინშა დინოჭაროი მა-
ფუ ჟიროში მანათი, ოშ მანათი, სუმოში მანათი. სოდგარენი ბანკის მი-
30 ლუნია სკანოთ მზითიში ფარა დო თინა აარძო გაინორხიტორეს, გაინორ-
ხიტორეს დო სკანი შრომა ხოლო ერქვანიეფს თენა არდა ქიმკუჭაბუუ სქა-
ნი დაქ. ათენეფს აარდა, აპა ვარდ მუღირინი თეში, ვალიაქ ქიმუჯღონ.
უკული აპაქ ქუმორთ, ჩქიმ პატგნ რექენი, ცუდე ქიდიიჭყ, ცუდექ ქიგირ-
ცუუ, ხომ ქარწყექ? აპაქ ქიდიიჭყე ცუდეში შენება, აპაქენი, ჩქინი ოჯახი
დო აარდა ჩქი მუვშენდით ოჭკირუს, თექ ბჭკირით ჩქი თე ცუდეში ბერკე-
ფი დო ინეფი, არდა ვოხვარუდით. მიოკორდ ცემენტიქ. იზდორე ერქვანი-
აში ცუდეს ძუდუ ცემენტინი, მიჩქუდ დო მიდაფთი. ართი ტუკი ცემენტი
ორკედეს მუდგაშოთ'დგნი, ოდო ქომუჩით – მა უნი – მანგიორშა, ვარა
ფარაშა, ვარა ქუმასხისხით-მაქ. მანგიორშა მერჩანთია – მინიის. ჟორჟიქ,

– გუდუ სხულუხია ვარო. მომეციო, ფული ცოტა მაინც თუ გაქვსო. დღეს რომ მიხვალ შენ ჭყონში და შეუთვლიო, ჩემი ცოლი შენ ფულს სახლში მოგიტანსო. მე ამას არ დაგიკარგავო შენო, ჩემი ბატონი რომ ხარ. და ის გუდუ სხულუხია დაბრუნდა, აქ გარდაიცვალა ის. ამოვიღე და ოცი მანეთი მივეცი. დღესაც ვნანობ, რატომ ასი არ მივეცი! ფული მიმქონდა, გამოტანებული ფული, ჩემიც მქონდა. რატომ მეტი არ მივეცი! დღესაც ვნანობ. ეს შეცდომა მაქვს დაშვებული, ჩემი ბატონი რომ ხარ. მას უჭირდა და ის ოცი მანეთი რას უშველიდა? კიდევ მიმეცა-მეთქი.

ჰო-და ნამოვედი აქეთ და მიმასწავლეს. ცხაკაიაში* რომ მივედი, ფოთში მიმასწავლეს, ფოთში რომ მივედი, გადაიყვანესო, ნაიყვანესო იქით, სოჩაში. მერე მე მას ვერ გამოვეკიდე. ტუაფსედან წერილი მოიწერა და გათავდა, მას შემდეგ არაფერი იყო, დაიკარგა ის. დაიკარგა იქ. მერე მისი არაფერი ჩანს.

ვალთა და აპა

აპამ ცოლი რომ შეირთო, მერე ჯარში წაიყვანეს. აპა ჯარში რომ იყო, ისე ვალოდია წაიყვანეს. ვალოდია ჯარში რომ იყო, ისე იროდი წაიყვანეს. ამათ (ამას) ყველას პასუხი შენმა დამ გასცა.

– როგორ ?

– როგორ და იმით, რომ ოჯახს არჩენდა. ოლიას არაფერი შეეძლო და ვერაფერს მოიტანდა. მას თუ მოუტანდი რამეს, გაგიკეთებდა და გიჭმევდა, მეტი არაფერი შეეძლო ამას. ჰო-და ეს პურს რომ მოიტანდა ფაბრიკაში ნამუშევრიდან, პურს, თვითონ რომ არ ერგებოდა ერთი ლუკმის მეტი, ისე ამათ დააპურებდა. ეს საუთაო იყო, სარეცხი იყო, საყიდელი იყო – ყველაფერს ეს აგვარებდა (შეიძლება აგრეთვე: ეს იღებდა თავის თავზე). ამათ იქიდან მოიწერეს, ფული გვინდაო მართვის მოწმობის ასაღებად, შოფრობა ვისწავლეთო. ორივეს ფული გაუგზავნა ამათ. მთლად მისითაც არ იყო ის. ბევრი ვიცი მე, შენი გამოგზავნილი ფულიც რომ გამოიყენა მან, ბევრი ვიცი, ძალიან ბევრი ვიცი. ყველა მაქვს ჩანერილი ტვინში, ტვინში ჩანერილი მაქვს ორასი მანეთი, ასი მანეთი, სამასი მანეთი. სადღაც ბანკში მაქვსო შენთვის მზითვის ფულიო და ის ყველა გამოგტყავეს, გამოგტყავეს და შენი შრომაც ერქვანიებს ეს ყველა მიანება შენმა დამ. ამათ ყველას, აპა რომ არ იყო მოსული, ისე ვალიამ გაუგზავნა. მერე აპა ჩამოვიდა (მოვიდა), ჩემი ბატონი რომ ხარ, სახლი წამოიწყო, სახლი სიძველისაგან დაინგრა, ხომ ხედავ? აპამ რომ დაინყო სახლის აშენება, აპამ, ჩვენი ოჯახი და ყველა ჩვენ ვმუშაობდით ჭრაზე, იქ დავეჭერთ ჩვენ ამ სახლის ბერკეტი და ისინი, ყველა ვეხმარებოდით. მოაკლდა ცემენტი. იზდორე ერქვანიას სახლში რომ იდო ცემენტი, ვიცოდი და წავედი. ერთი შეკვრა ცემენტი აკლდათ რალაცისთვის, ჰო-და, მომეცით – მე ვუთხარი – სამაგიეროზე, ან ფულზე, ან მასეხხეთ-მეთქი. სამაგიეროზე მოგცემთო – მითხრეს.

იზდორეში ბოშიქ, ახალი მუღირი'დ ქარჩე დო, მიდგალინენია, ლოლა ბი-
ცო, სია და, მერჩანქია, მიდელია – მიწუ. თეში ქიკნიბდვი, თეში ქიმიკიბ-
დვი, მოთაღეფს გიფურუანქ, ჩქიმი მიშა ერქვანიაში ძვალს გიფურუანქ,
სოდე მითოძუნ, თექ. ოდო მიშაქ ქენმაზად, ცუდეში უკახალე უშქური გე-
ჩაანდუნ, ცეთექ მიშაქ ქენმაზად დო გეინომილ, ვარა ხუჯით ცათაქ ქიმი-
იბლი. ათეზმა მონდომებული ვორდი მა თენეფშო.

10 თექ ხოლო სქანწელა რდეს, თექ, ქართის. ჩქიმა ქიმილეს ცხაკაია-
შა* დუდი. ვაღიაქ აშ კინირთ, აშ ქემორთ ჩქიმა თექ. ათეჯგუა ხოლოს
ართმაჟიანკელა ვორდით, დიდა-სკუაჯგუა ვორდით. ამდლა ხოლო, ამდლა
ხოლო. მა თევრე მოლაფთინი, სალხინოს ვარ, თენეფწკეა ვორდი. მა სალ-
ხინოს მუთუნშა ვეშმაღედუ, ჩქიმი თექიანი რინა ქომიჩქედ. საქმე ამდლა
ხვალე ვარე, ჭუმე ხოლო მოკონა, გიდან ხოლო მოკონა, იშო-იშო ხოლო
მოკონა. ქიდგარინე თექ დო ვადგარნენი, ოკო გიჩქე დას კოს. მა ასე ხოლო
ვამაფ გინოჭყვადილი, სო დუმარინე დო მუს დუმარინენი. დიო ჩქიმი ვარე
ი ეზო, მუდა ნანა რე, ჩქიმი ვარენ ფერს მიღვორექენი. ცუდეს ხოლო ქობ-
ლოლანდი, მარა მა ხე მოჭარილი მაფუ, ი კოჩი ჩქიმი ნახარჯის ვადომირ-
თინუანს დო მუშა ვაკეთა თენა? თინა მიკვოჭკადენი, ბოში, თინა მიკახუ-
არქ მაუას, მუთუნშა ვამასარგებლებე, ოდო...

20 ლტოლვიქ ხომ ქუმობთი აპაში ცუჩა, თინა ჯგირი მიკეთებუნი, თი
ჯგირქ სოდე ევალუნი! ქუმობთინი, აპაში ცუჩა მოვრთი, შხვა მითინიში
ცუჩა ვამომრთუმ, ნამთინიში, აპაში ცუჩა ქუმოფთი. ოდო ზოთონჯი'დ
მოფთინი, ათაში'დ საქმე. ლიმოქ მიმონურუუ ხოლო, ცეთი ცუდე თავისუ-
ფალი რენია, მეტი თაქ ცუდე ვარე თავისუფალია.

– აპაშენი რაგადაანდი, სქუაეფცაჰო მემოჩქუნია.

– ვართი ვალიაში სქუაღეფი ჩქიმი მოთაღეფშე გიშაგორილ ვამაფ ნამ-
თინი! ნამთინი! აარძა ჩქიმი ხეში გინაფურონეფი რე, ოდო აარძა ჩქიმი
ხეში ინა რე, ნაფერეფი.

– სქანი ნარდი რე არძა, თიშენ რე ლოლა ნანას გიძახუნანი.

ვალოდია, იროდი დო გივი

30 ვალოდიაქ უწუუ [აპას], სი ასე ვითოჟირი ნანა რენია, თაქ მილარექი-
ანი დო ყუდე გომიროლევეა, ანია მა ოკო დობდირთევა თაქიავა დო, სი
ცუდე გეიდგუნია დო მეუ დო მილადირთია – უწუ აპას. მონწყილი ვა-
აფუდუ ვალისა ცუდე. ანა ქომქიდუუ ვალოდიაქ მუში მარდუალი ნოსას

– მოიცა! აპას ცუდე ტახიი აფუდუო?

– ვარ ტახილი ვარ, უკუელი აშენებული აფუდუ. თი ცუდე, ასე უდუ
აპასენი, თინა ვალოდია თოდუაშე იპიდით, ოთხოშ მანათი ფარა მეჩ ვა-
ლიაქ თის.

– ქო, მარა, ...აა, ართო ცხოვრენდეს, მუმამი ცუდეს ცხოვრენდეს...

ჟორჟიმ, იზდორეს ვაჟმა, ახალი ჩამოსული იყო თბილისიდან და – წალებას თუ შეძლებო, ლოლა ბიცოლა, შენო, მოგცემო, წაილეო – მითხრა. ისე გავიდე მხარზე, ისე მოვიგდე, შვილიშვილებს გეფიცები, ჩემი მიშა ერქვანიას ძვალს გეფიცები, სადაც ალაგია (დევს), იქ. ჰო-და მიშა შემომეგება, სახლის უკან ვაშლი რომ გვედგა, იქ მიშა შემომეგება და გამომართვა, თორემ მხრით აქამდე (აქ) მოვიტანე. ამდენად ნდომებული ვიყავი მე ამათვის.

იქაც შენთან იყვნენ, იქ, თბილისში. ჩემთან მოიტანეს ცხაკაიაში* თავი. ვალია აქეთ ჩამობრუნდა, აქეთ მოვიდა ჩემთან იქ. ასე ახლოს ერთიმეორესთან ვიყავით, დედა-შვილივით ვიყავით. დღესაც, დღესაც. მე იქიდან რომ წამოვედი, სალხინოში კი არა, იმათთან ვიყავი. მე სალხინოში არაფერი გამომივიდოდა. ჩემი იქაური ყოფნა [უაზრო რომ იყო], ვიცოდი. საქმე მხოლოდ დღევანდებლობა არ არის, ხვალაც გვინდა, ზეგაც გვინდა, შემდეგ და შემდეგ (იქით-იქით) კიდევ გვინდა. გედგომება იქ თუ არ გედგომება, უნდა იცოდე კაცმა. მე ახლაც არა მაქვს გადანყვეტილი, სად დამედგომება და როგორ (რას) დამედგომება. ჯერ ჩემი არაა ის ეზო, რამდენი წელია, ჩემი რომ არაა, ისეთში ვდგავარ. სახლს [რამეს] კიდევ მოვუხერხებდი (ვუზამდი), მაგრამ მე ხელი მონერილი მაქვს, ის კაცი ჩემს დანახარჯს არ დამიბრუნებს და რატომ გავაკეთო ეს? ის რომ მივაჭედო, კაცო, ის მოსაძრობი რომ გამიხდეს, ვერაფერში გამოვიყენებ, ჰო-და...

ლტოლვილი ხომ მოვედი აპას სახლში, კარგი რომ მიკეთებია, ის კარგი, აი, სად გამოჩნდა (იხეირა)! რომ მოვედი, აპას სახლში მოვედი, სხვისი არავის სახლში არ მივსულვარ, არავისაში, აპას სახლში მოვედი. ჰო-და ზამთარი იყო, რომ მოვედი, ასე იყო საქმე. ლიმომ მიმასწავლა კიდევ, ის სახლი თავისუფალიაო, მეტი აქ სახლი არაა თავისუფალიო.

– აპას შესახებ ლაპარაკობდი, შვილად (შვილივით) მიმჩინაო.

– არც ვალიას შვილები ჩემი შვილიშვილებისგან გამორჩეული არა მყავს (მაქვს) არც ერთი! არც ერთი! ყველა ჩემი ხელის შენავლებია, ჰო-და ყველა ჩემი ხელის ისაა – ნაფერები.

– თქვენი გაზრდილია ყველა, იმიტომაა, ლოლა ნანას რომ გექახიან.

ვალოდია, იროდო და გივი

ვალოდია უთხრა, შენ ახლა თორმეტი წელიაო, აქ რომ ცხოვრობო (დგახარო) და სახლი დამიცალეო, ანო მე უნდა ვიცხოვროო (ვიდგეო) აქო, და შენ სახლი გიდგასო და წადი და იცხოვრეო – უთხრა აპას. განყობილი არ ჰქონდა ვალიას სახლი. ეს ჰკადრა ვალოდია თავის გამზრდელ რძალს.

– დაიცა! აპას სახლი დამტვრეული (გატეხილი) ჰქონდა?

– არა, დამტვრეული (გატეხილი) კი არა, გვიან (მერე) აშენებული ჰქონდა. ის სახლი, ახლა რომ აქვს აპას, ის ვალოდია თოდუასგან ვიყიდეთ. ოთხასი მანეთი ფული მისცა ვალიამ მას.

– კი, მაგრამ... აა, ერთად ცხოვრობდნენ, მამის სახლში ცხოვრობდნენ.

– ათე დიხა, ხომ ოსური ქიმიონუ თექენი, მა უნი თენენს, მოცონაფი-
ლი რე ლიმი ასე დო ხენა, ართო რენა ირკოჩი. მა უნი აპა დო ის, ვაღიას
დო, საერთოთ, იროდი დო არძას: ათე ვალოდია ვარე მუშა კოჩი, თეს მუში
ცხოვრებას ვაუმუშეებუ, ათენა ათაქ ქოორდას, ათე სკანი ბერკეტეფი
თუ ბალავერი, თაქ ქიდიტე-მაქ, თქვა, ჟირხოო ჯიმაღლეფქ, თევრე გინი-
ლით დო თექ დიხორით-მაქ. თქვა შეგილებუნა მუშობა, ირფელი, დო თექ
ქიდიხორით, ართიანს ქიჟუდირთით დო, ენა ათაქ ქორდას თე მუამუშიში
ცუდეს დო სქანი გამენებულს – მა უნი. ათენა მა ქიღამჯერეს, დო თე
ბალავერდინორღვაფილი ცუდე ქუდუტეეს ვალოდიას თენენქ დო აშო
10 გინილეს. ათეს დიდას ვადუჯერს სკუა, მა აპაქ დამიჯერ დო იროდიქენი,
თის. ასე ხოლო ივჩიებუქ მა: მა დობლურუქ-მაქენი, აპა დო იროდიში მეტიქ
ჩქიმი კიდას ვემკოდირთას-მაქ – ასე ხოლო ბრავადანქ, ცუდეს ხოლო
იბჩინანქ – მუშო მოკო-მაქ, თქვა ვამირჩქილეთ-მაქ მა, ათეზმა საქმე
მირჩქილ თე კათაქ-მაქ-დო.

უკული თინა'დ, ვალოდია მუშოთ ოხორაანდ, აპაქ თი მუშო ქიდიხორ.
იროდის, ჩქიმ პატენ რექენი, ულუდუ მასალა იფრელი, დო ოსურს ვათხუ-
ულენს. ეში რავადიე, ირო გითმაფურცქინანა: „იროდი დო მედიკო,“ „ორო-
დი დო მედიკო.“ ხოლო აპა დო ვაღიაქ ქეთომირჩქინეს მა დო კირიგე დო
20 ართი სერს იროდი ქიპოთით აპა[შ] ცურა. ვარი ცუდე ოშენებელიე, ირო-
დიში ცუდე ოშენებელიე. აპაქ ოსტატეფი, მუში ოსტატეფი, ქიმიონ, დო
გეეშენას ოკო იროდიში ცუდექ. დო იროდი ჭე ჯორი კოჩიე: იროდი არძენს
ათეზმა ფარას, ი კათა ხუთოში მანათის უძინანა დო იშ უმშო ცუდეს ვა-
აშენენა, დო ვარა მეულა. აპაქ ქითმორავადუუ, ნამდა ხუთოშის მა ქიგუ-
ძინანქია, შურო ვაურჩქუდასია იროდისგნი, თეშია. დო იროდიი ცუდექ თეში
გეშენინუ, ნამდა აპაქ ხუთოში მანათი გეუძინუ, იროდის ვაურჩქუდუნი
თეში, ოდო თი კათას ქიმერუ. დო უკული გეგუ იროდიქ დო ლაჭაფუ – მა
30 მუშენი ვამირჩქუდუა თენა?! მარა იროდის ხოლო მუში შრომა აპაში ბალა-
ნეფიმა \ხოლო\ ქიგურჩქუ ხუთოში ვარ, მეტიშ ხოლო. იროდი დღამ დო
სერით მუს შიბულენდენი, ჩქიმ პატენ რექენი, მუთუნიმ კინოკინა ვაურ-
ქუდუ. არძას ოხვარუდუ იროდი, არძაში უმოსო აპა დო იროდიე ნაშრომი
თექ, მხვა – არკაკალი ვარ.

უკული ოსურიში მოონაფაშა ქომიჭანეეს ხოლო დო არძოქ კურხი ქუ-
დუშქვით იროდის, ბირგული დუშქვით.

- ვაკოდუო ოსურიში მოონაფა?
- ვეგნაჭყვიდედ, ოდო ქუმუონებაფეთ თინა თიმ დღას – მედიკო.
- მუ ჯგირი ოსური რდ! მუ ჯგირი!
- მედიკო ვალურედუკონი, მედიკოს ვაუჯგუდკონ იიდ ნამთინი. მე-
დიკო'დ სიმართლეში ოსური.
- სკვამი ოსური'დ.
- 40 – მედიკოჯგუა ვარდუო ვაღია ქოცოფედუკონი, მედიკოჯგუა ოსუ-
რინი, \ვაღიას\ ჩქიმ პატენ რექენ, ვაღიაში ნოხოლე ჩიტი ვეგლაფური-

– ეს მინა, ხომ ცოლი შეირთო იმან, მე ვუთხარი ამათ, მოყვანილია ლიმო ახლა და სხედან, ერთად არიან ყველანი. მე ვუთხარი აპას და იმას, ვალიას და, საერთოდ, იროდის და ყველას: ეს ვალოდია არაა მუშა კაცი, ამას თავის სიცოცხლეში არ უმუშავია, ეს აქ იყოს, ეს შენი ბერკეტებია თუ ბალავერი, აქ დატოვე-მეთქი. თქვენ, ორივე ძმები, იქით გადადით და იქ დასახლდით-მეთქი. თქვენ შეგიძლიათ მუშაობა, ყველაფერი და იქ დასახლდით, ერთმანეთს ამოუდევით მხარში, ეს აქ იყოს ამ მამამისის სახლში და შენს გაშენებულში – მე ვუთხარი. ეს მე დამიჯერეს, და ეს ბალავარჩაყრილი სახლი დაუტოვეს ვალოდიას ამათ და აქეთ გადმოვიდნენ. ამას დედას არ დაუჯერებს შვილი, მე რომ აპამ დამიჯერა და იროდიმ, იმას. ახლაც ვამბობ მე: მე რომ მოვკვდები-მეთქი, აპა და იროდის გარდა [სხვა] ჩემს კუბოსთან არ დადგეს-მეთქი – ახლაც ვამბობ, სახლშიც ვიბარებ – რად მინდა-მეთქი, თქვენ ყურს არ მიგდებთ-მეთქი მე, ამხელა საქმე კი გამიგონა ამ ხალხმა-მეთქი-და.

მერე ის იყო, ვალოდია თავისთვის სახლობდა, აპა თავისთვის დასახლდა. იროდის, ჩემი ბატონი რომ ხარ, ჰქონდა მასალა ყველაფერი და ცოლს არ თხოულობს. ისე ლაპარაკია, ხშირად (სულ) ჩურჩულებდნენ: „იროდი და მედიკო“, „იროდი და მედიკო“. კიდევ აპა და ვალიამ შეგვიჩინეს მე და კირილე და ერთ ღამეს იროდი ჩავიგდეთ ხელში აპას სახლში. არა და სახლი ასაშენებელია, იროდის სახლი ასაშენებელია. აპამ ხელოსნები, თავისი ოსტატები, მოიყვანა, და აშენდეს უნდა იროდის სახლი. და იროდი ცოტა ჯიუტი (ჯორი) კაცია: იროდი აძლევს იმდენ ფულს, ის ხალხი ხუთას მანეთს უმატებს და ამის გარეშე სახლს არ აშენებენ, თუ არა და მიდიან. აპამ ჩამილაპარაკა, რომ ხუთასს მე დავამატებო, სულ რომ არ იცოდესო იროდიმ, ისეო. და იროდის სახლი ისე აშენდა, რომ აპამ ხუთასი მანეთი დაუმატა, იროდიმ რომ არ იცოდა, ისე, და იმ ხალხს მისცა. და მერე გაიგო იროდი და იკამათა – მე რატომ არ ვიცოდით ეს?! მაგრამ იროდისაც თავისი ამაგი (შრომა) აპას ბავშვებზე აქვს ხუთასისა კი არა, მეტისაც. იროდი დღედაღამ (დღისით და ღამით) რასაც შოულობდა, ჩემი ბატონი რომ ხარ, არაფერზე (არაფერი) უკან დახევა არ იცოდა. ყველას ეხმარებოდა იროდი, ყველაზე მეტად აპა და იროდია ნაშრომი იქ, სხვა – არც ერთი არა.

მერე ცოლის შერთვაზე დაგვიბარეს კიდევ და ყველამ მუხლი (ფეხი) მოვუყარეთ იროდის, მუხლი მოვუყარეთ.

– არ უნდოდა ცოლის შერთვა?

– ვერ წყვეტდა, ჰო-და მოვაყვანიეთ ის იმ დღეს – მედიკო.

– რა კარგი ქალი იყო! რა კარგი!

– მედიკო რომ არ მომკვდარიყო, მედიკოს ვერ აჯობებდა (ვერ აჯობებდეს იქნებოდა) ვერავინ, მედიკო იყო სიმართლის ქალი.

– ლამაზი ქალი იყო.

– მედიკოსთანა ვალია რომ ყოფილიყო, მედიკოსთანა ქალი, \ვალის-ას, \ ჩემი ბატონი რომ ხარ, ვალიაზე ნინ ჩიტიც ვერ იფრენდა (ვერ იფრენ-

ნუნდგკონ იიდუ ცას, მარა ვაღია'დ ირკოჩიში. მედიკო'დ სიმართლემ ოსურ-რი. მერჩანდუ-და, მერჩანდუ თის, ჩქიმ პატენ რექენ; გასხისხენდუ-და, ქომეჩიკონი ოკო; დახარჯენდუ-და, დახარჯუკონი ოკო ჯგირო, ოდო ვაღია – ჩქიმიჯგუა. ჩქი ართიანი თიშენი მიცორა, ნამდა ჩქიმიჯგუა [რე].

– ბიქტორი ხოლო თეში'დ, ჩხონაფიი.

– დიო ცას ელმუურსუ ბუა[ნი], ართო ქაატიბუანსო თინა დედამინას? ართი მხარეს – დიო, უკული – მაჟიას, მასმას დო ათაში გინმუქოფუანს ხეს. ჩქი საშუალება ვამიღუნა, მუზმას ივზინდუაფუთუნი, თიში: ვართი ვაღია დო ვართი ჭოლას.

10 უკული, სკანი გოლუაფირო, გივიშა მიდართ საქმექ. გივი გურაფუ-ლენს ტეხნიკუმს, იროდი მუკურე თეს პატრონო. მუთ ვარდუო თენენქ გინილ არძაქენი, ოჯახის ოგაფური რდუო, თუ მუდგარენი, მუთუნი მიო-ლაღარი დუო – იროდი'დ. იროდი ხემძღვანენდ ოღია დო გივის, თინა მუკურდუ, მუკურდუ ნამდვიო. იფრელი საქმეს ორწყედ თინა. გემშე-ეპონითანი, უკული ინა ხოლო ორწყედ – აპა. ვალოდიაში ოსურქ ვალო-დიას ვემეჩ გასაქანი.

– მუშენი?

– მეტის შიბულენდ ინა, დო მუშოთ ოკოდ დო იხორუედ დო იკარუ-დუ დო ვემეჩუ, კაპიკიში* საშუალება ვემეჩუ. მა ვამიჩქ, ცოდა მუნეფს 20 ქულუდას დო, ოღიას აფ, სანყალს, ნარაგად: ერ მანათი ფარაში გურშენი ათაში ხემოკიდირაფილო დუდს, რკიანდუა, მუშენ მეჩია-დო. მა თენა ვა-მიჩქე, ცოდა მუნენს ქულუდას.

უკული, სკუა, გივიქ ოსური გეჭოფუ დო გეგნიონ დო მიდეცონ თენა.

– მინ?

– ნანი, ნანი, ფუშა ბერსკუაი ძლაბი. მითინგუა ვაუკითხირ თენა, თეშ ქიმიონ. ო, სქანი ჭირგმა, დო ბანძაშა მიდეცონ თენა ბიძიში ცურა, ბანძაშა. მორთუ ამბექ: „მუ რე“? – „გივიქ ოსური ქიმიონ, ფუშაში ძლაბი, ნანი!“ მუ ოკო ქიმიონ? მითინი ვარე გივიში პატრონი, ოღიაქ მუ ქიმნას, მუთუნი ვაპალუენი?, ხოლო – ვაღიაქ: მორთით! მომიცონით! მა ვიქუნქ იფრელსია დო ოსკიში კარი გააჯუ, ოქოთომე გააჯუ: ა, პატენი, ცვილით; ა, პატენი, 30 ქიმიონითა დო ხე მეთხით; ა, პატენი, ქიმიონით; ა, პატენი, ქიმიონითა დო თენა ვაღია დო აპაში დუდით ქიმიონეს თენეფქ, დო ბოლოს თემ გეგმანწყუ ი ბერისგხექ საქმე, თაქ ონგარალო ვაანგარეს.

– ნანი ცოცხალი ხომ ქორე?

– სო რე ცხონცხალი?! ვარ! მასმა ნანაე – ვარე. დოლურუ. მუჭო დო-დურუ, ქოიჩქუდა? ნანდვილი საცოდარო დოლურუ, საცოდარო. ინწვალუ ბრელი, დოლურუ საცოდარო.

– ი, გივიში ბოში მუს ორთუ?

– გივიში ბოში, ი ფუშა დო თიში ოჯახიში ნარდიენი, თინა... იქ უმად- 40 ლესი დაამთავრ, ჩქიმი ცუდეს ხოლო რდ დო მა ხოლო წილი მილუდუ თინკვა. დო ჩქიმი ცუდეს კარიდორი მილუდუ, თექ კოჩი ეფშა'დ, თექ დოხუნა-

დეს იქნებოდა) ცაში, მაგრამ ვალია იყო ყველასთვის (ყველასი). მედიკო იყო სიმართლის ქალი. თუ მოგცემდა, მოგცემდა იმას, ჩემი ბატონი რომ ხარ; თუ გასესხებდა, დაგებრუნებინა უნდა; თუ დახარჯავდა, დაეხარჯა უნდა კარგად. და ვალია კი – ჩემისთანა. ჩვენ ერთმანეთი იმიტომ გვიყვარს, რომ ჩემისთანა[ა].

– ბიქტორიც ისე იყო, ცხოვრებული.

– ჯერ ციდან რომ ამოდის მზე, ერთიანად ათბობს ის დედამინას? ერთ მხარეს – ჯერ, მერე – მეორეს, მესამეს და ასე უწვდის ხელს. ჩვენ საშუალება არა გვაქვს, რამდენსაც ვიქაჩებით, იმისი: არც ვალიას და არც ლოლას.

მერე, შენ შემოგველე, გივიზე მიდგა საქმე. გივი სწავლობს ტექნიკუმში, იროდი ადგას ამას პატრონად. რაც კი ესენი გადავიდნენ ყველანი, ოჯახში გადასახადები იყო თუ რაც იყო, რამე მისატანი იყო – იროდი იყო. იროდი ხელმძღვანელობდა ოლიასა და გივის, ის პატრონობდა, პატრონობდა ნამდვილად. ყველა საქმეს თავის თავზე იღებდა ის. რაც შევიყვანეთ, მერე ისიც პატრონობდა – აპა. ვალოდიას ცოლმა კი ვალოდიას არ მისცა გასაქანი.

– რატომ?

– მეტს შოულობდა ის, და თავისთვის უნდოდა, და სახლდებოდა და კარდებოდა და არ მისცა, კაპიკის* საშუალება არ მისცა. მე არ ვიცი, ცოდვა მათზე იყოს (მათ ჰქონდეს) და, ოლიას აქვს, სანყალს, ნათქვამი: ოცი მანეთი ფულის გამო ასე, ხელმოკიდებულად თავზე, კიოდაო – რატომ მიეციო. მე ეს არ ვიცი, ცოდვა მათ კისერზე იყოს (მათ ჰქონდეს).

მერე, შვილო, გივიმ ცოლი აიყვანა და გადაიყვანა, და წაიყვანა ეს.

– ვინ?

– ნანი, ნანი, ფუშა ბერიშვილის გოგო. არავისთვის უკითხავს ეს, ისე მოიყვანა. ჰო, შენი ჭირიმე, და ბანძაში წაიყვანა ეს ბიძის სახლში, ბანძაში. მოვიდა ამბავი. „რა არის?“ – „გივიმ ცოლი მოიყვანა, ფუშას გოგო, ნანი!“ რა უნდა ქნა? არავინაა გივის პატრონი. ოლიამ რა ქნას, არაფერი რომ არ გააჩნია? კვლავ – ვალიამ: მოდით! მომიყვანეთ! მე ვიზამ ყველაფერსო და სალორის კარი გააღო, საქათმე გააღო: ა, ბატონო. დაკალით, ა, ბატონო, გააკეთეთო და ხელი მოჰკიდეთ; ა, ბატონო, მოიყვანეთ; ა, ბატონო, აკეთეთო და ეს ვალიასი და აპას თავით მოიყვანეს ამათ. და ბოლოს კი ისე მოაწყობ იმ ბერიშვილმა საქმე, აქ ვერც იტირეს (სატირლადაც ვერ იტირეს, ვერ შეძლეს ტირილი)...

– ნანი ცოცხალი რომ არის?

– სადღაა ცოცხალი?! არა! მესამე წელია – აღარაა. გარდაიცვალა. როგორ მოკვდა, თუ იცი? ნამდვილად საცოდავად გარდაიცვალა, საცოდავად. ინვალა ბევრი, გარდაიცვალა საცოდავად.

– ის გივის ბიჭი რას აკეთებს?

– გივის ბიჭი, იმ ფუშა და მისი ოჯახის გაზრდილი რომაა, ის... იმან უმაღლესი დაამთავრა. ჩემს სახლშიც იყო, როცა ჩააბარა, მაშინ, და მეც ამაგი მქონდა მასზე (მეც წილი მქონდა მასთან). ჩემს სახლში კარიდორი

ფილი, ჩაბარებას, ესტონკას. ართი თუ ქიმიონ გივიქ, ართ ქოთომი დო სუმი ხაჭაპური, დანარჩენი, ათი კოჩი ეფშა რდგნი ათაქენი, თის, გივის, ვართი ღვინი მულალ დო ვართი ოტკა, მილუდუ მა იში საშვეება. ოდო ოშ-ოშიანემს დიღმუდვანდეს, მანათო*. ჩქიმი სინჯაქ ქეჟუდუ, ჩქიმი მოთა-ში ქომონჯქ ქეჟუდუ, თემ ხარხიქ ქეჟუდვეს ჯიბეშა ფარა, ოდო ეთექი'დ, ჩქიმწკეა, თენა.

– უკუი სო იდუ?

– უკული ასე ლტოლვილიე დო ემერიე ის – ქართის რე. ძვირფასი ოსური ცუნს, ძვირფასი ოსური. ესე იგი, თეი ჩქინი სოფელშა ღირ თექენი, თიჯგუა ოსური ცუნსუ. ართი ბაღანა ცუნს ხვალე, ძღაბი ბაღანა, ვით წა-ნერიე ასე. ოდო შოფერო მუშეენს თე ბოში ასე, უმაღლესის გურაფულენ-დენი, ფერი ბოში შოფერო მუშეენს დო ტაქსავენს.

მუჭო მევათხიი ჩქიმი დასკუა იზდორე ბასლაიასგნი

– მუზმა მიმარებლებუნი, მა, თინა... მა თვითონ ვეგმადგინე დუდი, ვაფშე. მემენონებუდუ, მაგალთო, ძღაბი, მემენონებუდუ ბოში, ართიმა-ჟირაში შესაფერს ქობძირუნდინი, ჩქიმიანი ქორდუ თენა, საკუთარი, ჩქი-მიანი, ჩქიმი მუთუნი, ქუმმენონებუდ-და...

სალხინოს ვორექ მა, დინვორექ პართე ბასლაიაში ცუდეს – თენა რა-გადებული მაფუ – ოდო დინვორეთ თაქ დო ახაიგაზრდა ვორეთ, ჭიჭე ბა-ღანა მიუნს დო ნინი დო მატროში მეტი მითინს ვეფჩინენქ. ნინი სულუხია დო მატრო ბასლაია – თენეფ გულულა, მოგურუანა ამბეს, საქმეს... მატ-რო, საბუში ოსური, დო ნინი – ათენეფიე ჩქიმი მინჯე თაქ დო პატრონი. ათაქ დიშქას ბნკირუნქ, გალე გევორექ დო ბოშიქ ქუმორთ, იზდორე ბასლა-იაქ – თენა რაგადებულ მაფ, მარა ასე მარებლობას... – ოდო ართი ჭიჭე კუნხა გეუდგუნა, დიხაშ დოდგომილ ცუდე რე. მემენონ თე ბოშიქ, თემ მოქცევაქ მემენონ, მეჯინაქ მემენონ დო დასქუა მიუნს, ჩქიმი უჩაში ჟირ ნანათ. მა თინკეა ვორექ ეჩი წანერი, ბაღანა მიუნს, ინა გათხილ ვარე, ოდო ჯგირ ძღაბიე. შქვითი კლასი'დ ინკეა დო დამთავრებაფეეს. დო თემ მუმაშ სქუა არდა გურაფულენს, მარა ათეს შქვით კლასიში მეტი ვაუგუ-რუაფუ. თენენს ქუძირ დო ქურაგადუუნა ე ბოშიშა დო – ქოვა, ურაგადუუ ე ბოშის დო – ქუმოძირანია – მასმა კურსიში სტუდენტი რე – ქუმოძირანია.

ასე მუჭო ფქიმიანა? მუჭო ვოძირა? ჩქიმი და ორსულიე მაჩხორა სკუა-შენი, მოკათ რე, ქვარა გობიხვინაფილი აფუნ, ფერი რე მაჩხორა სკუაშე-ნი, ოდო ენა მუჭო მუურს დო მუჭო მიბჭანუა? მუ ფქიმიანა?

ვანოქ ქიდელახ, თე კესამ ბოშიქ, მიში ოჯახის მა დინვორდინ, თექ. ქიდელახ დო კინიაშა მეულა, წამალქ ვეშუ თაქ. ოდო ათე კინიაშა, წერილ დუჭარი დო მიდვოცუნე, მეურსუნი, თე კოს: ათე დო ათე კოჩიში ცურა

მქონდა, იქ ხალხი სავსე იყო, იქ დამსხდარი (დასმული), ჩაბარებისას, ეს-ტონკაში. ერთი გოჭი მოიყვანა გვიმ, ერთი ქათამი და სამი ხაჭაპური, დანარჩენი, ეს ხალხი სავსე რომ იყო აქ, მას, გვიმს, არც ღვინო მოუტანია და არც არაყი, მქონდა მე მაგისი საშუალება. ჰო-და ას-ასიანებს უდებდნენ ფულად. ჩემმა სიძემ ჩაუდო, ჩემი შვილიშვილის ქმარმა ჩაუდო, ასევე ხალხმაც ჩაუდო (ჩაუდვეს) ჯიბეში ფული. ჰო-და იქ იყო ჩემთან ეს.

– მერე სად წავიდა?

– მერე ახლა ლტოლვილია და ეგერაა იქ – თბილისშია. ძვირფასი ცოლი ჰყავს, ძვირფასი ცოლი. ესე იგი, მთელ ჩვენს სოფლად რომ ღირს იქ, ისეთი ცოლი ჰყავს. ერთი ბავშვი ჰყავს მხოლოდ, გოგო-ბავშვი. ათი წლისაა ახლა. და მძლოლად მუშაობს ეს ბიჭი ახლა. უმაღლესში რომ სწავლობდა, ისეთი ბიჭი შოფრად მუშაობს და ტაქსაობს.

როგორ მივათხოვე ჩემი დისშვილი იზდორე ბასილაიას

– რამდენი მიმაჭანკლია, მე ის... მე თვითონაც ვერ დავადგამ თავს, არ მახსოვს. მომენონებოდა, მაგალითად, გოგო, მომენონებოდა ბიჭი, ერთიმეორის შესაფერს რომ ვნახავდი, ჩემიანი თუ იყო, ღვიძლი, ჩემიანი, ჩემი ვინმე, თუ მომენონებოდა...

სალხინოში ვარ მე, ვდგავარ პართე ბასილაიას სახლში – ეს ნათქვამი მაქვს – ჰო-და ვდგავართ აქ და ახალგაზრდა ვართ, პატარა ბავშვი მყავს და ნინისა და მატროს გარდა არავის ვიცნობ. ნინი სხულუხია და მატრო ბასილაია – ესენი დადიან, მასწავლიან ამბავს, საქმეს... მატრო, საბუხ ცოლი, და ნინი – ესენია ჩემი პატრონი აქ და მზრუნველი. აქ შეშას ვაპობ, გარეთ ვდგავარ და ვაჟი მოვიდა, იზდორე ბასილაია – ეს ნათქვამი მაქვს, მაგრამ ახლა მაჭანკლობას... – ჰო-და ერთი პატარა სამზადი სახლი უდგათ, [პირდაპირ] მიწაზე დადგმული სახლია. მომენონა ეს ვაჟი, ამისი საქციელი მომენონა, გარეგნობა მომენონა და დისშვილი მყავს, ჩემზე უფროსი ორი წლით. მე მაშინ ვარ ოცი წლის, ბავშვი მყავს, ის გათხოვილი არაა და კარგი გოგოა. შვიდი კლასი იყო მაშინ და დაამთავრებინეს. და ამისი მამის შვილი ყველა სწავლობს, მაგრამ ამას შვიდი კლასის მეტი არ უსწავლია. ამათ უნახავთ და უთქვამთ ამ ვაჟისთვის და – კიო, უთქვამს ამ ვაჟს, და მაჩვენონო – მესამე კურსის სტუდენტია – მანახონო.

ახლა როგორ მოვიქცე? როგორ ვაჩვენო? ჩემი და ორსულია მეცხრე შვილზე, ფეხმძიმედაა, მუცელი გამობერილი რომ აქვს, ისეთია მეცხრე შვილზე, და ეს როგორ მოვა და როგორ დავიბარო? რა ვქნა?

ვანო გახდა ავად, ამ კესას ვაჟი, ვის სახლშიც მე ვდგავარ, ის. გახდა ავად და კინიაში მიდიან, წამალი ვერ იშოვეს (ვერ იქნა ნაშოვი) აქ. ჰო-და ამ კინიაში, წერილი დაწერე და გავატანე, რომ მიდიხ, იმ კაცს: ამა და ამ კაცის

ქიმერთი – მა უნია – ოჭკომალს ქორჩანა, ღვინს ქორჩანა დო უმოს ჯგირო მოლულ-მაქ – უნია. ათე ნერილი ქიმემილი-მაქ დო მიდაპჭარი. ჩქიმ დას პჭარუნქ: თათუშა ქუმომიონი დო ქუმორთი. გერექე-და, ვადოხოდა, ხექე-და, გედირთ დო თეშ, აუცილებერო თენა ჭუმე მიუნდას თაქ-მაქ. ათე თათუშა ნაძირეფი აფნა დო ვანოშოთ ოკონა არძას, მარა ვანოშოთ მა ვამოკო ენა. ათეს ბრელი ბოშეფი მაარე, ბრელი ხალხი მაარე. ე, ტრიფონი, მაბირე დგნი*, ამდლა ოშ მარებელს ქუმამქვანდ, მარა ძლაბი ვემეუნდ ოსურო. ვამოკოდ მა თეჯგურა, მითინ ჯგირ კონგშოთ მოკოდ მა, თენა ჯგირი რდგ დო ჯგირ კონიშოთ მოკოდ. ირდისას ირგუდუნი, ფერი გამოც-
10 დილი ძლაბი რდგ, ოჯახის – ირდისას.

– თათუშა ჯგირი ოსური რდ, ჩხონაფი! დოღურუ კიბოთ.

– ოდო, მივორჩქილიო დო – ქუმორთეს კინიაშე კურხით, ვარა ინკელა მაშნა ვარდუნ, ქოიჩქუ დო კურხით ქემორთეს. ქუმორთ ჩქიმ დაქ, შალი ქიგნუქუნაფ, თე ქვარა დუფუფორ დო ქიმინ ძლაბი დო ქუმორთ. თე ჩქიმ დას ათაქ ჩქიმი ბალანა ქუდუტე კესაში ცუდეს. მა გეითოფსხაპი დო მი-
დავთი ილიკოშ ცურა, მადოშა. ე ბოში მოლეონეს, თავრე მა თე ძლაბი მი-
დეპონი, დო მიდავრთით ქარხანაშა ვითამ მალებშა, გალებშა. მიდავრთით
ქარხანაშა, იფრით, ვრაგადეთ, ძლაბ დო ბოშიქ ართიანი ქოძირეს. თევრე
მოღავრთით ათეშახ, ათე მიშართაფ რენი, აშო მოღავრთით. ათაქ მიშარ-
20 თუუ რე, ვალერიში ცუდეს მიშართუ რე, ათაქ ქუმობთით, ართიმაჟიას მშვი-
დობა ქუნით. იზდორექ... ექ იშო მიდართ დო მა აშო მოღავრთი, ძლაბ
მოლეპონ-დო. ექი ენემქ გური ქომეჩეს, მარა მი აქცენს ენეფს ყურადლე-
ბას დო, დიდაქ კითხუნი – მა მიდამიონუა ი ბოშიქია-და, მა მუ მიღუნია
ორაგადევა? – უნუუ ი ძლაბიქ. ჯგირ ბოში რენია – უნუუ.

ასე მევორჩქილიო – თენეფქ მიდართეს. მაჟია დღას მეულა იშო, კი-
ნიაშა. თიზმასანს მა მომიღეს ამბე, ნამდა ბოშის მონონსია. მიდავრთით.
ასე ხომ მიკიბლათ ოკო სესიშ კარს? თე ბოშიქ გიმილუ, გამაცილეს, გამაპ-
რავედეს, მა მეპუნდინ, თეშ, დო მოღავრთით აშო. ესე იგი, თიზმა გამო-
უცდელი ვორდი, თიზმა ვამიჩქედგ, მუთ პიჯშა მომიოლუდუნი, იფრელს
30 ფთქუანდი, ვარა ანა მუ პასუხი 'დ კონიშინი, ქომინი აკა? ჭკვერი, ამდლა
მა ხამი ქიგმობიჯას კონიქენი, ვაბთქუა.

– მუ თქვი ეჯგუა?

– მუშა რე საქმე, მუჭო მორნონს-მაქ – მა უნია – იზდორეს ურაგა-
დუქ. იზორე მირაგად: მუ მიჩქუნია, ბოში!

უკულ ჩქი თევრეშე მოღავრთით, მთელი დღას ჭყონს ხოლო ვორ-
დით, ცააშხოზად* თიმ დღას.

– ართოვო, ძლაბი დო ბოში ხოლოვო?

– ძლაბი, ბოში, ნინი, მადო დო მა ხოლო. – ათეზმა ქიგლავრთითია,
ათეზმა ქივეჩია, ათეზმა, თიში ართ სიტყვა ვეგებგონია მა, მუთუნშენი
40 პასუხი ვამუჩუა.

– იზდორე რაგადაანს!

სახლში მიდი – მე ვუთხარი – საჭმელს გაჭმევენ, ღვინოს დაგაღვინებენ და უფრო კარგად წამოხვალ-მეთქი – ვუთხარი. ეს წერილი მიმიტანე-მეთქი და მივწერე. ჩემს დას ვწერ: თათუშა მომიყვანე და მოდი, თუ დგახარ, არ დაჯდე, თუ ზიხარ, ადექი და ისე, აუცილებლად ეს ხვალ მყავდეს აქ-მეთქი. ეს თათუშა ნანახი ჰყავთ და ვანოსთვის უნდა ყველას, მაგრამ ვანოსთვის მე არ მინდა ეს. ამას ბევრი ბიჭი ეძღვევა, ბევრი ხალხი ეძღვევა. აი, ტრიფონი, მომღერალი რომ იყო, დღეში ას მაჭანკალს გამოგ ზავნიდა, მაგრამ გოგო არ მიჰყვებოდა ცოლად. არ მინდოდა მე ასეთი, ვინმე კარგი კაცისთვის მინდოდა მე, ეს კარგი იყო და კარგი კაცისთვის მინდოდა. ყველგან რომ ივარგებდა, ისეთი გამოცდილი გოგო იყო, ოჯახში – ყველგან.

– თათუშა კარგი ქალი იყო, ცხონებული! მოკვდა კიბოთი.

– ჰო-და, გავიხედე \და\ – მოვიდნენ კინიდან ფეხით, თორემ მაშინ მანქანა რომ არ იყო, იცი, და ფეხით მოვიდნენ. მოვიდა ჩემი და, შალი მოუხურავს, ეს მუცელი დაუფარავს, მოიყვანა გოგო და მოვიდა. ამ ჩემს დას აქ ჩემი ბავშვი დაფუტოვებ კესას სახლში. მე გამოვხტი და წავედი ილიკოს სახლში მადოსთან. ეს ბიჭი წამოიყვანეს, აქედან მე ეს გოგო წამოვიყვანე და წავედით ქარხანაში ვითომ გასასეირნებლად, გამოსასეირნებლად. წავედით ქარხანაში, ვილაპარაკეთ, ვისაუბრეთ, გოგომ და ბიჭმა ერთმანეთი ნახეს. იქიდან წამოვედით აქამდე, ეს შესახვევი რომ არის, აქეთ წამოვედით. აქეთ შესახვევია, ვალერის სახლთან (სახლში) შესახვევია, აქ მოვედით, ერთიმეორეს მშვიდობა ვუთხარით. იზდორე... ის იქით წავიდა და მე აქეთ წამოვედი, გოგო წამოვიყვანე-რა. იქ ესენი მიგვიხვდნენ, მაგრამ ვინ აქცევს ამათ ყურადღებას და, დედამ რომ ჰკითხა – მე თუ წამოიყვანა იმ ვაჟმა, მე რა მაქვს სალაპარაკო? – უთხრა იმ გოგომ, კარგი ბიჭი არისო – უთხრა.

ახლა გავიხედე – ესენი წავიდნენ. მეორე დღეს მიდიან იქით, კინიაში. მანამდე მე მომიტანეს ამბავი, რომ ბიჭს მოსწონსო. წავედით. ახლა ხომ გავიაროთ უნდა სესის კარი? ეს ვაჟი გადმოვიდა, გაგვაცილა, მე რომ მივყვებოდი, ისე, და წამოვედით აქეთ. ესე იგი, იმდენად გამოუცდელი ვიყავი, იმდენად უცოდინარი ვიყავი (იმდენად არ ვიცოდი), რომ, რაც ენაზე მომადგებოდა, ყველაფერს ვიტყოდი, თორემ ეს რა პასუხი იყო კაცისა, მითხარი ერთი? ჭკვიანი, დღეს მე, დანა რომ მომიღეროს კაცმა, მე ამას არ ვიტყვი.

– რა თქვი ასეთი?

– რაშია საქმე, როგორ მოგწონს-მეთქი – მე ვუთხარი – იზდორეს ვეუბნები. იზდორე მეუბნება; რა ვიციო, კაცო!

მერე ჩვენ იქიდან წამოვედით, მთელი დღე ჭყონშიც ვიყავით. ხუთ-შაბათობა* იყო იმ დღეს.

– ერთად? გოგო და ბიჭიც?

– გოგო, ბიჭი, ნინი, მადო და მეც. ამდენი ვიარეთო, ამდენი ველაპარაკეო, ამდენი, მისი ერთი სიტყვა ვერ გავიგონეო მე, არაფერზე პასუხი არ მომცაო.

– იზდორე ამბობს!

– ო. მუთუნშენი პასუხი ვამუჩუა. მიჯინედუა თეშ დო დუს ათაშ დუ-
ქანცუანდუა, ვარა ართ ნინა ვამინუა. ასე იზდორეს ომქურუ თიშა, ნამ-
და თენა ვარა ბურდინა რენო, ვარო ფურცინა რენო, ვარა მუდგარენი.
ვარ, სი მაქ – მა უნიი – იში, ჭალეში ცხენი რდუო, მუდა მილაჭირხინანს
კოჩინი, არძას ქელაჭირხინუკო-მაქ? – უნიი. ათენა მუ ორაგადე'დ?!

– ვარ, ჯგირო გირაგადუუ, ძამ სქვამაას გირაგადუუ.

– ათენა ორაგადე რდუო? ათენა?!

დევეთხით ჩქი თაქ ართიანს. ათე თომამა, ქომონჩა, მაფ დორინელი,
ათე იზდორე რენი, ქემორთუდა, ქუმომიონ თექ, კინიაშა-მაქ. მა ბალანა-
10 მო მეპუნქ თენეფს. ბალანა მეპუნა ჭიჭე, რუო თუთერი. მეურთ იშო კინი-
აშა, ბრაგადაანთ დო თეში. ქიმევრთით დო ველუქ ასე თენემს კინიას,
ველგქ, ველგქ დო ათაქ ქუმორთ თომაქ ართ სუმ დღამ უკუღი. „მუ რე?
მუშა მორთი? მუქ მოიონ?“ მუ რენია და ათაქია – ინა გუთორდ, მუში უდე-
ში კოჩი – ჯგირი ჩაფუღას ჭანდესია დო მოლართია, აკა, სქანი ჩაფუღაში
ზომას გევოჭოფაფუანქია – მინუუ. მალორ ასე მა თექ. ათენა ქოთქუუ
თენეფნკია, ბალანა ქედმოტებაფუუ დო მიდამიონ მა. გიშებლით აშო, ართი
კილომეტრი ქორე თითქემის გიშაულარო დო, მევოჯინი – დუქანს ცხენი
ქიმკოკირ დო სქანი იზდორე ამარ ქიმკოხე ფერდის. ჩხანა რდ დო ზონდიკი*
მუნოღვე დო თე ზონდიკი* უკებუ ხეს. ზონდიკი* უკებუ დო ათაქ ქემკოხე.
20 ქიმევრთით, ქობძირით, იშო-აშო დო – მავა ქიბკითხია, ათავრე ამხანაგი
მიყუნდუა, ჩქიმნკეა გურაფლენდუნი, ფერი, დო დადებით ურაგადუნანია
გასაკვირი, მარავა ჯგიროვა ვეფჩინენქიანი, მინიისია – ინა ნოლას რდგ, ი
ამხანაგი, ენეფი ამარ დეს, კინიას – ოდო ართია, მიხა გადეღიაში ძღაბისია
ოცქვეესია – მიხა გადეღიაში ძღაბის ხუთშა ქუჯგუდ თე ჩქიმი – ოდო
თეშრენიაო-თაშრენიაო, ქიგენდვავაო? – მირაგად. ოდო ქეგენდვავაო
თენა სი? ეთინა ხოლოში რდ მუში, მეზობელი რდგნი, თი ძღაბი მიჩქუნია
დო ათენა ჯგირო ვამჩქუნია.

– თეშ ამხანაგის ურგადუუ, თე იზდორეში ამხანაგის!

– ო. ნოლაშე რენი, თის ვიჩინენქია, თეს ვეფჩინენქია. ხო ქორე ასე თი
30 ძღაბი, ირკოჩი იჩინენსგნი, ფერი, დო ქორე, ირკოჩი ვეჩინენსგნი, ფერი. ი
ბაზარს ნუმოძგნი, ის ირკოჩი იჩინენს. ოდო ქოგენდვავაო? – მინუუ. ქე-
მენდვი-მაქ – უნიი – მა სალხინოს ვორექ, მა მუს ფთქუანქუნი, თინა მარ-
თაღქ ვეუუდა, ცუჯი ქელმოჭკირ-მაქ, მეღე-მოღე ცუჯი, უკუღ მა ოსური
ხო ვეპიქ-მაქ? – ჟირხოლო ცუჯი. თენა ხოლო მუთ მოკოდ, მარა თენა ხოლო
ქოფთქვი. მეუა სია დო ჩქი გიცადგდათ იინია – იზდორე მირაგად დო,
ჩქიმი პატგნი რექგნი, ჩქიმ ქომონჯი, თომა ხოლო ქეგეხე თაქ. დო – ქუ-
მურთო? – ქო, – ქუმურთო? – ქო. ათე იზდორეს ზონდიკი* უკებუდუნი,
თენა გეინუული. თინკემა ვამარჩქილედ მუთუნი ცხოვრებას, ვარ, ვამირ-
ქუდ მუთუნი, ვამილუდ გამოცდილება. მუთ მოკოდ ზონდიკი*, ინა რდუო
40 ითამუ? თიმ გურშენი დომიცადუდესო ითამ! ათეში მეტი ვამილუდუ დუს.
ათენა ორდ, ვამირქუდ მუთუნი, თიმ ინა... ოდო ქიდებკინ თე ზონდიკი*

– ჰო. არაფერზე პასუხი არ მომცაო. მიყურებდაო ასე და თავს ასე გადააქნევდაო, თორემ ერთი სიტყვა არ მითხრაო. ახლა იზღორეს ეშინია იმისა, რომ ეს ან ბლუ არ იყოს, ან ჩლიფინა არ იყოს, ან რამე. არა, შენ-მეთქი – მე ვუთხარი, იმისი, ჭალის ცხენი იყო, რამდენიც შესჭიხვინებს კაცი, იმდენისთვის (ყველას) მიეჭიხვინა-მეთქი? – მე ვუთხარი. ეს რა სათქმელი იყო?

– არა, კარგად გითქვამს, ძალიან ლამაზად გითქვამს.

– ეს სათქმელი იყო? ეს?

დავშორდით აქ ჩვენ ერთმანეთს. ამ თომასთვის, [ჩემი] ქმრისთვის, მაქვს დანაბარები, ეს იზღორე რომაა, თუ მოვიდა, მომიყვანე იქ, კინიაში-მეთქი. მე ბავშვიანად მივყვები ამათ. ბავშვი მიგვყავს პატარა, რვა თვისა, მივდივართ იქით, კინიაში, ვმუსაიფობთ და ისე. მივედით და ველით ახლა ამათ კინიაში, ველით, ველით და აქ მოვიდა თომა ერთი სამი დღის მერე. „რა არის? რისთვის მოხვედი? რამ მოგიყვანა?“ რა არისო და აქო – ის იდგა, მისი სახლიკაცი – კარგ ფეხსაცმელს კერავდნენო და წამოვედიო, ერთი შენი ფეხსამოსის ზომას ავალებინებო – მითხრა. მომატყუა ახლა მე ამან. ეს თქვა ამათთან, ბავშვი დამატოვებინა და წამიყვანა მე. გამოვედით აქეთ, ერთი კილომეტრი იყო თითქმის გამოსასვლელი და, გავიხედე – დუქანში ცხენი აბია და შენი იზღორე აგერ ზის ფერდობზე. მზე იყო და ქოლგა მოჰქონდა თურმე და ეს ქოლგა უკავია ხელში. ქოლგა უკავია და აქ ზის. მივედით, ვნახეთ, იქით, აქეთ და – მეო ვიკითხეო, აქეთ ამხანაგი მყავდაო, ჩემთან რომ სწავლობდა, ისეთი, და დადებითი უთქვამთო საოცარი, მაგრამ კარგად რომ არ ვიცნობო, [ასე] მითხრესო – ის ნოლაში იყო, ის ამხანაგი, ესენი აგერ იყვნენ, კინიაში – ჰოდა ერთიო, მიხა გადელიას გოგოო აქესო – მიხა გადელიას გოგოს ხუთჯერ სჯობდა ეს ჩემი – ჰო-და ასეაო [თუ] ისეაო, გენდოო? – მეუბნება. ჰო-და გენდოო ეს შენ? ის ახლოს ცხოვრობდა მასთან (იყო მასთან), მეზობელი რომ იყო, ის გოგო ვიცო და ეს გოგო კარგად არ ვიცო.

– იმის ამხანაგს უთქვამს, ამ იზღორეს ამხანაგს!

– ჰო. ნილიდან რომ არის, იმას ვიცნობო, ამას არ ვიცნობო. ხომ არის ახლა ისეთი (ის) გოგო, ყველა რომ იცნობს, ისეთი, და არის, ყველა რომ არ იცნობს, ისეთი. იმ ბაზარში რომ გდია, იმას ყველა იცნობს. ჰო-და გენდოო? – მითხრა. მენდე-მეთქი, ვუთხარი, მე სალხინოში ვარ, მე რასაც ვიტყვი, ის მართალი თუ არ იქნება, ყური მომჭერი, ორივე (იქით-აქეთ) ყური, მერე მე ქალი ხომ არ ვიქნები-მეთქი? – ორივე ყური. ესეც რად მინდოდა, მაგრამ ესეც ვთქვი. ნადიო შენ და დაგელოდებითო (გელოდებოდეთ იქნებაო) – იზღორე მეუბნება და, ჩემი ბატონი რომ ხარ, ჩემი ქმარი, თომაც ზის აქ. და – მოხვალთ? – კი. – მოხვალთ? – კი.. ამ იზღორეს ქოლგა რომ ეჭირა, ეს გამოვართვი. მაშინ არ მესმოდა არაფერი ცხოვრებაში, არა, არ მესმოდა არაფერი, არ მქონდა გამოცდილება. რად მინდოდა ქოლგა? ის იყო ვითომ? მის გამო მოგვიცდიდნენ ვითომ? ამაზე მეტი არ მქონდა თავში. ეს იყო, რომ არ ვიცოდი არაფერი, იმისი ისა... ჰო-და დავიკავე ეს ქოლგა და მოვდივარ. მაცვია კაბა, გრძელი კაბა, გრძელი კაბა.

დო მურქ. მიკმოქუნს კაბა, გიძე კაბა, გიძე კაბა. გინძე უჩქედეს, გინძე დო ვინრო, თუდო გიძე დო ვინრო. თი სიხარულით მივრულექ, მივრულექ. ქუდუანთხუქ, ქეკვახაბაკუქ თე კაბას. გებდირთუქ, გუეკუნანქ თე კაბას. ხონუნა ხარხი, მინდორს წუმოხენა აქ. ქობდირუნს, ეკუნელი კაბათ მოულუნ, კინ დუუკუნა. ათაში ქუმოვრთი. გახარებული მოულ, ამსერი იონანა თათუმას-მაქ. ჩქიმ დაქ – ვარია, ენა ქვრივი ოსური ხომ ვარენია, ამსერი მეუცონევანი?! ნამ დროს მეფჩანქია მა თისიავანი, კოჩი ხოლო ოკო რდასია ჩქიმ ცუდეს დო ოკო მეუნდასია აშოთ-იშოთ. ირფელ ოკო რდასია კანონით, წესრიგით, მუშ წესით.

10 ჩქიმი სინჯაშა კოჩი გეგნუოცოთი, ცვანასიე სოდგარენ-დო, ქემვოონე-ბაფეე თენა. ქედოდოხოდ ჯაში ჯინს დო – ბრელ რაგად ვაუჩქედუნ, ფერ კოჩი რდ – მუ რენი, ქოჩქუნიაო, ბაბა? ინავა ვართ ანეტას კითხავა სი დო ვართ მიხასია, კითხია, მიდგა მეურსინ, თისია – მინუუ – დო თის მუჭო ოკონიავანი, ეთეში გააკეთია – მინუუ – მა მუთუნიში წინააღმდეგი ვაორექია, სი აკეთენქენი, თიშია. თქვა დლა დო სერითია ართო რდითია – ართო ვორდით, ართო ვორდით დლაშ დო სერით მა დო ჩქიმ დასკუა. მიდებშით, ჩქიმ ცუდეს ვორდით, მოლეფშით – მუშ ცუდეს; მიდეფშით ჩქიმ დალეფშა, თექ ვორდით. ართო ვორდით ირო – სია ის ვაულაღატენქენი, ქომიჩქენიავა დო, მუს ქაკონია-და, ა, პატონია, ამარ ვორექია – თქუუ თე კოჩქ.

20 ასე ძლაბიქ უნუუ მუში დიდას: სი მეუნქ დო ვარ მა მეპუნქია? – უნუუ – ბოლოს და ბოლოს ეჩდოჟირი წანერი ძლაბი ვორექია დო, მის ვაუნუქუა, მა ვამიჩქენიაო? – უნუუ. დიჩქიმი, ჯგირი ოსური რექ, ძამ რექია, მარა ათე საქმეს ვეჩმერიავა – უნუუ – მა თეს ვაუნუქია. მა გურშა არკაკალი ვალამდვალუნია, მა მუზმა ქუმოძირეს, მუზმაქ მორთ, მუზმა იყუა, მარა ათენა მა ბძირიანი, თიმ დროს გინობჭყვიდია, ნამდა, თენა მა მიდამიყო-ნანდუდა, მიდვაცუნევა ოკოვა – თენა უნუუ.

აბა, თუში ცვილუა! ქაცარიში ცვილუა! მეზობელეფიში დოძახინი! თე მეზობელეფქ ქემორთეს, ოჭკომალე გააკეთეს, ოჭკომუს ქუვორეთ სკას-ქერშა დო ნასქასქერუს გინიბლით დო მოლავრთით. მოჭყუდუ მოპუნა კუჩხით, ჩქი მოურთ კუჩხით. ცხენიშა გემიხენა – ართი გედოხოდუ, ვარა თომა გედოხოდუ, ენუხე ბალანა დო მოცუნსუ – დო მურთ დო მურთ. რუო თუთერი რდგ ჩქიმ ბალანა. საღხინოშა მოპუნა მოჭყუდუ დო მოურთ ჩქი სუმი კოჩი, ასე ჩქი...

– ექ გეჟნა სინჯა!

– მეღუნა სინჯა.

სოლედგა გითოფალენი, სოლედგა გითოფალენი, ათე ჩქიმ ხაზეიკაქქ*, ჩქიმი პატენი რექენი, ცუდეში მუნულაშა ქეშებხვადეს.

– ვანოში დიდა, ნამუსგთ ოკოდენი, თენა.

– ნამუსგთ სქუაშო ოკონ, ჩქიმი პატენი რექენი...

40 – მოიცა, სერსო?

გრძელი იცოდნენ, გრძელი და ვინრო, ქვემოთ გრძელი და ვინრო. ამ სიხარულით გავრბივარ, გავრბივარ. დავეცემი, წამოვედები ამ კაბას. წამოვდგები, ავწევ ამ კაბას. ხნავს ხალხი, მინდორში სხედან აქ. მნახავს, ანეული კაბით რომ გავრბივარ, კვლავ ჩამოვწევ – ასე მოვედი. გახარებულნი მოვდივარ, ამაღამ წაიყვანენ თათუშას-მეთქი. ჩემმა დამ – არაო, ეს ქვრივი ქალი ხომ არ არისო, ამაღამ მივუყვანო?! როცა მივცემო მე მასო, კაციც უნდა იყოსო ჩემს სახლშიო და უნდა მიჰყვებოდესო აქეთაც და იქითაც (აქეთ-იქით). ყველაფერი უნდა იყოსო კანონით, თავისი წესით და რიგით (წესრიგით, თავისი წესით).

ჩემს სიძესთან კაცი ვაფრინე (გავაგდე), ყანაშია სადღაც, და მოვაყვანინე ეს. დაჯდა ხის ძირში და – ბევრი ლაპარაკი რომ არ იცოდა, ისეთი კაცი იყო – რა არის, იციო, ბაბა? ისო არც ანეტას ჰკითხოვო შენ და არც მიხასო, ჰკითხეო, ვინც მიდის, იმასო – მითხრა – და იმას როგორც უნდაო, ისე გააკეთეო – მითხრა – მე არაფრის წინააღმდეგი არა ვარო, შენ რომ აკეთებო, იმისიო. თქვენო დღე და ღამე ერთად იყავითო – ერთად ვიყავით, ერთად ვიყავით დღისით და ღამით მე და ჩემი დისშვილი. წავიდოდით – ჩემს სახლში ვიყავით, წამოვიდოდით – მის სახლში; წავიდოდით ჩემს დებთან, იქ ვიყავით, ერთად ვიყავით სულ – შენო იმას რომ არ უღალატებ, ვიცო და, მას თუ უნდაო, ა, ბატონოო, აგერ ვარო – თქვა ამ კაცმა.

ახლა გოგომ უთხრა თავის დედას: შენ მიჰყვები თუ მე მივყვებიო? – უთხრა – ბოლოს და ბოლოს ოცდაორი წლის გოგო ვარო და, ვის გაყვებიო, მე თვითონ არ ვიცო? – უთხრა. დედაჩემოო, კარგი ქალი ხარ, ძალიან ხარო, მაგრამ ამ საქმეში არ ჩამერიოო – უთხრა – მე ამას წავეყვებიო. მე გულში არც ერთი ჩამიდვიაო, მე რამდენი მანახვეს, რამდენი მოვიდა, რამდენიც იყოო (იქნაო), მაგრამ, ეს მე რომ ვნახეო, მაშინ გადავწყვიტეო, ეს მე თუ წამიყვანდა, წავეყვე უნდაო – ეს უთხრა.

აბა, გოჭის დაკვლა! ციკნის დაკვლა! მეზობლების დაძახება! ეს მეზობლები მოვიდნენ, საქმელი გააკეთეს, საქმელად კი ვიყავით შუალამემდე და ნაშუალამევს გადავედით და წამოვედით. პატარძალი მოგვყავს ფეხით, ჩვენ მოვდივართ ფეხით. ცხენზე გვიზის – ერთი დაჯდება, ან თომა დაჯდება, უზის ბავშვი და მოჰყავს და მოვდივართ და მოვდივართ. რვა თვისა იყო ჩემი ბავშვი. სალხინოში მოგვყავს პატარძალი და მოვდივართ ჩვენ, სამი კაცი. ახლა ჩვენ...

– იქ გელოდებათ სიძე!

– გველოდება სიძე.

სად იყო და სად არა (საიდან გამოცენდა), საიდან გაჩნდა (საიდან გამოცენდა), ეს ჩვენი დიასახლისი, ჩემი ბატონი რომ ხარ, სახლში შესვლამდე შემოგვხვდა.

– ვანოს დედა, რომელსაც უნდოდა, ის!

– რომელსაც შვილისთვის უნდა, ჩემი ბატონი რომ ხარ...

– დაიცა, ღამით?

– გოთანას მინოვრთით, გოთანას, მარა ეშა მუთუნი ვამრაგადუუნა გლახა დო ეს ხოლო ვაურაგადუუ, ინა ჯგირი ოსური რდ. დო მინიბლით, გემნიპონით მოჭყუდუ. ქედობხვადეს. ქორშგდასიციი. თექ გინობჭყვიდით. უკული გეყუნაქ იუუ, უკული დორთაქ იუუ...

– ქუდუტეეთ სინჯას, ვარო?

– ქუდუტეეთ სინჯას დო ჩქი იშ მიდავრთით. თეს ქიგიაუნეს დო კუხ-ნას ხე ხალხი.

– მუჭო გიაუნეს?

10 – ა, მოჭყუდუს ვეგიაუნუნანო? ა, ჭიჭე კამპანიაჯგუა ქოქიმინეს თექ დო თევრე დაპატიჟებულ აფუდუ მუში ამხანაგი იზდორეს, კვესელავა რდ, თუ მუ გვარი რდგნი. თინა ორდუ აღმასრულებელი, მოსამართლე რდ. ეკი-კათეს, თენეფქ ქუმორთ, თინეფქ ქუმორთეს. აქ ბასლაიფი ხოლო ქორ-დეს. ხოლო სულუხიფი რდეს, ამერანიში ჯიმაღლეფი: რაჟდენი, გუდუ, დავი.

უკული ცხოვრენდეს, ბალანეფი ქოუნდეს, მუნეფი ოქროცალო ქორ-დეს. ძღაბი გათხიის, ინჟინერ კოს ქიმიათხიის, მოთა ხოლო ქოუნდეს. საქ-მე თიქ იყუ, ნამდა თვითონ უდუდუ ავადყოფობა. თინა რდ, ნამდა თიშენ კოს ვასქილიდეე.

20 თიშ უკული იზდორეს ბოშიქ დუუდურუ გურიში ავადყოფობათ, გურქ გოუხორცქ, უკლაში სქუაქ დუდურუ. უჩაში მაჩაბელს ცხოვრენს. ნინო, ნინო ბასლაია.

ლიმო მუჭო მიივტაცინი

– ასე, ვალოდიაქ ოსური ქიმიონ, ქიმიონ ვარი, ოსური ოკოდ, ძღაბი მიდგარდგნი, დო ი ძღაბიქ გეთხუუ დო, ქიანაშუჩას ნწყუნს ვალოდია, ოტ-კას გეთმიბუნს, გასულეებურიე დო – ქემაცალი, ნიე, მა ქუმოიონანქ სი უმაღლესდამთავრებული ოსურს-მაქ – მა უნიი დო ათგნა გეთობგორი, თე ლიმო. ენა გაჭირებული ოჯახიში სკუა რდ, მუთუნი ვაპალუდუნი, ფერი, ცოდნა ქუდუდუ, ვარა, მეტი მუთუნი ვაუდუდუნი, ფერი. ი ძღაბი ოკო-დუნი, უმაღლესი დამთავრებული ძღაბი, ინა გაგუაქ მიდუუდუ. ქუმურ-თუმუდუ, ოტკას ქიკმიბუნს ათაქ. დო ოლიაქ რკიუუ დო ქიმეფთი. გა-ჩენდი, მა ვორდა თემ პასუხიმგებეი, მა თიშ უჯგუშის ქუმოიონა, თეს რლოლა, თის რლოლა-მაქ, დო თემ დუთხინე დო ცათე ლიმო გამკოვგორი. მორგოშია რდუ, ხოლოში. სტალინი კოლმეურნობა'დ ჟი, ემერი, თამოკოი მხარეშე. გაჭირებული კორიში სკუა რდ, მუთუნი ვაუდუდესგნი, ფერი. ხვალე უდუდუ თე ლიმოს ცოდნა. თინა ორდ ლიმო ჯგერნაიაში მოთა, ოდო თევრე ვიჩინენდი მა თენენს დო თიში ოჭიშით მეფთი თექ.

– სი აკეთიო თე საქმე?

– ო! მიდგაქრენი ჩემერიის თექ დო თიმ სერს ვამაქონეს თექ აშო, დო გამუჩეს დო ვართფერი შემხვენებუნა. ათაქ კაბა ნოღვედ ბეჭვიაში ცუდეს

– განთიადზე შევედით, განთიადზე, მაგრამ ამისთვის არაფერი გვითქვამს გლახა და ამასაც არაფერი უთქვამს, ის კარგი ქალი იყო, და შევედით, შევიყვანეთ პატარძალი. დაგვხვდნენ. გეხსოვება (გახსოვდეს იქნება). იქ გადავწყვიტეთ. მერე მიკითხვა* შეიქნა, მერე დაბრუნება* შეიქნა...

– დაუტოვეთ სიძეს, არა?

– დაუტოვეთ სიძეს და ჩვენ წავედით. ამას მიაკითხეს* და სამზად სახლში ზის ხალხი.

– როგორ მიაკითხეს?

– აი, პატარძალს არ მიაკითხავენ? აი, პატარა ქორწილით გააკეთეს იქ და იქიდან დაპატიჟებული ჰყავდა თავისი ამხანაგი იზდორეს, კვესელავა იყო, თურა გვარი იყო. ის იყო აღმასრულებელი, მოსამართლე იყო. შეგროვდნენ, ესენიც მოვიდნენ, ისინიც მოვიდნენ. აქ ბასილაიებიც იყვნენ. კიდეც სხულუხიებიც იყვნენ, ამირანის ძმები: რაჟდენი, გუდუ, დავი.

მერე ცხოვრობდნენ, ბავშვები ჰყავდათ, თვითონ ოქროსავით იყვნენ. გოგო გაათხოვეს, ინჟინერ კაცს მიათხოვეს, შვილიშვილიც ჰყავდათ. საქმე ის იყო (გახდა), რომ თვითონ ჰქონდა ავადმყოფობა. ის იყო, რომ იმისგან ადამიანი მორჩენას ვერ შეძლებს.

იმის შემდეგ იზდორეს ვაჟი მოუკვდა გულის ავადმყოფობით, გული გაუსკდა, უმცროსი შვილი მოუკვდა. უფროსი მაჩაბელზე ცხოვრობს, ნინო, ნინო ბასილაია.

თუ როგორ მოვიტაცე ლიმო

ახლა, ვალოდია ცოლი მოიყვანა, მოიყვანა კი არა, ცოლი უნდოდა, გოგო ვილაც, და ის გოგო გათხოვდა და ქვეყანას აქცევს ვალოდია, არაყს ისხამს, გასულელებულა და – მაცალე, ბიჭო, მე მოგიყვან შენ უმაღლესდამთავრებულ ცოლს-მეთქი – მე ვუთხარი, და ეს გამოვძებნე, ეს ლიმო. ეს გაჭირვებული ოჯახის შვილი იყო, არაფერი რომ არ გააჩნდა, ისეთი. ცოდნა ჰქონდა, თორემ მეტი არაფერი რომ არ ჰქონდა, ისეთი. ის გოგო რომ უნდოდა, უმაღლესდამთავრებული გოგო, ის გაგუამ წაართვა. მოსულიყო, არაყს ისხამს პირში აქ, და ოლიამ იკივლა და მივედი. გაჩერდი, მე ვიყო ამისი პასუხისმგებელი, მე მასზე უკეთესს მოგიყვან, ამას გიზამ, იმას გიზამ-მეთქი და ისე დავამშვიდე (მოვაშორე) და ეს ლიმო გამოვძებნე. მორგოშია იყო, ახლოდან, სტალინის კოლმეურნეობა* იყო ზევით, ეგერ, თამაკონის მხარეს. გაჭირვებული კაცის შვილი იყო, არაფერი რომ არ ჰქონდათ, ისეთი. მხოლოდ ჰქონდა ამ ლიმოს ცოდნა. ის იყო ლიმო ჯგერენაიას შვილიშვილი, ჰო-და იქიდან ვიცნობდი მე ამათ და მისი ზურგით მივედი იქ.

– შენ გააკეთე ეს საქმე?

– ჰო! ვილაც ჩაგვერია იქ და იმ ღამეს ვერ წამოვიყვანეთ ეს აქეთ, და არ მოგცეს და არც მაინცადმაინც გვიხვენია. აქ კაბა ჰქონოდა ბეჭყაიას სახლში

ოჭაღლი თე ლიმოს დო ქიგებგი თენა. ლიმო მუღირიე თექ დო თექ მილახე დო კაბაში პრიმერკას* ეთმეჭოფუნს თუ მუდგასიენი, დო იზმახანს აბაკელია ქიგვოჭოფი შარას, ავრე – ვალოდია, ვაღია ქიმთუოცოთი, ოდო ეთექ ქიგვორინეე შარას. მა ქიმებთი თაქ მაჭალეშა დო ვირიი თენა-თინა დო, თე ლიმოქ გიმიღ აშონი, მა — ხოლო, დო ართო ვიდათ-მაქ. ლიმო მიჩინენს მა, ვირინენქ დო ქუმობთით. ფაფრიკაშ მიკართუუ რე ათაქ, ფაფრიკას უგ-ლაავოჯგუა*, მიკართუენი, ათაქ მაშენა ქიგლადგინე. ასე მითილი მაშენაშა – მა უნი. – „აა!“ – გაბიჯგინუუ კურხი. მობკიდი მა ხე, კაკოქ ეკუჯიკუუ, ჩქიმ პატონ ექენი, იმ ქიმთუოთით მაშენაშა, გიმებლით ჭყონეშა. დაბა, ასე რკიე-მაქ – მა უნი – ხომ მოტაცებული მაფუქ-მაქ? – მა უნი. შური ვეღუბუნუ დო გამნიპონი, არდა ბოშეფი ხაჩქუნდეს. გიშეღეს.

10

– დღაში რდუო?

– დღაში რდ, დღაში, ონდლე გურს. ო, პატენი, გამნიპონი დო გეეთუ თე საქმექ. დიდაქ ქემმაკათ დო მოგორ მა, მარა მა მუ ვორდინი, ირკოს ქურქუდუ, თინა მუი რდუნი, ირკოს ქურქუდუ დო უძიცი დო გუუტე იშო. დო ქუდოსქიდ ლიმოქ დო ქუდოსქიდ.

ენვერი მარკოზია მუჭო ვიღესენი

– არჩილი მარკოზია მუშეენდ, ჩქიმ პატენი რექენი, კოლმეურნობას მთავარი მეხანიზატორო, არჩილი მარკოზია. ოსური მუშეენდ ფაფრიკას ტიტეისტერო*, ჩაიში ტიტეისტერო*. თენენს ბალანა ვაუნდეს დო ბალანა გეჭოფეს, ართი ბალანა, დო მორდეს დო ჭყონს ქიდიხორეს გვერდით, მუში მუშაში გვერდით, თექ ქინიხორეს, ცუდე ქეშიდგეს. ი მუშა დო დიდას ხოლო ცუნდუ ბოში, ძღაბი. დო ძღაბი გათხილი'დ, ეკუხედუ კაკუღიას. ფაფრიკას მუშეენდ თი კაკუღია ტეხნოლოგო. ბოში უმაღლესდამთავრებული'დ, სოხუმს გურაფულენდ დო თექი'დ, თექ ქითხუუ ოსური. არჩილ დო მუში ოსური ცუნდეს ცხოვრენდეს, გვერდით თენეფიში. ათე ქიანაქ დიტრიალუ, გამნირთ იშო-აშო მინ-მუნიინი, ქარწყექ დო თი სინჯაქ, ავთა კაკუღიაქ დო ათე მარკოზია ბოშიქ, ოხორასქილი დო სინჯაქ, ჩაი აფუდეს ჩაბარებუი სოხუმსუ დო ათაქ მიდართეს ფარაში იოჭოფუშა. თენენს, ჩქიმ პატენ რექენი, უბედურებაქ ქუმოხვად შარას.

30

– მუ ჟამიში ამბე რე თენა.

– ასე, ა, ბოლოში, ბოლოში, ეჭოფეს აფხაზეთინი, თინკეა. უბედურებაქ ქუმოხვად შარას, დო თიმნკელა ქიდნაასიროტეს ხაღხი ახალდაბას, დო ათენა ქუმოხვად თენენს დო მედინეს თენემქ თიმდღარშიე: ოხორასქილი დო სინჯაქ. სინჯა დო ოხორასქილქ – ჟირხოლოქ მედინეს თაქ. თის ქედაასქიდ ჟირ სქუაქ დო ოსურქ, სოხუმსდენ, თის. ეს ქედაასქიდ სუაქ დო ოსურქ, ჭყონს ოხორანდ, დინახალე ჭყონს. ენვერქე, არჩილი მარკოზიაში უჩაში სქუაქ, მედინ იფრელქენი, მუშობაქ დო... შხვაცალო თიქ ხოლო

შესაკერი ამ ლიმოს და გავიგე ეს. ლიმო მოსულია იქ და იქ ზის, და კაბას იზომებს თუ რაღაცას, და ამდენ ხანს აბაკელია დავიჭირე გზაზე, აქეთ – ვალოდია, ვალია შევაგდე [მანქანაში] და იქ დავაყენე გზაზე. მე მივედი აქ მკერავთან და ვილაპარაკე აქეთური-იქითური (ეს, ის) და, ეს ლიმო რომ გამოვიდა აქეთ, (გამოვედი) მეც, და ერთად წავიდეთ-მეთქი. ლიმო მიცნობს მე და ვიცნობ და მოვედით. ფაბრიკის მოსახვევი რომაა, აქ, ფაბრიკის კუთხესავით, მოსახვევი, აქ მანქანა დგას. ახლა შედი მანქანაში – მე ვუთხარი – „აა!“ – გაჭიმა ფეხი. მოვიკიდე მე ხელი, კაკომ დაუჯიკავა, ჩემი ბატონი რომ ხარ, შევაგდეთ მანქანაში, გავედით ჭყონში. აბა, ახლა იკივლე-მეთქი – მე ვუთხარი – ხომ მოტაცებული მყავხარ- მეთქი? – მე ვუთხარი. კრინტი არ დაუძრავს და შემოვიყვანე. ყველა ბიჭი თოხნიდა. შემოვიყვანე.

– დღე იყო ?

– დღე იყო, დღე, შუადღეს. დიახ, ბატონო. შემოვიყვანე და გათავდა ეს საქმე. დედა მომივარდა და მაგინა მე, მაგრამ მე რაც ვიყავი, ყველამ იცოდა, ის რაც იყო, ყველამ იცოდა და გავუცინე და გავუშვი იქით. და დარჩა ლიმო და დარჩა.

თუ როგორ მოკლეს ენვერ მარკოზია

არჩილ მარკოზია მუშაობდა, ჩემი ბატონი რომ ხარ, კოლმეურნეობაში მთავარ მექანიზატორად, არჩილ მარკოზია. ცოლი მუშაობდა ფაბრიკაში ტიტისტერად*, ჩაის ტიტისტერად*. ამათ შვილი (ბავშვი) არ ჰყავდათ და ბავშვი აიყვანეს, ერთი ბავშვი, და გაზარდეს და ჭყონში დასახლდნენ გვერდით, თავისი მამის გვერდით, იქ ჩასახლდნენ, სახლი ჩაიდგეს. იმ მამას და დედას კიდევ ჰყავდათ ბიჭი, გოგო. და ქალიშვილი გათხოვილი იყო, ჰყავდა ცოლად კაკულიას. ფაბრიკაში მუშაობდა ის კაკულია ტექნოლოგად, ბიჭი უმაღლესდამთავრებული იყო, სოხუმში სწავლობდა და იქ იყო, და იქ ითხოვა ცოლი. არჩილი და მისი ცოლი სახლში ცხოვრობდნენ, გვერდით ამათი. ეს ქვეყანა აირია, გადაბრუნდა, კი ხედავ, და ამ სიძე, ავთა კაკულია, და ამ მარკოზია ვაჟი, ცოლისძმა და სიძე, ჩაიჭქონდათ ჩაბარებული სოხუმში და აქ წავიდნენ ფულის ასაღებად. ამათ, ჩემი ბატონი რომ ხარ, უბედურება შეემთხვა გზაზე.

– როდინდელი ამბავია ეს?

– ახლანდელი (ახლა), ა, ბოლოსი, ბოლოსი, რომ აიღეს აფხაზეთი, მაშინ. უბედურობა მოხდა გზაში, და მაშინ ჩახოცეს ხალხი ახალდაბაში და ეს შეხვდა ამათ და დაიკარგნენ ისინი იმ დღიდან, ცოლოსძმა და სიძე, სიძე და ცოლისძმა, ორივე, დაიკარგა აქ. იმას დარჩა ორი შვილი და ცოლი, სოხუმში რომ იყო, იმას. ამას დარჩა ცოლი და შვილი, ჭყონში ცხოვრობდა, შიგ ჭყონში. ენვერმა, არჩილ მარკოზიას უფროსმა შვილმა, ყველაფერი რომ დაიკარგა, სამუშაო და... სხვასავით მანაც დაინყო, ბენზინის მანქანა

ქიდიჭყ, ბენზინიში მაშინა ცუნდუ დო ბენზინს გიმიჩანდ. ბენზინს ჭყონს გიმიჩანდ. გიმიჩანდ დო ი კორი მუშეენდ პატიოსანო, ჭკიჭკიტის კუჩხის ვეგედგუნდეს, ფერი ჩილ დო ქომონჯი. დო ბალანა ცუნდეს ართი დო ირკორი უმარდუდუნი დო ირკოს უორდუნი, ფერ ხალხი'დ თენეფი. ჯანაშია, ნაომს უძახენა, ნაომი ჯანაშია მოსკოვს მუშეენდ მუდგასიენი. ასე ეკლესია დოდგ თიქ ნაფოსტარს.

– სკვამი ინა რე, ოხვამე რე.

– ო, თინა დოდგ თაქ დო მოსკოვს ჭე ჯგირო უღუდუ საქმე, ჯოდორ ბეჭვიაიი სინჯა'დ, ჯოდორიი ძღაბი ეკუხედ თის. თიქ ქუმორთ ჭყონიშა, 10 ოდო ათენეფი ქოძირ დო – „გამარჯობა-გუმორძგუა“, იფრელი დო, ათაქ მინდორს ნიმიწვალებუქია-ვარ, აკა ჯგირი, მეუ დო ქოძირია სო-თინი ბენზინიში კალონკა* დო ამარჩიითია დიხავა დო ქიმერჩანქია კალონკაში* დადგუმალე საშუალებას, მა ქუმოიჯლონანქია. ათეთ ბეჭვიაი დო თექ მიდართეს, ადგილი გეიშარჩიის დო, ქუმორთესგნი, ექ გიშაგორესგნი, ი დიხაშენი ბანძლიქ იუუ, ოდო ართი მშვენიერ სერს გორჩქინდუ ცოთამაქ. ლეხი ვოჯანუდი ცუდეს – მა მუ ბძირინი, თის გირაგადექ, მა მუთ მიჩქუნი – ცუდეს ვოჯანუქ ლეხი, ჩქიმ პატგნ რექ-გნი, ოდო გორჩქინდუ ცოთამაქ. გოლუ ჟირი თოფიქგნი, სუმქ უპასუხ 20 თავრე. ათაქ, ჩქიმი ცუდეში ნოხოლე, კალონკა* გედგენი, თავრეშე ქუ-პასუხუ სუმქ. გორჩქინდ მანგარო ცოთამაქ, მანგარო, დო გორჩქინდ რკიაქ, რკიაქ გორჩქინდ, ჩქიმ პატგნრექგნი, შაჰან ბეჭვიაის დო მუში ოსურს გუმულებუნა გალე დო...

– მუ ჯოხოდუ ბეჭვიაის?

– შაჰანი, ერმინეი სკუა. ოდო მუში ოსურს გუმულებუნა გალე დო ამა-რი, ცუდეში ნოხელე, ჩქიმ პატგნ რექგნი, საცოდება ამბე რე, რკია რე, ცო-თამა რე დო გენთხაფილი რენა მარკოზიაში ცუდეს – ქიგიანთხ ხარხიქ. ე ოსური დო კორქ ქიდიიჭყეს რკიანი, ათავრე დოუნჭუ ი კორქ. ათავრე დო-უნჭუნი, სოდე რკია რენ, თევრე დოუნჭუ ტყვია. თავრე ვარდუო მეჩუ მეღიციამ* ხმანი, თავრე დოუნჭეს აშო. ოდო საცოდება ამბე რე დო, მუ 30 დოს ვარდუო ათავრე გორჩქინდ ცოთამაქგნი, ბორისი ოკუჯაა დო მუში ოსურს გეუდგინგნა დო ოკონა მეულანი, გორჩქინდ ოთამაქგნი, ქეშეეჯი-რეს იშ დიხას. ეთი შაჰანი დო მუში ოსური რკიანდესგნი, გორჩქინდუ ცო-თამაქ დო ე ოსურქ ჯას ქიმკინჯირ, შაჰანქ გიმი ქითიინჯირ დო თევრე ყვიაანს, ყვიაანს, ჩქიმი ცუდეს ირჩქილედ ყვია ართიში, მაჟიაში ყვია.

– მუს ორთუდუ თი შაჰანი?

– ყვიაანდუ, ა, ხმა ვეშეშუ ეშე, ჩქიმ პატგნ რექგნი. იცუუ ეჯგუა ამ-ბექგნი, აქ გედირთეს ცუდეშე, ამბე, იშო-აშო... „მიუე?“ – „ენვერს ქიგი-ანთხეს“ – დო მიდართეს ენეფქ, ცოთამა-ცოთამათ მიდართესგნი, ჩქიმი ბალანა დო ჩქიმი ნოსა ართო დეს იში, აჰაი ცუდეს, ოდო აშო მოულა თენე-ფინი, თეში გორჩქინდუ თე ამბექ. ათაქ ჩქიმი ცუდეში ნოხოლე ჩქიმი მოთა 40 გიოხორაანს, ე, გურამიში ძღაბი, ათეს გუმულებუ თაქ დო ი კოს ურაგა-

ჰყავდა და ბენზინს ყიდდა, ბენზინს ჭყონში ყიდდა. ყიდდა და ის კაცი მუშაობდა პატიოსნად, ჭინჭველას ფეხს არ დაადგამდნენ, ისეთი ცოლი და ქმარი. და ბავშვი ჰყავდათ ერთი და, ყველა რომ ემადლიერებოდა და ყველას რომ უყვარდა, ისეთი ხალხი იყო ესენი. ჯანაშია, ნაომს ეძახიან, ნაომი ჯანაშია მოსკოვში მუშაობდა რალაცაზე. ახლა ეკლესია დადგა იმან ნაფოსტარში.

– ლამაზი ისაა, სამლოცველოა.

– ჰო, ის ააშენა (დადგა) აქ და მოსკოვში ცოტა კარგად ჰქონდა საქმე, ჯოდორ ბეჭვასიას სიძე იყო, ჯოდორის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად მას. ის მოვიდა ჭყონში, ჰო-და ესენი ნახა და – „გამარჯობა–გაგიმარჯოს“, ყველაფერი და, აქ მინდორში რომ წვალობ, ის კი არა, ერთი კარგი, წადით და მონახეთო სადმე ბენზინგასამართი, შეარჩიეთო ადგილი (მინა) და მოგცემთო ბენზინგასამართის დადგმის საშუალებას, მე გამოგიგზავნიო. ამ ნათქვამით (ამით), ბეჭვასია და ეს წავიდნენ, ადგილი შეარჩიეს და, რომ მოვიდნენ, იქ რომ შეარჩიეს, იმ მიწის გამო დავა შეიქნა, ჰო-და ერთ მშვენიერ ღამეს ატყდა (გაჩნდა) სროლა. ავადმყოფი ვინეკი სახლში – მე რაც ვნახე, იმას გეუბნები, მე რაც ვიცი – სახლში ვწევარ ავადმყოფი, ჩემი ბატონი რომ ხარ, ჰო-და ატყდა სროლა. რომ გავარდა ორი თოფი, სამმა უპასუხა აქედან. აქ, ჩემი სახლის წინ ბენზინგასამართი რომ დგას, იქიდან უპასუხა სამმა. ატყდა ძლიერი სროლა, ძლიერი და გაისმა (გაჩნდა) კივილი, კივილი ატყდა, ჩემი ბატონი რომ ხარ, შაჰან ბეჭვასია და მისი ცოლი გამოსულან გარეთ და...

– რა ერქვა ბეჭვასიას?

– შაჰანი, ერმინეს შვილი. ჰო-და [ის და] მისი ცოლი გამოსულან გარეთ და აგერ, სახლის წინ, ჩემი ბატონი რომ ხარ, საოცარი ამბავია, კივილია, სროლაა და დაცემული არიან მარკოზიას სახლს – დაეცა ხალხი. ამ ქალმა და კაცმა რომ დაიწყეს კივილი, აქედან დასცხო იმ კაცმა. აქეთკენ დასცხო, სადაც კივილია, იქითკენ დასცხო ტყვია. აქედან რომ მისცა მილიციამ ხმა, აქეთკენ დასცხეს. ჰო-და საოცარი ამბავია და, როცა აქეთკენ ატყდა (გაჩნდა) სროლა, ბორის ოკუჯავა და მისი მეუღლე ამდგარან და, რომ უნდათ მისვლა, სროლა რომ ატყდა (გაჩნდა), ჩანვნენ მიწაზე. ის შაჰანი და მისი ცოლი რომ კიოდნენ, ატყდა სროლა და ეს ქალი ხეს მოეფარა (მიანვა). შაჰანი ჩანვა და იქიდან წკნაოდა, წკნაოდა, ჩემს სახლში ისმოდა წკნავილი ერთისა, მეორის წკნავილი.

– რას აკეთებდა ეს შაჰანი ?

დო კირილო მაფუნა შენახებულე, გოფურჩონილო, სუფთა, ცანჭიში და-
ხუნაფალო. მუ დოს ცანჭის ქიმიპონანდინი, ჩაფარეს დობლობუნდი –
ჩაფარეს უძახუნა თიში გიოხუნაფაღს – ართიანს ქიმკუონკარანდით თე
ღერემს დო ჯაპიში ცას, ნაცხვანტარას, გოვშეგებერაანდით, შვების გუ-
ონწყენდით. ათაში ჟირს ქიმკუონპონანდით, ჟირს ათაქ ქუმუსკუანდით,
მუჭო ათაქ გევონკარანდინი, თეში ათაქ გევოშიბანდით თის მელე-მოლე,
ჩქიმი პატონი ვორექენი, დო ჩაფარე იცუაფუდუ. თე ჩაფარეს ქახარდის
დურჩანდით. მთავრობა მირიგენდეს თე ქახარდის, თიზმას მირიგენდეს
20 დო ქომჩანდეს, ცუდეს ხოლო პჭაბუნდით თით. უკული, მიირდუდუ თენა
დო ჩაფარეს ვეგინტირედ, უკული ჩერტი ოკოდ.

ცანჭი ირთუუ, ხუთმახ ირთუუ ცანჭი. თე ჩაფარემს ართიანს გებდგუნ-
დით ჩაჩაბუტა ჭკიდიცალო, დო თექ ვათხითხორენდით.

პორველი კანიე, კოჩი ვეჩინენს დო ირცუენი; მაჟია კანს უძახუნა ხუ-
ჭუჭიაში კანს, ხუჭუჭია, ესე იგი ხუჭუჭიაჯგუა გითმურს, ხუჭუჭიათ გი-
თილენს; მასმა კანს უძახუნა სანყაპუტოს; მათხთხა კანიე საცირო, საცი-
რო; მახუთა კანიე – დიდი კანს უძახუნა, დიდი კანს. ცანჭი ქიდინჯირუენი,
ჯან ჟირ დღას, სუმ დღას. გიშელ დიდი კანს დო ჩაფარეს მიუნა თენა.
დიდი კანს ჩაფარეს გიშელენსენი, ჩერტიეფი მიკობუნაფილი მაფუნა დო
30 ჩერტიმა გეგინპონანთ თეს. თე ჩერტი ჯაპიშ ქინგთ [იღობუუ], ჯაპიშ ქი-
ნუთ იღობუუდ ჩერტი. ართი სუმე მეტრი ქალვენუუდუ სიგირძა. ანდა სარ-
თული’დ თენა ხოლო, ვარა მიკობუდუ, ვარა გედგედ. პარკუას ქიდიჭყან-
დენი, თინკელა ცოცხემს გითმევედგუნდით ზაკალიშის, ვარა გუმარაშის,
ვარა ქამენაშის. ეშელენდ ცანჭი თიშა დო პარკის გაკეთენდ.

– მუდაშახ ოკო, ნამუ კანს მუდაშახ ოკო ჩამა ფურციეში?

– ჭიჭენობას – უმოსი ხშირას: სუმშახ, ოთხიშახ. დეკაბეტებუნი, თინ-
კელა დღიურო ჟირშახ შილებე. მუ დროს თენა გეგმირძღუენი, მუ დროს
თენა დირძღუენი, აბრემუმიჯგუა რე, გითაჯინექენი, აბრემუმიე. კუდელ-
შახ ჭიჭე ნვანე რე, ვარა მთლიანო ნვანე რე. მუ დროს თენა დირძღუენი,
40 ჭკომუა ხოლო ნაკლები ოკო, ოდო დროულო ოკო გედგემა ცოცხიში. მითინე
ადრე მიდეემ ცოცხიშა, მითინე გვიანო მიდეემ დო დოპარკენდ. მუთ ქიგი-

– მე მახსოვს, ასე მუყაოს კოლოფზე იჯდა პატარაზე. ვის ერთი კოლოფი ჰყავდა, ვის – ნახევარი კოლოფი.

– გრამობით იყო, გრამობით.

– გრამობით. დედაჩემი და სალომე დაისვამდნენ ერთად და ნახევარი კოლოფის მეტი იმით არ მოუყვანიათ (დაუსვამთ), რატომ-და არ ჰქონდათ ადგილი და ფოთოლი მეტი.

კარგი. ახლა მოიყვანე ჭუპრი...

– აბრეშუმის ჭია პატარაა, ჭიანჭველასავით, ერთი ბენო. ამას დავსვამდით ჩელტზე. ჩელტს ვლობავდით. სიმინდის ღეროს ჭრიან, როცა ტეხენ, მაშინ რომ დარჩება მინდორში. მოჭრა და ალება ხომ არის ღეროსი, განმენდა ეზოსი, მაშინ ავარჩევდი კაი-კაის, სალს, რომ გამოდგებოდა, ისეთს და შეკრულად გვაქვს შენახული გასუფთავებული, სუფთა, ჭიის დასასმელად. როცა ჭიას მოვიყვანდი, ჩელტს დავლობავდი – ჩელტს ეძახიან იმის დასასმელს – ერთიმეორეზე მივანყობდით ამ ღერებს და თუთის წკნელს, განაკაფს, გავატყავებდით, ტყავს გავზდიდით, ასე ორს მივანყობდით, ორს აქმივასკვნიდით, როგორც აქ დავალაგებდი, ისე მივანნავდი იმას იქით-აქეთ, ჩემი ბატონი რომ ხარ, და ჩელტი იქნებოდა. ამ ჩელტს ქალაღლს ჩავუფენდით. მთავრობა გვირიგებდა ამ ქალაღლს, იმდენს გვირიგებდნენ და გვაძლევდნენ, რომ სახლსაც გავწებავდით იმითი. გაიზრდებოდა ის და ჩელტზე არ დაეტეოდა, მაშინ ლასტი სჭირდებოდა.

ჭია კანს იცვლის, ხუთჯერ გამოიცვლის კანს აბრეშუმის ჭია. ამ ჩელტებს ერთიმეორეზე დავდგამდით ჩაჩამუტას მჭადივით და იქ ვათხელებდით.

პირველი კანია, ადამიანი რომ ვერ შეამჩნევს და ისე იფცქვნება; მეორე კანს ეძახიან ხუჭუჭია კანს, ხუჭუჭიას, ესე იგი, ხუჭუჭასავით გამოდის, ხუჭუჭა გამოდის; მესამე კანს ეძახიან საწყაპუტოს; მეოთხე კანია საცირო, საცირო; მეხუთე კანია – დიდ კანს ეძახიან, დიდ კანს. ჭია რომ დანვება, წევს ორ დღეს, სამ დღეს. გამოვიდა დიდი კანიდან (დიდ კანს) და ჩელტზე გვყავს ეს. დიდი კანიდან (დიდ კანს) ჩელტზე რომ გამოვა, ლასტები ჩამოკიდებული გვაქვს და ლასტებზე გადავიყვანთ ამას. ეს ლასტი თუთის წკნელით იღობება, თუთის წკნელით იღობებოდა ლასტი. ერთი სამი მეტრი ექნებოდა სიგრძე. რამდენიმე სართული[ანი] იყო ესეც, ან ეკიდა, ან იდგა. პარკის გაკეთებას რომ დაინწყებდა, მაშინ ცოცხებს დავდგამდით ბზისას, ან გვიმრისას, ან ანაგვირილისას. ავიდოდა ყაჭი იმაზე და პარკებს გააკეთებდა

– რამდენჯერ უნდა, რომელ კანში რამდენჯერ უნდა ჭმევა ფოთლისა?

– პატარაობისას – უფრო ხშირად: სამჯერ, ოთხჯერ. რომ მოიზრდებოდა, მაშინ დღეში ორჯერაც შეიძლება. როცა ეს გამოძლება, როცა ეს გაძლება, აბრეშუმითაა, რომ გახედავ, აბრეშუმია. კუდთან ცოტა მწვანეა, ან მთლიანად მწვანეა. როცა ეს გაძლება, ჭამაც ნაკლები უნდა და დროულად უნდა დადგმა ცოცხისა. ზოგი ადრე ავიდოდა ცოცხზე, ზოგი გვიან

ოსქიდუდუ თუდო, ე, იგვიანუანდუნი, ფერი, თის ალბათ ორკუდ ჩამა დო გეპკორობუნდით, ათაურე ქეგუოხუნუნდით ცალკე, ფურცელს ქიგეუდვანდით, ცოცხის ქიგეუდვანდით დო თინა ხოლო პარკენდ, მარა გითნაკოროფას უძახვდით თის. ინა უკული ინილუუდ, ბოლოს.

ართი მარა ოკოდ, პარკუას გათეენდ თენანი, უკული ართი მარა ოკოდ, ართი მარა. ართი მარას ვაპნილუნდით. სანდრაკია ქითა პირს, შური უნთხაანდგნი, თენა... სანდრაკია, ეთი შური უნთხაანდგნი, ფერი... ეთის მიკუობუნუნდით ირდისას. თინა გეიყარენდ ცანჭის დო ოპარკაფუანდ ჯგირო. ქამენია'დ თენა, ქამენია. სანდრაკია ვარ – ქამენია.

10 კაიკაეშახ ეზარალებუდ კოს თენა, ლახარა უჩქუდუ, გეიშალურუდუ, გეიშაკორობუნდით დო, ფერი მოხვადგდ, გვალო გეგურღვაფუ კოსგნი.

თეს ქკირჭკიტიაქ ვემკაჭკონი ოკო. ვითი, ეჩი ქკირჭკიტიაზგმა რე, მირდუენი, მარა ორუუ იშენი ქკირჭკიტია, კისერს აჩენს დო ცვილუნს. ტერიში მახორობას, ქკირჭკიტიაქ ქუცუასგნი! მუდა კარობკა* ვაიხედასგნი, აარძოს გოსიროტგნს.

უკული დოპნილგნდით, დოვსხუნუნდით, სუფთას სუფთათ ჩავაბარენდით, ჭყვანჭყვას – ჭყვანჭყვათ. ჯგირი ფარას ეთმევეჭოფუნდით, ჯგირს.

მუ მიკაქუნდეს ჯვეშონი

20 – ტანისამოსეფი, კოჩიში ტანისამოსეფი, ჩქიმი პატგნ რექგნი, ორდუ შარვაეფი, ბლუზეფი, გინძე კურთეფი, ოსარეეფი ხეფურჩამეფი, კისერამეფი. ახაიგაზდობას ჩქიმს, მაგალთო, მუკაქუნდუ კოს ოსარე დო კურთა, მაიკა დო იჯგურა ვარ, ოსარე დო კურთა. ოსარე გინძეხეფურჩამი'დ, კისერ ნკეა ჭე დილაჭკირილი დო ფულაქამი. კურთა ხოლო გინძე'დ. ოსურიში კურთა გინძე'დ, ბირგულშახ იშენი. ასე უჩქუნა ცირემს, მათატატგნა მუდგაენინი, ინას მუთუნი ვაჯოხო.

შაივარი, გალიფეშ შაივარეფი, გალიფეში შაივარეფი'დ, გალიფე, ათაქ ინეფი ულუდუნ, ფერი... ჯიბეეფი.

– მუთ იბინუუდ ენა?

30 – ეს ულუდ მიკააკირალი. კურთალარი მუში ულუდ. კურთალარი ხეთ იშუაფუდ, მა ასე ხოლო ფშუნქ, მაგალთო, გოძირა, ხეთ. ბალანაში არტახეფიში გიოკირალიენი, თის ხოლო ხეთ ფშუნდი, მარა ყადათ ხოლო იშუაფუდუ, ყადათ, ძაფით, ვარა ბანარით. ყადა ხოლო რდუ. ფართოთ დოშუნდი ათამ დო უკული ჩხვიჩხვენს უკეთენდეს თი კურთალარის, ფერ ქორდ. ჯგირ კოს თი ყადაშ ნაშუა მიკაქუნდუ.

– ყადა მუი რე?

– ყადა ორდ სპეციალური ოშუალი. ათაქ დგუდუ, ჩქიმ პატგნ ჟექგნი, ათაქ გეძუდ თინა დო ათაქ გინოშუნდეს დო, მუჭო ის შუნა, ჩოხასგ[ნი], ათამ გეუკაქუნა დო იშუაფ თემ დო მეურს. ორე თინა ფართო, ათეჯგუა

ავიდოდა და პარკს აკეთებდა. რაც დარჩებოდა ქვევით, აი, რომ იგვიანებდა, ისეთი, მას ალბათ აკლდა ჭამა (ჭმევა) და ავკრებდით, აქეთ დავსვამდით ცალკე, ფოთოლს დავუყრიდით (დავუდებდით), ცოცხს დავუდებდით და ისიც პარკს გააკეთებდა, მაგრამ ანაკრეფს ვეძახოდით იმას, ის მერე იკრიფებოდა, ბოლოს.

ერთი კვირა უნდოდა, პარკის გაკეთებას რომ გაათავებდა ეს, მერე ერთი კვირა უნდოდა, ერთი კვირა. ერთ კვირას არ მოვკრეფდით. წვიტას წითელ ყვავილს, სუნი რომ ასდიოდა, ეს... წვიტას ის სუნი რომ ასდიოდა, ისეთი... იმას ჩამოვკვიდებდით ყველგან, ის აყრიდა ყაჭს და პარკს აკეთებინებდა კარგად. ანაგვირილა იყო ეს, ანაგვირილა, წვიტა არა – ანაგვირილა.

ზოგჯერ გაუცუდდებოდა კაცს ეს, ავადმყოფობა იცოდა, ზოგი ჩაკვდებოდა. გამოვკრეფდით და, ისეც ხდებოდა, მთლიანად რომ გადაუყრია კაცს.

ამას ჭიანჭველა არ მიჰკარებოდა უნდა. ათი, ოცი ჭიანჭველასხელაა, როცა გაიზრდება, მაგრამ ერევა მაინც ჭიანჭველა, კისერში უკბენს და კლავს. მტრისას, ჭიანჭველა რომ შეესიოს! რამდენი კოლოფიც არ უნდა გესვას, ყველას გაჟღეტს.

მერე დავკრეფდით, დავარჩევდით, სუფთას სუფთად ჩავაბარებდით, გაჭეჭყილს – გაჭეჭყილად. კარგ ფულს ვიღებდით, კარგს.

თუ რა ეცვათ ძველად

– ტანისამოსები, მამაკაცის ტანისამოსები, ჩემი ბატონი რომ ხარ, იყო **შარვლები, ხალათები, გრძელი ნიფხვები, პერანგები სახელოები-ანები, ყელიანები**. ახალგაზრდობისას ჩემსას, მაგალითად, ეცვა კაცს პერანგი და ნიფხავი, მაიკა და იმისთანები კი არა – პერანგი და ნიფხავი. პერანგი გრძელსახელოებიანი იყო, ყელთან – ცოტაზე ჩაჭრილი და ღილიანი. ნიფხავი გრძელი იყო, ქალის ნიფხავიც გრძელი იყო, მუხლამდე მაინც. ახლა რომ იციან ქალიშვილებმა, რომ აცვიათ პატარა და თხელი რალაც, იმას არაფერი ჰქვია.

შარვალი, **გალიფეს შარვლები**, გალიფეს შარვლები იყო, გალიფე, აქ ის რომ ჰქონდა, ისეთი... ჯიბეები.

– რითი იკვრებოდა ეს?

– ამას ჰქონდა შესაკვრელი (მისაბმელი), **ხვანჯარი** თავისი ჰქონდა. ხვანჯარი ხელით იქსოვებოდა. მე ახლაც მოვქსოვ, მაგალითად, გაჩვენებ, ხელით. ბავშვის არტახის მისაბმელი რომ არის, იმასაც ხელით ვქსოვდი, მაგრამ ყადაზეც იქსოვებოდა, ყადაზეც, ძაფით, ან გრეხილი ძაფით, ყადაც იყო. ფართოდ მოქსოვდი ასე და მერე ფორმებსაც უკეთებდნენ ამ ხვანჯარს, ისეთი იყო. კარგ კაცს ის ყადაზე მოქსოვილი ეცვა.

– ყადა რა არის?

– ყადა არის სპეციალურად საქსოვი. აქ იდგა, ჩემი ბატონი რომ ხარ, აქ იდო ის და ასე წააქსოვდნენ და, როგორც იმას ქსოვენ – ჩოხას, ასე დააკაკუნებენ და იქსოვება ასე და მიდის. არის ის ფართო, ასეთი თხელი

თხელი ნაქსოვი დო უკუული თის ჩხვიჩხვენს უკეთენდეს. თენა ულუდ კურთაღარის დო თინა, ა, ჭე, ჯგირი, თავმონონე ხაღხის ულუდ.

ოლურიმ კურთას ხოლო ულუდ კურთაღარი. ასე თე კურთაღარს ხეთი ფშუნქ მა, ხეთ, მილუდას ათაქ დო გოძირა, ძაფით, გოძირანდი, ხეთ მუჭო ფშუნთ: ევრე კოს უკეებ თინა დო ათაშ ორთ კითის, ხეს. ფშუნთ ხეთ, ათაში მითმაკასანს, ოდო მა ფშუნქ, ათაში ეთმაკასანს. მუზმა ნაშუა მაფუ თენა მა!

უკუული ბალანაში არტეხის ხოლო თით ფშუნდი, ბამბემ ძაფით. ბამბემ ძაფით, ბალანაში გოკირალი არტახი რენ, თის, ბამბეში ძაფით ხოლო, ხეთ. ასე იში შუალა მითინს ვაუჩქუ. მა ბრელ მიშუე თენა დო მა მიჩქუ თენა. ასე გამოფენაშა ოკოდას მითინსენი, მა თეს დუშუნქ დო ხეს ქუდგოკინუანქ.

კურთას ზორტი ულუდ მასქუაფალი, კურთას ზორტი ულუდ მასქუაფალი ჟირხოლო კურჩის, თუდო. კურთას – ზორტი, ოდო შაივარს – **პაჭარაკი**. ვეხუშუედუ თი შაივარი, გალიფე შაივარი.

უკუული **ბლუზა** უჩქუდეს. ბლუზა, ათაქ – ფულაქეფი ათეშახ. ათაქ ჟინ რემენი მიკოიდგუ სი, ჯებე ხომ გილუ? ათაშ ჯიბე მიკოდგუდ, ათაქ გინაფინალი რდუნ, ფერი, ჟირი ჯიბე. ეთი კისერი ხოლო – ათაში, ვარადნიკი ულუდუნი, თეშ.

– მა ჩქიმი ბალანობას ფშე, ნამდა ვარადნიკამი ბლუზა ვემკააქუნდეს.

– ათაშიანი ხოლო ორდუ, ათე ვარადნიკამი ხოლო ორდუ, ათე ვარადნიკამი ხოლო. ოდო ჯიბეს, ჩქიმი პატგნ რექგნ, გინაბინალი ულუდუ. ფულაქი გედგუდუ დო ათაქ გინაბინალი ულუდუ. მიკოფახუდუ, მიკოჭელი რდუ სქვამას, მიკოფახუდუ თე ჯიბე. უკუული ათაქ ნელს ფართო **ორტყაფუ** ულუდეს. ორტყაფუ მაარტყუდეს დო, ქიმიკიქუნანდეს დო **აზიასკი** კურჩის აუცილებერი'დ, თეს მიკიქუნანდუნ, თი კოს. ათენა მუკაქუნდუნ, თი კოს თე აზიაცკი ულუდ დო თენეფი მიკააქუნდ. ათაშ მონწყილი რდგნ, თი კორი ვარა მოსამსახურე რდ, ვარა მუდგარდუნ ნარჩინებული, ვარა ი არძა გლეხეფს თენა ვაულუდ.

– ფუაქი შინეე სი. ფუაქის ჩქიმი ოჯახის ჩქიმი ბალანობას სადაფის უძახედეს.

30 – სადაფი შხვა რე, ფულაქი შხვა რე.

– მუ რე სადაფი?

– სადაფიე ოსარეფიში გოდგუმალი. რქაშიჯგუა რე, ტირხუნი, თიჯგუა რე.

ახალუხის ოკო ულუდუკო **კაკეფი**. დო **ლართი** მიკაქუნდეს.

– ასე მა ფშე, დიჩქიმს ლართიმ ჭააა უჩქუდუ, ახალუხიში ჭააა უჩქუდუ, ოდო ჩქიმი ბალანობას მუი ბიძისქუას, გუდუნია სხულუხიას, მიკააქუნდუ ირო, ოჭააფუანდ. ართი, მა ფშუნ, თეში ართი ჟირშახ დაჭააფუ ლართი დო ახალუხი.

40 – ახალუხის კაკეფი გედგუდ, კაკეფი. დო სკუნდუ, სკვილი კაკეფი გედგუდ, დო თინა ხეთ ძნელი ოლოლამარი'დ დო ბატიშ სუა რდგ, იბინუდუ, ისკუუ კაკეფი, ისკუუ. მა თინა მისკუ, მარა მა ასე თინა ვამასკვე, ასე

ნაქსოვი და მერე იმას ფოჩებს უკეთებდნენ. ეს ჰქონდა ხვანჯარს და ის, აი, ცოტა თავმოშნონე ხალხს ჰქონდა.

ქალის ნიფხავსაც ჰქონდა ხვანჯარი. ახლა ამ ხვანჯარს ხელით მოვქსოვ მე, ხელით. რომ მქონდეს აქ, გაჩვენებდი ძაფით, გაჩვენებდი, ხელით როგორ ვქსოვთ: იქიდან კაცს უკავია ის და ასე შერება თითს, ხელს. ვქსოვთ ხელით, ასე ტენის და მე ვქსოვ, ასე ტენის. რამდენი მომიქსოვია ეს მე!

მერე ბავშვის არტახსაც იმითი ვქსოვდი, ბამბის ძაფით, ბამბის ძაფით, ბავშვის ჩასაკრავი აკვანი რომ არის, იმას ბამბის ძაფითაც, ხელით. ახლა იმისი მოქსოვა არავინ იცის. მე ბევრი მიქსოვია ეს და მე ვიცი ეს. ახლა გამოფენისთვის რომ უნდოდეს ვინმეს, მე ამას მოვუქსოვ და ხელში მივცემ (დავაჭერინებ).

ნიფხავს თასმა ჰქონდა შესაკვრელი (მისაბმელი), ნიფხავს თასმა ჰქონდა შესაკვრელი (მისაბმელი) ორივე ფეხზე, ქვევით. ნიფხავს – თასმა, ხოლო შარვალს – **საკოჭური**. არ აიჩაჩებოდა ის შარვალი, გალიფე შარვალი.

მერე **ხალათი** იცოდნენ, ხალათი, აქ – ღილები აქამდე. აქ, ზემოთ, ტყავის თასმა გაქვს მიკერებული შენ, ჯიბე ხომ გაქვს? აქ ჯიბე იყო მიკერებული, აქ გადასაფენი რომ იყო, ისეთი, ორი ჯიბე. ის ყელიც – ასე, საყელო რომ ჰქონდა, ისე.

– ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, რომ საყელოიანი ხალათი არ ეცვათ.

– ასეთიც იყო, ეს საყელოიანიც იყო, ეს საყელოიანიც. და ჯიბეს, ჩემი ბატონი რომ ხარ, გადასაკრავი ჰქონდა. ღილი იყო მიკერებული და აქ შესაკრავი ჰქონდა. კოხტად იყო მიდგმული, მიკერებული იყო ლამაზად, კოხტად იდგა ეს ჯიბე. მერე აქ, წელზე, **განიერი ქამარი** ჰქონდათ, ქამარი ჰქონდათ შემორტყმული და, რომ ჩაიცვამდნენ, **აზიურები** ფეხზე აუცილებელი იყო, ამას რომ ჩაიცვამდა, იმ კაცისთვის. ეს რომ ეცვა, იმ კაცს ის აზიურები ჰქონდა და ესენი ეცვა. ასე გამოწყობილი რომ იყო, ის კაცი ან მოსამსახურე იყო, ან ვიღაც (რალაც) წარჩინებული, თორემ ყველა გლეხს ეს არ ჰქონდა.

– ფოლაქი ახსენე შენ. ფოლაქს ჩემს სახლში ჩემს ბავშვობაში სადაფს ეძახდნენ.

– სადაფი სხვა არის, ფოლაქი სხვა არის.

– რა არის სადაფი?

– სადაფია პერანგზე დასაკერებელი. რქისგან გაკეთებულივით არის, რომ ტყდება, ისეთია.

ახალუხს უნდა ჰქონოდა **ღილ-კილო**, და **ჩოხაც** ეცვათ მასთან.

– ახლა მე მახსოვს, დედაჩემმა ჩოხის კერვა იცოდა, ახალუხის კერვა იცოდა, და ჩემს ბავშვობაში მის ბიძაშვილს, გუდუნია სხულუხიას, ეცვა ყოველთვის, აკერვინებდა. ერთი მე რომ მახსოვს, ისე ერთი ორჯერ შეაკერვინა ჩოხა და ახალუხი.

– ახალუხს ღილ-კილო ჰქონდა, ღილ-კილო. დანასკვავდა, სკვნილი ღილ-კილო ჰქონდა მიკერებული, და ის ხელით ძნელი გასაკეთებელი იყო და ბატის ფრთა იყო, იკვრებოდა [ამის დახმარებით], იფსკვნებოდა ღილ-კილო, იფ-

მა იმ თოლი ვამილუ, ვართი ნერვეფი. სკუალა, კაკაშ სკუალა ხოლო მიჩქუდუ, მისქუ. მა საიტერესოთ მილუდუ თი თვისება, ნამდა, კოჩი მუთუნს გაკეთენდუდა, თინა გავაკეთიკონი ოკო.

ასე კუჩხის აზიასკეფი მააძუდეს. აზიასკემს ჟი კანკალეს **ლეპერტყეფი** ულუდუ. **მანიკი** ულუდუნი, ფერ ლეპერტყეფი.

– ოო, მანიკი ულუდუნი, ფერი ლეპერტყეფი! მუჭო ის, ორტყაფუს ულუდუ მანიკინი, თეში, ჭიჭე მანიკი ულუდუ, ვარჩხიიში მანიკი. თინა მიკოჭეი რდ, ვარო? თვითონ თის'დ მოკოჭეი!

10 – ინას ულუდუ, მიკოჭელი რდ, მითაარღვაფალი ულუდუ ი კათას. ათეს ათაშ გითმურღვანდი, გეკობინუნდეს დო ინა გიმეშუ აშო, სქვამას მიკოხედ თავრე.

– აზიასკის უძახუდეს.

– ო. ენა ჭიჭე თავმონონე ხალხის მააძუდ.

10 ღართის სარტყელი ულუ მუში. ორტყაფუს ულუდუ მანიკი დო გითაბუდუ თის მანიკეფი, ვარჩხილიში ფართო-ფართო ინეფი... ორტყაფუ რდუ... ულუდუ ჭიჭე, ათეშმაფართა, რკინაჯგუა, ოფორალი ულუდუნ, ფერი, **საფულე** დ თინა დო თექ ფარა დიღგადვინედ, \დო\ ხურდა ფარა დიღგარღვინედ, ოდო იკილუდუნ, ფერი'დ. ვარჩხიიში'დ თენა. ჯგირო'დ კეთებული, ჯგირი ოსტატი აკეთენდ. კოჩიში ხეშ მადიდა'დ ათენა. ორტყაფუს მიშაძუდუ. ოდო ხურდას ქინარღვანდეს.

20 თინა თიშენი რდ, ნამდა ჯვეშო, ნიკოიაშ* დროს, ხურდა ოქროში ხურდა'დ, ვარჩხიიში რდ დო ფარა რდ თენა. ეთიშა დინუძუდეს.

– ჟირ შაურშა პიდუღენდით გორო ქობალს, ჟირ შაურშა პიდუღენდით. ათაქ ათეშმაშხვა ორდუ თინა. ათაქ მუნჭირანდინი, შურს გუტენდუ, დო ნამდვილი, ნატურალური ქობალი'დ.

– მა... ჩქიმ ბალანობას ხოჟო, სკოლაშა მიივშინი, სალხინოს სევერიან ბასილაიას, აპოლონ ბასილაიაში დო ვალიკოში მუმას, ულუდუ ფურნე, ოდო თინა ვარდუო ქობარს ჭუნდუნი, სკოლაშა შური მიიშ. ნატურალური დო ჯგირი ქობაი რდ.

ასე **ბაშილაყი**.

30 – ბაშლაყის სპეციალური მაჭალ ცუნდ, ბაშლაყის. მუჭო სირმათ გუთმანწყუნდეს ახალუხისგნი, თეში სირმათ რდ გონწყილი. სირმათ გითმანწყუნდეს, შხვადოშხვანერიენ, თის.

უკულ ორდუ **ნაბადი**. ნაბადის აკეთენდეს გოლაშ ხალხი. ინა – კალანდიაში კარე ხომ ქოჩიქ? – ასე ხოლოე, შარაპისიე – ეთი კალანდიაში კარეეფს გითორდ ირინე ნაჭყებია, კალანდიაში ოსური, ძეგვე კალანდიაში დიდა დო ათანასაში დიდა. თვითონ ირინე რდუ ნაჭყებოხე, მაქსიმე ნაჭყებიაში და, ჩქიმ პატგნ რექგნი, დო თი მაქსიმე დო ირინე ორდუ ჩქიმი მუმაში მამიდასუა, ეთევრე ვიჩინენდი მა თის, დო თინა გუთორდ თექ დო თინა აკეთენდ თისგნი, მა მიძირ, თინა აკეთენდგ, ნაბადის აკეთენდგნი. მონტყორიში'დ.

40 ლაფილი მონტყორი რე თენა, დიო ქექილი, უკუი ნახვილი, უკულ ლაფილი, სუფთა მონტყორიში.

სკვნებოდა. მე ის გამინასკვავს, მაგრამ მე ახლა იმას ვერ გავნასკვავ, ახლა მე იმისი თვალი არა მაქვს, არც ნერვები. ფსკვნა, ლილ-კილოს ფსკვნაც ვიცოდი, მიფსკვნია. მე საინტერესო თვისება მქონდა (საინტერესოდ მქონდა ის თვისება), რომ, ადამიანი რამეს თუ გააკეთებდა, ის გამეკეთებინა უნდა.

ახლა ფეხზე აზიურები ეცვათ. აზიურებს კი ზოგიერთებისას დეზები ჰქონდა, ბალთა რომ ჰქონდა, ისეთი **დეზები**.

– ოო! ბალთა რომ ჰქონდა, ისეთი დეზები! როგორც იმას – ქამარს ჰქონდა ბალთა, ისე პატარა ბალთა ჰქონდა, ვერცხლის ბალთა. ის მიკერებულ იყო, არა? თვითონ იმაზე იყო მიკერებული!

– იმას ჰქონდა, მიკერებული იყო, გასაყრელი ჰქონდა ზოგსაც. ამას ასე გაუყრიდი, შებნევენ და ის ჩამოვიდოდა ქვევით (აქეთ), ლამაზად იჯდა მასზე (აქეთკენ).

– აზიურებს ეძახოდნენ.

– ჰო. ეს ცოტა თავმომწონე ხალხს ეცვა.

ჩოხას ქამარი აქვს თავისი. ქამარს ჰქონდა ბალთები და ეკიდა იმაზე [მას] ბალთები, ვერცხლისა ფართო-ფართო ისინი... ქამარი იყო... ჰქონდა პატარა, ამსიფართე, რკინის მსგავსი, სახურავი რომ ჰქონდა, ისეთი. **საფულე** იყო ის და იქ ფული შეგეძლო ჩაგედო, ხურდა ფული შეგეძლო ჩაგედო, ჰო-და რომ იკეტებოდა, ისეთი იყო. ვერცხლისა იყო ეს, კარგად ოყო გაკეთებული, კარგი ოსტატი აკეთებდა. კაცის ხელის[გულის] ოდენა იყო ეს, ქამარში იყო გაყრილი და ხურდას ჩაყრიდნენ.

– ის იმიტომ იყო, რომ ძველად, ნიკოიას* დროს, ხურდა ოქროს ხურდა იყო, ვერცხლისა იყო და ფული იყო ეს. იმაში ედოთ.

– ირ შაურად* ვყიდულობდით თავ პურს, ორ შაურად ვყიდულობდით. აქ ამსისმხო იყო ის. აქ რომ მოუჭერდი, სურნელს გაუშვებდა, და ნამდვილი, ნატურალური პური იყო.

– მე... ჩემს ბავშვობაშიც, სკოლაში რომ მივდიოდი, სალხინოში სევერიან ბასილაიას, აპოლონ ბასილაიასა და ვალიკოს მამას, ჰქონდა ფურნე, და ის რომ პურს აცხობდა, სკოლაში სურნელი მოდიოდა. ნატურალური და კარგი პური იყო.

ახლა **ყაბალახი**.

– ყაბალახს სპეციალური მკერავი ჰყავდა. ყაბალახს, როგორც სირმით გაანყობდნენ ახალუხს, ისე სირმით იყო გაანყობილი. სირმით გაანყობდნენ, სხვადასხვანაირი რომ არის, იმას.

მერე იყო **ნაბადი**. ნაბადს აკეთებდა მთის ხალხი. ისა – კალანდიას კარავი* ხომ იცი? – ახლაცაა, გზისპირზეა – იმ კალანდიას კარვებში იდგა ირინე ნაჭყებია, კალანდიას ცოლი, ძეგვე კალანდიას დედა და ათანასას დედა. თვითონ ირინე იყო ნაჭყებია, მაქსიმე ნაჭყებიას და, ჩემი ბატონი რომ ხარ, და ის მაქსიმე და ირინე იყვნენ ჩემი მამის მამიდაშვილები, იქიდან ვიცნობდი მე მას, და ის რომ იდგა იქ და ის რომ აკეთებდა იმას, მე მინახავს, ის რომ აკეთებდა, ნაბადს რომ აკეთებდა. მატყლისა იყო. შეღებილი მატყლია ეს, ჯერ შეთელილი, მერე – გარეცხილი, მერე – შეღებილი, სუფთა მატყლი.

– ჯგირი! ასე ოსურში მიკაქუნაი დო მადვაჲარი?

– გააჩქედუ ოსურეფს. მინს, თავადიშ ოსურეფი რდგნი, ასე მიკაქუნანი გირძე კაბანი, თემ – გირძე კაბა. თავადიში ოსური ქორდუ-და, ათე გირძე კაბაქ ვემკინიკუკონი ოკო, გლეხიში ოსური ეკოყუნდუ დო მეუღედუ თე კაბა. ჟინოსკუალეფი გენსხვაგებუდუ არძო გლეხეფიშე დო მიკიქუნანდეს ჯგირს. **ნომცქიმ შაფემს** უძახუდეს, ჩხოროჯვარიანი, შაფი რდ ჩხოროჯვარამი, უჩა, შავ-თეთრი შაფეფი.

– ჯვარი მუ ფერი რდ?

10 – ჩე დუ, გვალა ჩე ხოლო ვარ, მორუმე'დ უმოსო. სხვა ფერი ხოლო'დ, მიძირ. თინა მუში ნახანტი უღუდუ, ასე ათეს მუჭო მუშ ნახანტი უღუნ, თეში. ასე ხოლო უღუ ე კათას ნარჩენი – ნამთინეს, მიდგასიენი.

– დუს მუ გიორთუდეს?

– დუს მუ გიორთუდეს-და გინიფორანდეს. დუდლაჭილი ოსური ქოძირესკონი, ჭკუაშე გინიღუნდეს. თომა ოკო უღუდუკონი მინი შიბილი, მინი გეკვარკვაშელი. ე, თი ოსურქ მორთ ამერიკაშენ, ამერიკა ვარ, იშე – უკრაინაშენი...

– ტიმოშენკო. ინა ხელოვნური რე.

20 – ხელოვნური რე, მარა მუში ტრადიციაშიე. თეში რდ ჩქინი ტრადიცია, ჯვეში ტრადიცია ხოლო. ოსურკოს შიბილ თომა ოკო უღუდუკონი, ნანნავეფი, შიბილი თომა.

– კოსტაში ოსურს მუში ძღაბააში თომა, მუჭო ქიმიონ-დო, ართ მეტრ დო გვერდი, ხოლო მეტი ქიიდ, მეულაჭგდგნი. მუშენი ილაჭგნი, ენა ვამიჩქ. სორე ასე თი თომანი, ვამიჩქ. ათაშ გილეშეს დო ციდუღუნდეს, ვარო?

– ციდუღუნდეს. მა თომა მიღუდუ. ოთხო რდ შიბილი თენა ათემმაფართა-მაფართა, ოდო მუჭო შიღებენია თომა უღუდასია ეზმავა დო დობკვათეს! მებკვათეს! მებკვათეს! ასე თომაქ გუმარცუ. ჟარნეჩდომქვეითის ჯიმაქ მიღურუნ, თიშ უკული ქიცა ვეგნომწყუმუ დუს, ჩე დო ჭითათ ვეგლამირთუმ. თიში უკული ირო იყუ სინნარექ! სინნარექ! უკული და დო ჯიმა...

30 ნომსქი შაფი ორდუ განსაკუთრებული, თენა ქიგიორთუდ ოსურსგ-და, დიდი, დიდი, მაანგარი ჩაცმულობათ იკოროცხუდუ დო საპატივ-ცემლოთ იკოროცხუდ.

ოსურეფს მაძუდუ **ყაყაბი**.

– ყაყაბი, დასურო! ყაყაბი მა მიკეთებუ დიაჩქიმიშოთ.

40 დიაჩქიმქ დიიჩინ, – ასე ხომ ქუულუდ, მა ირანიშე მუშულანდი დო ქიშმირიში მიკაქუნაი ვარკვდ – ოდო დიიჩინ, შაიშ მუთუნ ვენმოუნუათია იშა – საფულეშა, შაიში – მუთუნ ვარ, ირფეი იშა, მუჯო-ხო-და, ბამბეში. თენა მუშენი? ალბათ არჩქვენუუდ, ჯვეშო არიგენდეს დო მარდი'დ. შალიშ უღუდ ხომ ართ ჟირ-სუმი ხე, მა მოკოდ, ჩქიმი მუნა-ლეი'დგნი, იშენ ვარგნი, დიაჩქიმიში მოკოდ სახსოვარო. ენა მუჭო დიაჩქი-მიში სახსოვარო მა ვარდუო მოკოდგნი, თეში მუში ნარდი ჩქიმი დასქუა-ემქ, ჯიმასქუაემქ... დო ინა აარძო დინანინეს დო მუთუნქ ვაფხვად მა, ვაფხვად მა. შალი მოკოდ, დიაჩქიმიში შალი მოკოდ.

– კეთილი! ახლა ქალის ჩასაცმელი და ფერცამოსი?

– გააჩნდა ქალებს. ზოგს, თავადის ცოლები რომ იყვნენ, ახლა რომ აცვიათ გრძელი კაბა, ისე – გრძელი კაბა. თავადის ქალი თუ იყო, ეს გრძელი კაბა არ უნდა დასვრილიყო, გლეხის ქალი მიჰყვებოდა უკან და მიჰქონდა ეს კაბა. აზნაურიშვილები განსხვავდებოდნენ გლეხისგან (ყველა გლეხებისგან) და ეცვათ კარგად (კარგს). **ნომცქის* შალებს** ეძახოდნენ, ცხრაჯვრიანი, შარფი იყო ცხრაჯვრიანი, შავი, შავ-თეთრი შარფები.

– ჯვრი რა ფერისა იყო?

– ჩე დუ, მთლად თეთრიც არა, მომუქო იყო უფრო. სხვა ფერისაც იყო, მინახავს. თავისი ნახატი ჰქონდა, ახლა ამას როგორც აქვს თავისი ნახატი, ისე. ახლაც აქვს ხალხს შემორჩენილი – ზოგიერთს, ვილაცას.

– თავზე რა ეხურათ?

– თავზე რა ეხურათ და გადაიფარებდნენ. თმებგაკრეჭილი ქალი რომ ენახათ (თუ ნახავდნენ), ჭკუიდან გადავიდოდნენ. თმა უნდა ჰქონოდა ან დანწული, ან ზევით აწეული და ჩამაგრებული. აი, ის ქალი რომ მოვიდა ამერიკიდან... ამერიკა კი არა, იქიდან – უკრაინიდან...

– ტიმოშენკო. ის ხელოვნურია.

– ხელოვნური არის, მაგრამ მისი ტრადიციისაა. ასეთი იყო ჩვენი ტრადიცია, ძველი ტრადიცია. ქალს დანწული თმა უნდა ჰქონოდა, ნანწავები, დანწული თმა.

– კოსტას ცოლს თავისი ქალიშვილობის თმა, როგორც კი მოიყვანეს, მეტრა-ნახევარი, კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ შეეჭრა. რატომ შეიჭრა, ეს არ ვიცი. სადაა ახლა ის თმა, არ ვიცი. ასე დადიოდნენ და ყიდულობდნენ, არა?

– ყიდულობდნენ. მე თმა მქონდა, ოთხად იყო დანწული ას, ამსიფართე-ამსიფართე, ჰო-და როგორ შეიძლებაო, თმა რომ ჰქონდეს ამხელაო – და შემჭრეს! მომჭრეს! მომჭრეს! ახლა თმა დამცვივდა. ორმოცდაშვიდში ძმა რომ მომიკვდა, მას შემდეგ თავსაფარი არ მომიხდია თავიდან, თეთრითა და წითლით არ მივლია. მას შემდეგ ყოველთვის იქნა სიმწარე! სიმწარე! მერე და და ძმა...

ნომსკი* შარფი იყო განსაკუთრებული. ეს თუ ეხურა ქალს, დიდ, დიდ, მაგარ ჩაცმულობად ითვლებოდა და საპატივცემლოდ ითვლებოდა.

ქალებს ეცვათ [ფეხზე] **ხის ქოში, ყაყაბი.**

– ხის ქოში, მართლა! ხის ქოში მე გამიკეთებია დედაჩემისთვის.

დედაჩემმა დაიბარა – ხომ ჰქონდა, მე ირანიდან მოვუტანდი და ქიშ-მირისა ეცვა, ტანისამოსი არ აკლდა. ჰო-და დაიბარა, შალისა არაფერი გამატანოთო იმაში – საფლავშიო, შალისა – არაფერი არა! ყველაფერი იმისაო, რა ჰქვია? – ბამბისაო. ეს რატომ? ალბათ ეცოდინებოდა, ძველად რომ არიგებდნენ და მადლი იყო. შალისა ჰქონდა, ხომ, ერთი ორისამი ხელი, მე მინდოდა, ჩემი მოტანილი რომ იყო, იმიტომ კი არა, დედაჩემისა მინდოდა სახსოვრად. ეს დედაჩემის სახსოვრად მე როგორც მინდოდა, ისე მისმა გაზრდილმა ჩემმა დისშვილებმა, ძმისშვილებმა... და ეს ყველა დაინანილეს და არაფერი შემხვდა მე, არ მერგო მე. შალი მინდოდა, დედაჩემის შალი მინდოდა.

ოღო ათე იზიაში დიდა, რაისა, თიჯგუა ოსური რდ, დიდაცაჲო მიჰორდ. დიდაცაჲო მითინ ვაჟსკორს კოს, მარა... ოღო დოღურუნი, უბედურება დო ინა'დ, აფხაზეთიშე ლტოლვილობა რდგნი, ლტოლვილეფი რდ მუირი დო შაყარაანდეს იფრერს, ოღო ჯგირო მუკააქუნდ [ჩქიმი დიანთირს], ოღო პაპაქ ქემორთ დო წესი აუგუნი, თქუუ, ნამდა მარდი რენია დო ტანისამოსია თეშია დაარიგითია. ართი მანქანა დობჭვირთით. ოვჭოფი მანქანა დო დოვ-ხარგეე, ვენინტირგნი, თეში. ოღო შალი თიში, ოღო ინა უღუდუ – ხეფორჩამი მაიკა, დინახაე კოს მუკაქუნსუნი, გურეაღაირი, ოღო ეთინა... – მა ჯგირი კოჩი ვორექენი, იშენი ვარგნი – თინა მგკმოქუნს მა, თიში მიკნაქუნა, ჩქიმი დიანთიში მიკნაქუნა...
10 ოჩხონუას ღორონქ!

პატონეფი

– ასე, პატონეფი: მუდანერი პატონეფი ზოჯგნს, ოღო მუდანერი პატონემს მუჭო ოკო?

– პატონემს გამონაყარი უღუ ჭიფე-ჭიფე, გუმარღვანს ჭიე-ჭიეთ, მით გურს ქუჩანსგნი. კაიკალე ქუჩანს გურს, მის უჩქუნი, კაიკალე ვაუჩანს დო, გაარღუა ჩქიმი ბალანემსია – თქუანა – გუმარღუა ჩქიმ ბალანემს, ოღო მუდგარენ ოჭკომუა დო თიშ ბრალ რენია, თიშ ბრალ რენია დო თენა დო თინა... მინი, გურს ქუჩანსგნი, კაიკალეს უჩქუ დო გურს ქუჩანსგნი, ვემეუჩირთ პატონემს დო ჯგირიე, ვეგემიზე ზებუ ჩქიჩქეს.
20

წყარ პატონეფს უძახგნა, წყარ პატონეფს. თე წყარ პატონეფს...
შარტე პატონეფს, შარტე. წყარი დინოდგ თეს დინახაღე, წყარი. მუნუკ-ცალო გიმარღვანს, მარა, ნუ გუგოჭყორდ, თენა, ჩქიმ პატონ რექენი, ნაკ-ვალევეს დიიტენს, ნაკვალევეს. თენა ორე დიდი პატონეფიში დაა თიშენ, ნამდა, მუჭო დიდ პატონეფი ხომ იტეენს სახეს – მიდგას უღუნი, სახეს იჩინებე – ონ თეში თეს დიტეენს თენა ხოლო. დიდი პატონეფიშ დას უძახგნა. ირდინას გემარღვანს თენა. ქუჩანა გურსგნი, პატონეფიენი, თექ წყარს ქიგლადვანა, სიმინდიში ჭაშ ფურცელს, სიმინს ჭირქას ქინარღვანა დო ქიგლადვანა სენით. წყარი ხოლო – ცხენიშოთ, სიმინდი ხოლო – ცხენიშოთ, ირფელი – ცხენიშოთ, პატონემს ომსახურუნ, თიშოთ. გიღუძუ თექ დო გეთებუ თენა, ართი მარა ოკო დო ქირთინუანს პის დო ქინოშქირტუნი, ეთინკელა გეგნახუნუანა თეს დო ქინახუნუანა ართ მარამ უკუელი წყარს, ქინახუნუანა, ქინარღვანა. თე გიღადგუნი, თენეფს წყარს ქინარღვანა. პატონეფი ზოჯილი რე. უკუელი ქოთ ქოთომს ჭუნა...
30

– აიშახ ვეშიებეედ ქოთომიში ჭუააა, ვარო?

– ქოთომიში ჭუაღა ვეშილებე.

– ხოლო მუ ვეშიებედ?

– მუთუნ ვეშილებედუ: ხაჩქუა ვეშლებედ, მუთუნ მუშობუა ვეშლებედ, ჭაღა ხოლო ვეშლებედ, ბოდიში დო ჩიი დო ქომინჯიშ ინა ვეშლებედ.

ჰო-და ამ იზიას დედა, რაისა, ისეთი ქალი იყო, დედასავით მიყვარდა. დედასავით არავინ უყვარს კაცს, მაგრამ... და, რომ გარდაიცვალა, უბედურება და ის იყო, აფხაზეთიდან ლტოლვილობა რომ იყო, ლტოლვილები იყვნენ მოსული და აგროვებდნენ ყველაფერს. კარგად ეცვა [ჩემს სიდედრს]. და, მღვდელი რომ მოვიდა და წესი რომ აუგო, თქვა, რომ მადლი-აო და ტანისამოსიო ამისიო დაარიგეთო. ერთი მანქანა დავტვირთეთ, დავიჭირე მანქანა და დავტვირთე, რომ არ ეტეოდა, ისე. ჰო-და შალი მისი, და ის ჰქონდა – სახელოებიანი მაისური, ადამიანს შიგნიდან რომ აცვია, გულამოღებული, და ის... მე კარგი კაცი რომ ვარ, იმიტომ კი არა – ის მაცვია მე, მისი ნაცვამი, ჩემი სიდედრის ნაცვამი.

აცხონოს ღმერთმა!

ბატონები

– ახლა ბატონები: რამდენნაირი ბატონები ბრძანდება და რომელ ბატონებს როგორ უნდა?

– ბატონებს გამოწყარი აქვს წვრილ-წვრილი, გამოწყარის წვრილ-წვრილად, ვინც მიუხვდება. და, დაყარაო ჩემს ბავშვსო – იტყვიან – დაყარაო ჩემს ბავშვებს, და რალაც ჭამაო და იმისი ბრალი არისო და ესა და ისა... ზოგი რომ მიუხვდება, ზოგმა იცის და რომ მიუხვდება, არ შეცდება ბატონებთან და კარგია, არ გაურთულდება ჩვილს.

ჩუტყვავილას ეძახიან, ჩუტყვავილას. ამ ჩუტყვავილას, შარტე ბატონებს, შარტეს. სითხე დგას ამაში შიგნით, წყალი. მუნუკივით აყრის, მაგრამ, ნუ დაგავინყდება, ეს, ჩემი ბატონი რომ ხარ, ნაკვალევს ტოვებს, ნაკვალევს. ეს არის ყვავილის (დიდი ბატონების) და იმიტომ, რომ, ყვავილი (დიდი ბატონები) ხომ ტოვებს სახეზე [კვალს] – ვისაც [ის] აქვს, სახეზე ეტყობა – ისე ამას ტოვებს ესეც, [ამიტომ] ყვავილის დას ეძახიან. მთელ ტანზე (ყველგან) აყრის ეს. რომ მიუხვდებიან, რომ ბატონებია, იქ წყალს ჩამოდგამენ, სიმინდის ფოთოლს, სიმინდს ჭიქაში ჩაყრიან და ჩამოდგამენ თეფშით. წყალიც – ცხენისთვის, სიმინდიც – ცხენისთვის, ყველაფერი – ცხენისთვის, ბატონებს რომ ემსახურება, იმისთვის. დევს იქ და, რომ გათავდება ეს, ერთი კვირა უნდა და, რომ იბრუნებს პირს და რომ ჩაქრება, მაშინ გადასვამენ ამას და ჩასვამენ ერთი კვირის შემდეგ წყალში, ჩასვამენ, ჩაყრიან. აქ რომ არის ჩამოდებული, იმას წყალში ჩაყრიან. ბატონები ნაბრძანებულია. მერე კიდეც ქათამს შეწვავენ...

– აქამდე არ შეიძლებოდა ქათმის შეწვა, არა?

– ქათმის შეწვა არ შეიძლება.

– კიდეც რა არ შეიძლებოდა?

– არაფერი შეიძლებოდა: თოხნა არ შეიძლებოდა, არანაირი მუშაობა არ შეიძლებოდა, კერვაც არ შეიძლებოდა, ბოდიში და ცოლ-ქმრის ის არ

ათენა იფრელი მოსარიდებელი რდუ. ჭალა ხოჲო ვეშლებედ. ოჯახის ლი-
შის ვედეკინენდეს.

ასე **კორკოცე პატნეფი**. კორკოცე პატონეფს უძახუნა თე პატონეფს,
ხვალე პატონეფი. თენა რე ჩხორო თუთას. შხვა თითო მარიანი'დ, თითო
მარიანი. თენა ხვალუნს, ხვალუნს. „ყაა“ – ათაშ გილეძახუნა. ძაამი მძიმე
პატონეფი რე თენა, ძაამი მძიმე. არძოშ უმოსი მორიდება ოკო თეს. თენა
რე აარძაშ მძიმე. არძაშ უმოსი, ნახველი ულუ.

– მუ ოხვარ თე პატნეფს, ყივანახველა, ვარო?

10 – კორკოცე პატონეფიე ჩქინობურათ. ლეჯიმ ნაჭვალა ბჟას ჩანა, ცხენიმ
ბჟას ჩანა, ვირიში ბჟას ჩანა. კიცი ვაგოფურულუ ოჯახის დო ვეჭუულუ კიციით.

– ლუმუ?

– ლუმუ – ქო. კიციქ ოკო ვაქოფურუკო ოჯახის დო ვეჭუულუ კიციით,
მუთუნი ვეკეთებულუ. მუთუნი ვეშლებედ ჟარნეჩი დღას. მეზობელს ვემ-
ნაშქვანდეს – თენა გადამდები რე – ბალანეფს ვემნაშქვანდეს. არძო პა-
ტონეფი გადამდები რე. არძა ინფექციური რე, თენა გინმადვალუ. ჟარნეჩი
დღას ნახუა ვეშლებედუ. ბალანეფიში მუთუნს ვანახუნდეს. ათე ჩხორო
თუთას ირო მაფრთხილებერი რე. ძაამი ყურადღებას აქცენდუ კორი. ასე
აცრა რე დო თე პატონეფი... ადრე პატონეფი გემშეშუ სოფელმანი, სოფელი
20 დობიანო რე. მანგარო ხეს უნწყუნა დო მიკისურენა თავისუფალო პატონემს.

ასე შხვა, **წითე პატონემს** უძახუნდეს. ჭითათ ლაფილ წინილას ქიმიო-
ნანდეს, ყვარილს ხოჲო, თე სიმინდი დო თენა ირო ოკო გეძუდას, თენა
ოცხენალი.

– თენა არძოს ოკო, ვარო, თე ოცხენაი?

– ო, ოკო. მუკოლუაფა ოკო. თეს ფანდურ დო გიტარა დო ბირა ოკო. იშა-
ყარულდეს დო, თინა მუს თქუანდუნი, თი პატონეფინი, თის აკეთენდეს.

კისერე პატონეფ რე ძაამი მანგარი პატონეფი.

– ენა ყბაყურა.

– ვარ, კისერე. ყბაყურა შხვა რე, ყბაყურა ფიღვია პატონემს ვოხო.
30 ენა, კისერე პატონეფი რე ძაამი მანგარი, რთული პატონეფი: კისერს ქიხვა-
მილუანს, ჩქიმ პატნ რექენი. მუთ შილებე, პატიცემა ოკო. მა, ჩქიმი გოჩას
ულუდუნი, ლიშის ხოლო უკეთენდი. მა ჩქიმი გოჩას ვუკეთენდი ლიშის დო
სუმი დღას, ოთხი დღას ოჭკომალე ვაუჭკომუ, აშო ვემკმოჯინედეს.

– ვააჭკომედუო?

– ვააჭკომედ. სი მუთუნს ვაინინდუ დო, სინჩხე ულუდუ, იჭუულუ დო
ლიშის უკეთენდი, პენიცილინს. ვამიკეთათია დო ბჭოფუნდით, ბჭოფუ-
ნდით დო უკეთენდი.

ჩხვერე პატონეფიე ხოლო. ენა ფერი რთული ვარე, ვემეურირთი იშე-
ნიშენი-და, ვეგერთუეუ-და, სუმი დღას შილებე მოსუმრება. თენა რე წი-
40 თელა პატონეფიმ და. თენა ხოლო ჭითათ დგომარღვანს, მარა, ა, ჭიფე-ჭი-
ფეს, დო გური ვამაქონებაფუე ოკო დო შვიდობიანო მიდუურს მუი შარაშა.

შეიძლება. ეს ყველაფერი მოსარიდებელი იყო. კერვაც არ შეიძლება, ოჯახში ნემსს არ დაიკავებდნენ.

ახლა **ყივანახველა**: ყივანახველა ბატონებს ეძახიან ამ ბატონებს, **ხველა ბატონებს**. ეს არის ცხრა თვეს, სხვა თითოკვირიანი იყო, თითოკვირიანი. ეს ახველებს, ახველებს. „ყაა“ – ასე გაიძახიან. ძალიან მძიმე ბატონებია ეს, ძალიან მძიმე. ყველაზე მეტი მორიდება უნდა ამას. ეს არის ყველაზე მძიმე, ყველაზე დიდი. ნახველი აქვს.

– რა ეშველება ამ ბატონებს? ყივანახველაა, არა?

– კორკოცე ბატონებია ჩვენებურად. ღორის მონანველ რძეს აძლევენ, ცხენის რძეს აძლევენ, ვირის რძეს აძლევენ. კეცი არ გახურდებოდა ოჯახში და არ გამოცხვებოდა კეცით.

– ღომი?

– ღომი კი. კეცი არ უნდა გახურებულიყო ოჯახში და არ გამოცხვებოდა კეცით, არაფერი გაკეთდებოდა, არაფერი შეიძლებოდა ორმოც დღეს. მეზობელს არ შემოუშვებდნენ – ეს გადამდებია – ბავშვებს არ შემოუშვებდნენ. ყველა ბატონები გადამდებია, ყველა ინფექციურია, ეს გადაედება. ორმოც დღეს რეცხვა არ შეიძლებოდა. ბავშვებისას არაფერს გარეცხავდნენ. ამ ცხრა თვეს მუდმივად მოსარიდებელია. ძალიან ყურადღებას აქცევდა კაცი. ახლა აცრაა და ეს ბატონები... ადრე ბატონები რომ შემოვიდოდა სიფელში, სოფელიც ფეხზე დადგებოდა. ახლა ის რომ შემოვიდა – აცრები, მერე ძალიან მშვიდობიანია. მაგრად უწყობენ ხელს და მოისტუმრებენ თავისუფლად ბატონებს.

ახლა სხვა... **წითელა ბატონებს** უძახობდნენ. წითლად შეღებილ წინილას მოიყვანდნენ, ყვერულსაც. ეს სიმინდი და ისა მუდმივად უნდა იდოს, ეს – საცხენო.

– ეს ყველას უნდა, არა, ეს საცხენო?

– ჰო, უნდა. მოვლა უნდა. ამას ფანდური და გიტარა და სიმღერა უნდა. თავს მოიყრიდნენ და, ის რასაც იტყოდა, ის ბატონები, იმას აკეთებდნენ.

ქუნთრუშა არის ძალიან მძიმე ბატონები.

– ეს ყბაყურა?

– არა, ქუნთრუშა, ყბაყურა სხვა არის. ყბაყურა ფილვია ბატონებს ჰქვია. ეს ქუნთრუშა არის ძალიან მაგარი, რთული ბატონები: კისერს დაუჭერს. ჩემი ბატონი რომ ხარ. რაც შეიძლება, პატივისცემა უნდა. მე, ჩემს გოჩას რომ ჰქონდა, ნემსსაც ვუკეთებდი. მე ჩემს გოჩას ვუკეთებდი ნემსს და სამ დღეს, ოთხ დღეს საჭმელი არ უჭამია. არ შემოგვხვდავდა.

– ვერ ჭამდა?

– ვერ ჭამდა. შენ არაფერს გეტყოდა და სიცხე ჰქონდა, ინვებოდა და ნემსს ვუკეთებდი, პენიცილინს. არ გამიკეთოთო და ვიჭერდით, ვიჭერდით და ვუკეთებდით.

წითურა ბატონებია კიდევ. ეს ისეთი რთული არაა. მაინცდამაინც თუ არ შეგეშალა რამე, თუ არ გაურთულდა, სამ დღეში შეიძლება მოსტუმრება. ეს არის წითელა ბატონების და. ესეც წითლად აყრის, მაგრამ, აი, წვრილ-წვრილს, და არ უნდა გააბრაზო და მშვიდობით წავა თავის გზაზე.

ფილვია პატონეფი რე, კისერი აფუ შინაფილი. რთულიე, ნაბეტანი რთული პატონეფი რე დო მოფერაფა ოკო დო მიკოლუაფა ოკო მანგარი. ეს, ვემეუხვადი სი, ვემეუხვადი-და, ტერიში მახობობას! შილებეე დაამქვიდუას ბალანანი. თეს კისერი აფუ გილაშინაფილი მელე-მოლე. რე, ნამდა კისერი დო დუდი ართიანზმა ხოლო რენი, მიძირ თიჯგუა ხოლო. მუკოლუაფა ოკო, აარძო პატონემს ოკო მუკოლუაფა. ეში მოხვამიაფალო თენა არძაში უმოსი ადვილი რე, ჩქიმ პატნ აექენი, კისერი დუშინდ ჟირიხოლო მხარეშე.

10 ჯვეშო უმოსი ძნელას გინმულუდეს თენა ბალანემს, აარძო პატონეფი. ჯვარი აქაურობას დო, მუდა მიჩქ, პატონემქ მიდეეონ ბალანანი. ასე თე აცრეფი რენი, თენა ჯგირიე, გინაალაფუანს ადვილო.

ეთი დიდი პატონეფი, სკანი ჭირი ჩქიმი დუს, მანგარი უბედურობა'დ, ცვილუნდ, ვარდა აართო გიოხედ დო ეკოჯგიჯგონი'დ კიჩიში პიჯი, ტანი ხოლო. დიდის ხოლო ალოლედ. ჩქიმი ბალანობას ვშგ, ალოლედეს, უკული ვაგამგებუ. მისპუა, რაგადანა დო, ძაამი ჯგირიე, თექ მისპუ-და.

ყბაყურა არის, როცა კისერი აქვს ჩამოსიებული. რთულია, ნამეტანი რთული ბატონებია და მოფერება უნდა და მოვლა უნდა მაგარი. ეს, თუ ვერ მიუხვდი, შენ თუ ვერ მიუხვდი, მტრის ოჯახში! შეიძლება დაახრჩოს ბავშვი. ამას ყელი აქვს ჩამოსიებული იქით-აქეთ. არის, რომ ყელი და თავი ერთმანეთის ტოლიც რომ აქვთ, მინახავს ასეთიც. მოვლა უნდა. ყველა ბატონებს უნდა მოვლა. ისე გამოსაცნობად (მისახვედრად) ეს ყველაზე მეტად ადვილია, ჩემი ბატონი რომ ხარ, ყელი დაუსივდება ორივე მხარაზე.

ძველად უფრო მძიმედ გადაჰქონდათ ეს ბავშვებს, ყველა[ნაირი] ბატონები. ჯვარი აქაურობას და, რამდენი ვიცი, ბატონებმა რომ წაიყვანეს ბავშვი. ახლა ეს აცრები რომ არის, ეს კარგია. გადაატანინებს იოლად.

ის ყვავილი (დიდი ბატონები), შენი ჭირი ჩემს თავს, მაგარი უბედურება იყო, კლავდა, ან ძალიან ეტყობოდა და ერთიანად დაჩიჩქნილი იყო კაცის სახე ტანიც. დიდსაც ემართებოდა. ჩემს ბავშვობაში მახსოვს, ემართებოდათ, მერე არ გამიგია. მოისპოო, ამბობენ და, ძალიან კარგია, ეს თუ მოისპო.

სიტყვათა საძიებელი

აბრეშუმი – იგულისხმება ყაჭი, აბრეშუმის ჭია.

აბრეშუმის ფოთოლი – იგულისხმება თუთის ფოთოლი, რომელსაც ყაჭი, ანუ აბრეშუმის ჭია ჭამს.

აკომკა – (Àëí ø èà) ფანჯარა

ანგურა – ასე ჰქვია პურის ან მჭადის გამოსაცხობ კეცს, მიუხედავად იმისა, რომ ეს კეცი აგურისა არაა, ძირითადად გვიმტობის ქვისგანაა გამოთლილი.

აპერაციონი – (Íiãð ù è ì í í ù é) საოპერაციო.

ასტროჩკა – (Íðñðí÷èà) გადავადება.

ატკაზი – (Íðèèç) უარი. ეს რუსული სიტყვა მეგრულში მხოლოდ კატეგორიულ უარს გამოხატავს.

აღმასკომი – რაიონში დანიშნული აღმასრულებელი ორგანო კომუნისტური მმართველობის დროს.

ბაინცა – (Áàëùíèòà) საავადმყოფო.

ბანკა – (Áàíèà) ქილა.

ბასანოჩკა – (Áàñàííæèè) მაშიები.

ბაზარიი მაქოსალო ქიდიიჭყ მუშოობა – კომუნისტების მმართველობის დროს არაპრესტიჟულ სამუშაოს შემსრულებლებს ურიგოდ და უფასოდ აძლევდნენ ბინას,

ბრუშლატი – თუშფალანგი.

ბუფეჩიკი – (Áððãð÷èé) მებუფეტე.

ბურაკი – (Áððãè) ჭარხალი.

გაძლირკობა – წარმართული ეპოქიდან შემორჩენილი ტრადიცია, ჭამის ღმერთის დღესასწაული (გაძლირკია – ჭამის ღმერთი). თანამედროვე სამეგრელოში ეს ტრადიცია დავინწყებულია.

გეგეჭკორი – მარტვილის რაიონის ადრინდელი სახელი, დაარქვეს ცნობილი რევოლუციონერის, საშა გეგეჭკორის პატივსაცემად.

გელაძეი ჭირქა – თლილი, ორას ორმოცდაათგრამიანი ჭიქა გელაძის ფირმისა.

გეკითხაფა, მეკითხაფა – ქალიშვილი თუ ქორწილის გარეშე გათხოვდა, გაიპარა, მას ოჯახის წევრები და უახლოესი ნათესავები, ძირითადად ხუთი-ექვსი კაცი, ეწვევა სტუმრად, გაიცნობენ სიძეს და მის ოჯახს, პატარძალს თავის პირად ნივთებს წაუღებენ. ეს **მეკითხაფა**, ანუ **გეკითხაფა** სიძე-პატარძალთან შესარიგებელ ნაბიჯად ითვლება.

გვარდისკი – სამხედრო დასახლება ყოფილ კალინინგრადთან ახლოს.

გინოპატიჟება (სუღემა გინმაპატიჟეს) – საუბარია ტრადიციაზე: პატარძალს გადაიპატიჟებენ მეზობელი ან ახლობელი ოჯახები. ეს არის მათ წრეში ახლადმემოსული ადამიანის მიმართ კეთილი განწყობის ნიშანი.

გრეხი – (Ãñãð) ცოდვა, შეცდომა. მეგრულში ეს სიტყვა ნაკლს, უხერხულ, სამარცხვინო საქციელს ნიშნავს.

დასურო – მართლაც, ნამდვილად.

დაჟე – (Ãñæã) ნანილაკი. შეესაბამება ქართ. ც.

დესლადნიკი – (Ãññÿðíê) ათისთავი.

დინო – სამეზობლო, სადაც ახლო ან შორეული ნათესავები სახლობენ.

დორთა – გათხოვების შემდეგ ქალიშვილის პირველი სტუმრობა დედამამის ოჯახში. მეგრული ტრადიციის მიხედვით სიძე-პატარძალს სტუმრად ახლობლები მოჰყავთ და საჩუქრები მოაქვთ. პატარძლის ოჯახში სიძეს ახვედრებენ საჩუქრებს, პირველ რიგში – ბეჭედს, და აგრეთვე იმას, რისი საშუალებაც აქვთ. ეს სტუმრობა ხშირად დიდი ქორწილით აღინიშნება.

დუხოვა – (Ãðñíãê) ფურნაკი, ჰაერლუმელი

ვაენი კომენდატურა – სამხედრო კომენდატურა.

ვასპალენია – (Ãññíãêãíêã) ანთება.

ვილკა – (Ãêêê) ჩანგალი.

ვინტოვა – (Ãêíðíãê) ერთგვარი თოფი.

ვოდკა – (Íðê) არაყი.

ზაოდი – (Çãííã) ქარხანა. მეგრულში ზაოდი დიდ ქვაბს ნიშნავს.

ზონდიკი – (Çííðêê) ქოლგა

ზაკაზი – (Çãêç) შეკვეთა, შეკვეთილი.

კალინგრადი – ყოფილი კალინინგრადი, კენისბერგი.

კალონკა ბენზინიში – ბენზინგასამართი სადგური.

კარობკა – (Êí ãñ á í ê) კოლოფი.

კანტრაბადა – კონტრაბანდა. მეგრულში ეს სიტყვა იშვიათ, ძნელად-საშოვნელ ნივთს აღნიშნავს.

კამერა ხრანენია – (Êãíãðã ððãíãíêÿ) შემნახველი საკანი.

კაპიკი – (Êí í á é) კაპიკი. ფულის უმცირესი ერთეული.

კაპუსტა – (Êãíðñðã) კომბოსტო.

კერასინკა – (Êãðññêíêã) ნავთქურა.

კირილი ორცხონჯი – იხ. ორცხონჯი.

კლიზმა – (Êêêçíã) ოცნა.

კლიაოზნიკი – (Êÿÿðçíêê) შარიანი, ჭირვეული.

კოიკა – (Êí é êã) სანოლი, ტახტი.

კოკა – სითხის სანყაი, 24 ლიტრი.

კოპერაცია, კოპრაცია – კოპერაცია. ეს არის შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ბევრი ადამიანი მონაწილეობს ერთსა და იმავე (ან სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ) შრომის პროცესებში.

კრაოტი – (Êðíããðü) სანოლი.

კრიშკა – (Êðêêêã) თავსახური.

კრუგამ – (Êð ð ã ï) ირგვლივ.

კუკულა, კუკულაჯგუა – (Êðêêã) თოჯინა, თოჯინის მსგავსი.

კუსოკი – (Ēñîê) ნაჭერი, ნაწილი.

კუხნა – (Ēñîy) მეგრულში ეს სიტყვა ჰქვია სამზად სახლს, რომელიც საცხოვრებელი სახლის მოშორებით, ცალკე დგას.

კუიბიშევი – ცნობილი რუსი რევოლუციონერი. კომუნისტური მმართველობის დროს, გარდა ქალაქებისა, რევოლუციონერთა გვარ-სახელებს არქმევდნენ კოლმეურნეობებს. დროთა განმავლობაში იმ კოლმეურნეობაში შემავალ თემსაც ამ სახელით მოიხსენიებდნენ. ამჟამად აღარც კოლმეურნეობებია, აღარც კომუნისტები, მაგრამ დარჩა ტოპონიმები: კუიბიშევი – მარტვილის რაიონი, სოფელ ჭყონის ნაწილი; ჟდანოვი – მარტვილის რაიონი, სოფელ სალხინოს ნაწილი.

ლენინგრადი – დღევანდელი ვოლგოგრადი.

ლიშნი – (Ē è ø ï ù ê) ზედმეტი.

მანგიორი, სკუაში მანგიორი, დაში მანგიორი – სამეგრელოში ახლობლის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის წევრები და ახლო ნათესავი მამაკაცები ორმოცამდე პირს არ იპარსავენ, ორმოცზე კი წამოზრდილ წვერს შეაკვეციანებენ ვინმე მათთვის პატივსაცემ ადამიანს, ხშირად – გარდაცვლილის მეგობარს. ამიერიდან ის გარდაცვლილის ნაცვალია, მანგიორი, და ოჯახის ნათესავად ითვლება.

მარკოვკა – (Ī à ð ù â) სტაფილო.

მარშუტკა – (Ī à ð ð ð ð è à) სამარშუტო ტაქსი.

მალინა – (Ī à è è í à) ყოლო.

მაშინისტი – (Ī à ø è í ñ ò) მემანქანე.

მეშოკი – (Ī à ø í ê) ტომარა.

მეურნობა – დიდი ჭყონის ჩაის მეურნეობა. დაარსდა გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში და დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ერქვა. XX საუკუნის 90-იან წლებში ეს მეურნეობა გაჩანაგდა, „მეურნეობა“ კი ტოპონიმად დარჩა.

მეინცია, მილიცია – პოლიცია.

მეინციანი ნაჩინიკი – მილიციის (დღევანდელი ტერმინით – პოლიციის) უფროსი.

მერგელი – იხ. ტკილი.

მთის ყველი – იგულისხმება მთაში მწყემსების მიერ გაკეთებული სულ-უგუნი, რომელსაც განსხვავებული გემო აქვს და საუკეთესოდ ითვლება.

მიასიროვკა – (Ī y ñ ð ð á è à) ხორცსაკეპი.

მირსობა – რელიგიური დღესასწაული სამეგრელოში, იმართებოდა თებერვალში დიდმარხვის დაწყებამდე, ხუთშაბათ დღეს, და სწირავდნენ საგანგებოდ გამოზრდილ ღორს. რიტუალი, რამდენადაც ამის გარკვევა შეუძელით, მიმართული იყო ავი თვალის საწინააღმდეგოდ და წარმართული პერიოდის გადმონაშთი ჩანს.

ნაზათ – (Ī à ç à à) უკან.

ნაჟიმი – (Ī à æ è ï) ხელის მოჭერა. სიმკაცრე.

ნაჩაინიკი – (Ñà:àëüîèê) უფროსი.

ნაწი – ღორის კუჭის ზედა ნაწილი, გამოიყენება დვრიტად, კვეთად, შეიცავს პეპსინს და რძის შესადეებელი საუკეთესო საშუალებაა.

ნიკოიამ დრო – ნიკოლოზის II-ის მეფობის დრო. რევოლუციის შემდეგ რუსეთის მეფეს ასეთი დამცინავი სახელით მოიხსენიებდნენ.

ნიანკა – (Íÿ íêà) ძიძა, გადია.

ნომცქი შალი – ძველებური გერმანული წარმოშობის შალი, რომელიც ერთ დროს ძალიან მოდაში ყოფილა.

ნორმადარი – წარმოებაში ნორმების დამდგენი, დამწესებელი.

ნუ – (Í ó) ნაწილაკი.

ოლე – ღომის თავთავის საშრობი ლასტი.

ორცხონჯი, კირილი ორცხონჯი – მაგარი ხის, ძირითადად ბზისგან დამზადებული ძალზე წვრილკბილიანი სავარცხელი. ტილებისა და წილებისაგან თმების გასაწმენდად მაგარი ძაფით შეკრავდნენ ასეთი სავარცხლის კბილებს ხუთს, ათს ერთად, რომ თმები პარაზიტებისაგან უკეთ განმედილიყო.

ოშვა – მცოხნავი ცხოველის კუჭის განყოფილება, რომლის გარსიც ფურცელივით არის ჩანყობილი.

პადვარი – (Íîààè) სახლის მინისქვეშა ნაწილი. მეგრულში ეს რუსული სიტყვა აღნიშნავს ორსართულიანი სახლის პირველ სართულს.

პაკრიშკა – (Íâêðèøêà) საბურავი.

პალევაია პორტა – (Íîèââÿ ïî÷òà) მეომართა, ან ჯარისკაცთა დაშიფრული მისამართი.

პარნიკი – (Íàðíèê) სათბური.

პატალოკი – (Íîðîëîê) ქერი.

პარიადკა – (Íîðèàâîê) წესრიგი.

პასილკა – (Íîñèèêà) ამანათი.

პაჟალსტა (Íîæàèóíòà) აქ: სიამოვნებით.

პაჟარნია – (Íîæàðíàÿ) სახანძრო.

პეხოტა – (Íâðîòà) ქვეითი ჯარი.

პივნია – (Íèâîíé) სალუდე.

პლანიერი – გეგმური. აქ წესიერის მნიშვნელობით გამოიყენება.

პლაში – (Íèàù) ლაბადა.

პოვარი – (Íîâàò) მზარეული.

პრავადნიკი – (Íðîâîíèê) გამცილებელი.

პროლი – (Í î è) იატაკი.

პრავეზია – ხორავი.

პრიპასი – (Íðè÷àñí). მარავი. მეგრულში ის მრავალფეროვან სანელებელს აღნიშნავს (ოჭკომარს ქოვლოი პრიპასეფი – საჭმელს გავუკეთე სანელებლები).

პრავაში ეჭოფუა – მართვის მოწმობის აღება.

პრიმერკა – (Īðèìáðèà) მოზომება.

პრობი – (Īðîá) სინჯი.

რაზვოდი – (Ðàçâîä) გაყრა.

რაგადი, რაგადიში დოჭყაფა, რაგადი ნოღვე – ეს გამოთქმა შეესაბამება არშიყობას, სიყვარულის ახსნას.

რაიალმასკომი – რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოთა კავშირში.

რვა მარტი – ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, რომელიც რევოლუციონერი ქალის, კლარა ცეტკინის დაბადების დღეს ემთხვეოდა და ზემოთ აღინიშნებოდა მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

რთა – ფართობის საზომი ერთეული, ქართულში **ქცევა** შეესაბამება. ლოლა ნანას განმარტებით ჟირი რთა (ორი ქცევა) უდრის ერთ ჰექტარს

რედისკა – (Ðääëñ) ბოლოკი.

რიადი – (Ðÿä) მწკრივი.

როდდომი – (Ðîäîî) სამშობიარო სახლი.

რუსული ჭკიდი – ამ კულტურას ჭადისჭადი, ან ფეტვი ჰქვია. უძველესი კულტურაა სამეგრელოში, ზოგადად საქართველოში. რუსეთთან კავშირი არა აქვს. მეგრულში, ისევე, როგორც ზოგადად ქართულში, **უცხოს** მნიშვნელობით ხშირად იხმარებოდა სიტყვები: **სპარსული, ბერძნული** ბოლო საუკუნეებში კი – **რუსული** (იმის მიხედვით, თუ რომელთან ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა), ლოლა ნანას მეტყველებაშიც ამიტომ გვხვდება **რუსული ლებია, რუსული ნიორი** და ასე შემდეგ.

რუბაშკა – (Ðrââøèä) ქალის ზედა სამოსი.

საბჭოშ თამჯდომარე – საბჭოს თავმჯდომარე. ეს თანამდებობა შესაბამება დღევანდელ საკრებულოს თავმჯდომარეს.

საპოყნიკი – (Ñâîîæîèè) ხარაზი.

სალამოში გათეება (სალამო ათუუ) – საბჭოთა კავშირში დღის საათებში მომუშავე ადამიანებისათვის არსებობდა სალამოს სკოლა. სწავლება მუშაობის დამთავრების შემდეგ, სალამოს საათებში მიმდინარეობდა.

სალორიო – უბანია ქუთაისში.

სეტკა – (Ñâðèà) ბადე.

სეტკა – (Ñèèèèä) ფასჩამოკლება, ან ჩამოკლება რისიმე.

სვოდკა – (Ñâîâèèä) ანგარიში, რისიმე ჯამი.

სკვიი ფიცარი – ერთიმეორეში ჩასმული ფიცარი.

სლივა – (Ñèèââ) ქლიავი.

სოკი – (Ñîè) ნვენი.

სპეციალნო – (Ñîâðèèëüîé) სპეციალურად.

სროკი – (Ñðîè) ვადა, მათ შორის სასჯელის ფორმა, სასჯელის ვადა.

სტალავო – (Ñòîèîââÿ) სასადილო ოთახი.

სტალინიში კოლმეურნობა – სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

სტაქანი – (Ñðâèâî) ქიქა.

სტოლბა – (Ñòîëáà) ბოძი.

სტოლი – (Ñòîë) მაგიდა.

სუნელი – მეგრულში, ქართულისაგან განსხვავებით, **სუნელი** ჰქვია როგორც ხმელ, ისე ნედლ მწვანელს.

სულგრძელი – ეს სიტყვა გულუხვის, ხელგაშლილის მნიშვნელობით მხოლოდ ლოლა ნანას მეტყველებაში გვხვდება, ვფიქრობთ, მთქმელმა ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა არ იცოდა.

ტიტეისტერი – ჭაშნაგირი, გემოს, არომატის შემომნმებელი.

ტკილი – იგივე მერგელი. გაქვავებული ორგანული ნივთიერება, რომელსაც მიწის გასანოყიერებლად იყენებენ.

ტრიფონი მაზირე – საუბარია ტრიფონ ხუხუაზე, რომელიც ცნობილი ლოტბარი და მომღერალი იყო.

ტუპიაკი – (Öt i i é) გონებაჩლუნგი.

უგარი – (Óãð) 1. მსუთრი, ხუთვა. 2. ნამწვი. ლოლა ნანას მეტყველებაში **მჭვარტლს** აღნიშნავს.

უგლავო – (Óãî, Óãëããî é) კუთხე.

უშტელი – (Ó÷ëòãë) მასწავლებელი.

უჩასკა – (Ó÷ãòîê) საკარმიდამო ნაკვეთი.

ფარამიშაალალარი ბინა, საამხანაგო ბინა – ფულშესატანი ბინა. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, სანამ ეს რეჟიმი არსებობდა, ადამიანებს ბინას აძლევდნენ საფასურის გარეშეც. არსებობდა კოოპერატიული ბინებიც, როცა პიროვნება საკუთარი ხარჯით იშენებდა სახლს. ეს არის ფულშესატანი, კოოპერატიული, ამხანაგური ბინა.

ფეჩქი – (Íã÷ëð) ღუმელი.

ფირტვი – მეგრულში ქათმის **ღვიძლს** და **ფილტვს** სახელი შენაცვლებული აქვს: ღვიძლს ჰქვია **ფირტვი** (ქართ. **ფილტვი**), ხოლო ფილტვს – **ჩხონჩხი** (ქართ. **ღვიძლი**). იშვიათად მას **ჭაჭებსაც** ეძახიან.

ფუთი – მარცვლეულის სანყაო, თექვსმეტი კილო.

ფშაველი – სიტყვა **ფშაველი** მხოლოდ ლოლა ნანას ლექსიკიდანაა, ეს მჟაუნაა. დასავლეთში ხარობს, მაგრამ არ თესავენ. რაც შეეხება გამოყენებას, მჟაუნის უმად, სალათებში გამოყენების შემთხვევა ლოლა ნანას რეცეპტების გარდა ვერსად დავადასტურეთ. სამეგრელოში, ლოლა ნანას ბოსტანში, ათწლიანი მჟაუნა ხარობს, რომელსაც, ჩვენი დაკვირვებით, განსხვავებული გემო დაჰკრავს.

ქორთუ – მეგრულში ტერმინი **ქორთუ** გამოხატავს როგორც ეთნიკურს, ისე ენობრივ კუთვნილებას. ლოლა ნანას მეტყველებაში ის მხოლოდ ენობრივ კუთვნილებას გამოხატავს.

„ქუთაისი-ჭყონი“ – იგულისხმება ამ მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტი.

ყაყაბი – ხისგან გამოთლილი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ზამთარში ჩასაცმელად.

შაური – (შაჰური) შეესაბამებოდა რუსულ ხუთ კაპიკს.

ჩიხოტკა – ქლექი.

ცაშხობა – ხუთშაბათობა. ბაზრობისთვის დანესებული დღე სოფელ ჭყონში. გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ის კვირა დღით შეიცვალა.

ცეფი – (Õñï) ჟაჭვი. აქ: მოცურების სანინააღმგეგო ჟაჭვი.

ცხაკაია – ახლანდელი სენაკი.

ნაჩხურუს ეკლესია – იგივე **მოსკე (მეძევე) ნაჩხურა**, აშენებულია არაუგვიანეს XVI საუკუნისა. გადმოცემით აქ ესვენა ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც მლოცველები შვილიერებას შესთხოვენ.

ხაზეიკა – (Õñçÿéñà) 1. დიასახლისი, 2. ბინის მეპატრონე.

ჯარი, ჯარშა ულა – მეგრულში ასე ითქმის მაშინაც, როცა ადამიანი სამხედრო სამსახურში მიდის, და მაშინაც, როცა ის ომში მიდის.

ბაგომცემლისგან

„ლოლა ნანა“ მეექვსე წიგნია სერიისა „ქალთა მეხსიერება“, რომელსაც 2004 წლიდან გამოსცემდა ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველო“ ქალთა პროგრამა და ახლა მისი მემკვიდრე, „ფონდი ტასო“ გამოსცემს.

„ქალთა მეხსიერების“ წიგნების ზიარი თვისებას ქმნის ყურადღების გამახვილება ერთი ადამიანის ცხოვრებაზე, და მისი ცხოვრების ამბავში ასახული ისტორიული, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ეპიზოდების ანგარიშგასანევ ისტორიულ წყაროდ აღიარება.

მთხრობელი მოწმობს, რომ ესა თუ ის ამბავი მოხდა ზუსტად ისე, როგორც მას ახსოვს და გვიამბობს. ჩვენ, როგორც მისი განსაკუთრებულად დაინტერესებული მსმენელი, ვმოწმობთ, რომ ამ კონკრეტულმა ადამიანმა ნამდვილად, საკუთარი ნებით და ძალდაუტანებლად, ასე გვიამბო. წიგნად გამოქვეყნებით ჩვენ ვცდილობთ, მოვაპყროთ საზოგადოების ყურადღება იმ საკითხებს, რომლებიც სულაც არ, ან ნაკლებად აისახება სხვა ისტორიულ წყაროებში, დოკუმენტებში, სტატისტიკურ მონაცემებში, ოფიციალურ ანგარიშებში.

როგორც ქალთა ფონდს, უპირველეს ყოვლისა ქალთა მდგომარეობა გვაინტერესებს, და ქალთა საკითხისგან განუყოფელი ის პრობლემები, რომელთა მოგვარების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების წარმატება. ჩვენი საქმიანობით, მათ შორის – პუბლიკაციებით, ვცდილობთ ხელი შევეწყოთ ისეთი საზოგადოებრივი მოთხოვნის ჩამოყალიბებას ეროვნული განვითარების კურსის მიმართ, რომელშიც განმსაზღვრელი იქნება ადამიანის სიცოცხლის ფასი, მისი ღირსება, კეთილდღეობა, თუ გნებავთ – ბედნიერება.

იმის გამო, რომ ადამიანის მეტყველებასთან გვაქვს საქმე, და ვცდილობთ დავიცვათ ტექსტის სიზუსტე მეტყველებასთან მიმართებაში, შევძელით მოკრძალებული სამსახური ქართული ენათმეცნიერებისთვისაც გაგვეწია. ტექსტები თუშურ და მესხურ დიალექტებზე მოთავსებულია, შესაბამისად, გიორგი ცოცანიძის „თუშურ ქრონიკებში“ (2004) და მარინე ბერიძის წიგნში „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“ (მესხეთი და მესხები, 1918-1944).

ახლა ამაზე ნაკლებ ლაპარაკობენ, მაგრამ ალბათ გვახსოვს, რომ ენის დაცვა, არა მხოლოდ და არა მაინცდამაინც ბარბარიზმებისგან, არამედ მისი, როგორც ფასეულობათა უნივერსალური სისტემის დაცვა, საზოგადოების ზნეობრივი ვალდებულებაა. ცალკე საკითხია მცირე ენების, როგორც კულტურული ფასეულობის დაცვა.

მადლობას მოვახსენებთ პროფესორ მაგალი თოდუას, მასალის ჩამწერ ავტორს, პირველადი მეგრული ტექსტის გამშიფრავებს – თეა კალანდიას, ელზა კაჭარავას და თაია ცხადაიას, და ქალბატონ ლილი ბასილაიას, რომელმაც დედანი ქართულად თარგმნა და წიგნი მოამზადა გამოსაცემად.

*მარინა თაბუკაშვილი,
„ფონდი ტასო“*

